

178  
1964 / 3 .



# სახვრთა სამკრთელი

საქართველოს ენციკლოპედია

1964

6

საქართველო  
საბჭოთა

№ 6

# საბჭოთა სამართალი

ნომერი—დეკემბერი

1964 წელი

გამოცემის XI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან პასუხაზღი იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

## შინაარსი

ვ. ერემოვი — საბჭოთა სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები სკკპ პროგრამაში . . . . . 3

**ალ. ვაჩიშვილი** — სამართლებრივი ურთიერთობის ცნებისათვის . . . . . 10

ა. გეგია — სახალხო მოსამართლეთა ვადამდე გაწვევის წესის შესახებ . . . . . 21

ჟ. ბაქრაძე — აბორტი სოციალური ზოროტებაა . . . . . 26

### საზოგადოებრიობა ეპოქის დასაწყისს

ო. ლოლაშვილი — სახალხო რაზმელები საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე . . . . . 31

ს. სიხარულიძე, გ. შონია — ამხანაგების სამსჯავროს წინაშე . . . . . 35

### სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

თ. კვარაცხელია — არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მიზეზების შესწავლისათვის . . . . . 41

ნ. დავითაია — რეალური დაცვის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო პროცესში . . . . . 48

9469

### ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნი

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი . . . . . 51

### დანაშაულის კვლადაკვალ

ა. კეჟოიანი — ძებნა . . . . . 57

### მოწინავეთა კორტრეტები

ლ. ისაკაძე — რაიონის პროკურორი . . . . . 60

ა. ანასაშვილი — შრომისმოყვარე მუშაკი . . . . . 64

ოფიციალური მასალა . . . . . 65

### პრიტიკა და გიზლიორგრაფია

ნ. ლორთქიფანიძე — საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური სამართლის მეცნიერების თვალსაჩინო მონაპოვარი . . . . . 71

ინფორმაცია . . . . . 76

იუმორი . . . . . 94



# СОДЕРЖАНИЕ



Г. Еремов — Вопросы Советского государственного и административного права в программе КПСС . . . . .	3
<b>А. Вацейшвили —</b> К понятию правового отношения . . . . .	10
А. Гегია — О порядке досрочного отзыва народных судей . . . . .	21
Дж. Бакрадзе — Аборт — социальное злодеяние . . . . .	26

## ОБЩЕСТВЕННОСТЬ БОРЕТСЯ С ПРЕСТУПНОСТЬЮ

О. Лолашвили — Народные дружинники на страже общественного порядка . . . . .	33
С. Сихарулидзе, Г. Шониа — Перед судом товарищей . . . . .	35

## ПРАКТИКА ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Т. Кварацхелиа — К изучению причин повторного преступления несовершеннолетних . . . . .	41
Н. Давитаиа — Об обеспечении реальной защиты в судебном процессе . . . . .	48

## ИССЛЕДОВАТЕЛИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Академик И. Джавахишвили . . . . .	51
------------------------------------	----

## ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

А. Кежоян — Розыск . . . . .	57
------------------------------	----

## ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ

Л. Исакадзе — Районный прокурор . . . . .	60
А. Анасашвили — Трудолюбивый работник . . . . .	64
Официальный материал . . . . .	65

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. Лордкипанидзе — Важный вклад в науку Советского гражданского процесса . . . . .	71
Информация . . . . .	76
Страница юмора . . . . .	94

შპს № 3661  
ტირაჟი 4.800  
შე 03049

სარედაქციო კოლეგია  
მ. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
პ. ზერქენიშვილი, ი. დოლიძე, გ. ინწკირველი,  
მ. ლომიძე, გ. მაისურაძე, თ. წერეთელი,  
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 30/XII-64 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-65 წ. ანაწყოების ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.



# საბჭოთა სახელმწიფო საბაქთელისა და პრინციპალიზაციის საბაქთელის საკითხები სკკპ პრინციპალიზაციაში

პროფ. ვ. ვარლამიძე

სკკპ ახალმა პროგრამამ გაამდიდრა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია მნიშვნელოვანი თეორიული დასკვნებითა და დებულებებით, დასახა სოციალისტური სამართლის ყველა დარგის განვითარების ძირითადი გზები. მნიშვნელოვანი ადგილი პროგრამაში დათმობილი აქვს საბჭოთა სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებს.

საერთაშორისო წერილში შეუძლებელია მთელი სისრულით განვიხილოთ საკითხთა ის წრე, რაც მოცემულ თემასთან დაკავშირებით პარტიის პროგრამაშია გადაჭრილი.

პარტიის პროგრამაში მეცნიერულად დასაბუთებულია კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ფორმათა სხვადასხვაობა, სოციალიზმის მშენებელი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმათა სიმრავლის აუცილებლობა.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი, რაც პარტიის პროგრამაშია დასაბუთებული — ეს არის საკითხი მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს საერთო სახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა, პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით ზედმეტი გახდა. ცხოვრებამ, ქვეყნის ფაქტურმა მდგომარეობამ წარმოშვა საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის იარაღია. საერთო-სახალხო სახელმწიფო არ არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, იგი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპია და შეესაბამება ვაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდს.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსებობისათვის დამახასიათებელია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად და სამართლის ნორმების კომუნისტური საერთო ცხოვრების წესებად გარდაქმნა.

მასების სახელმწიფოებრივ მმართველობაში ჩაბმა კომუნისტური თვითმმართველობის განვითარების საფუძველია. ამასთან, მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. „სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება, — ჩაწერილია სკკპ პროგრამაში, — თანდათან გამოიწვევს მის გარდაქმნას საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოლერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.“ ამ პერიოდში „...მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების თანდათანობით გადაქცევა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებად“.

პარტიის პროგრამით გათვალისწინებულია სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომი განვითარება. პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია საბჭოების შემადგენლობაში ახალი ძალების მიზიდვა, „რათა სახელმწიფოს მართვის სკოლა გაიაროს ახალმა მილიონობით მშრომელმა, მიზანშეწონილია ყოველი არჩევნების დროს განაწილდეს საბჭოების დებუტატების შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მესამედი“.

პარტიის პროგრამით გათვალისწინებული ეს პრინციპი გამოიმდინარეობს ვ. ი. ლენინის მითითებიდან იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფოში „...პირ-

ველად იდგმება ნაბიჯი იმისათვის, რათა მოსახლეობა მართლაც გამოუყოფილი სწავლობდეს მმართველობას და იწყებდეს მმართველობას<sup>1</sup>.

ვათვალისწინებულა გააქტიურდეს თვით დეპუტატთა მუშაობა საბჭოებში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა როგორც ხელისუფლების უმაღლეს, ისე ადგილობრივი ორგანოების მუდმივ კომისიებში. „უმაღლესი საბჭოების მუდმივი კომისიები, — ჩაწერილია სკკპ პროგრამაში, — მოწოდებული არიან სისტემატურად უწევდნენ კონტროლს სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობას და აქტიურად უწყობდნენ ხელს შესაბამისი უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას“

ისინი სესიათა შორის პერიოდში მუშაობენ კანონპროექტებზე, ამასთან დაკავშირებით, მათ ხშირად უხდებთ ქვეკომისიების გამოყოფა და მასში არადეპუტატების შეყვანაც. მუდმივი კომისიები ცალკეული დარგების მიხედვით იწვევენ სპეციალისტთა თათბირებსაც.

ადგილობრივ საბჭოებთან არსებულ მუდმივ კომისიებში დეპუტატების გარდა შეჰყავთ არადეპუტატებიც, თუმცა ეს უკანასკნელი კომისიის შემადგენლობაში შედიან სათათბირო ხმის უფლებით.

პარტიის პროგრამა მოითხოვს, რათა ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებს გადასაწყვეტად თანდათანობით გადაეცეთ სულ უფრო მეტი საკითხები, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოების სამმართველოებისა და გახყოფილებების კომპეტენციას შეადგენენ.

გარდა საბჭოების მუდმივი კომისიებისა, ადგილებზე შექმნილია აგრეთვე აღმასკომისი მუდმივი კომისიების, მაგალითად, რაიონმასკომებთან არსებობენ აღმინისტრაციული კომისიები, ბავშვთა და მოზარდთა კომისიები; მოქმედებენ აგრეთვე ქუჩის (კვარტალის) კომიტეტები, ამხანაგური სასამართლოები, მშობელთა კომიტეტები (სკოლებთან), მილიციის დამხმარე ბრიგადები და სხვ.; საჭიროებისამებრ აღმასკომებთან და საბჭოს სესიების მიერაც იქმნებიან დროებითი კომისიებიც. დასახელებულ კომისიებში თუ კომიტეტებში ყველგან ირჩევიან მათგან, რომლებიც უფასოდ და სრული შეგებებით, საზოგადოებრივ საწყისებზე, ნებაყოფლობით ახორციელებენ ამ სამუშაოს თავიანთი ძირითადი სამუშაოს დამთავრების შემდეგ. სწორედ ამაზე ოცნებობდა ვ. ი. ლენინი, როდესაც წერდა: „ჩვენი მიზანია, რომ თითოეულმა მშრომელმა, როდესაც საწარმოო მუშაობის მ საფართან „განაკვეთს“ მოათავებს, უფასოდ შეასრულოს სახელმწიფოებრივი მოვალეობანი: ამაზე გადასვლა განსაკუთრებით ძნელია, მაგრამ მხოლოდ ამ გადასვლაშია სოციალიზმის საბოლოო გახსტიკების საწინდარი“<sup>2</sup>.

უფრო ფართო ხასიათს იღებს აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშგება ხელისუფლების ორგანოების (საბჭოების) წინაშე.

სოციალისტური დემოკრატიზმის სრულყოფისა და მისი განუხრელი დაცვისათვის საჭიროა განხორციელდეს საბჭოებისა და მათი დეპუტატების რეგულარული ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე, ამომრჩეველთა უფლება ვადამდე გაიწვიონ დეპუტატები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ნდობა. ამავე დროს, პროგრამა საჭიროდ მიიჩნევს, რათა „არჩევითობის და წარმომადგენლობითი ორგანოების და ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგების პრინციპი“ თანდათან გავრცელდეს სახელმწიფო ორგანოების ყველა ხელმძღვანელ მუშაკზე.

ხელისუფლების ორგანოთა შემდგომი დემოკრატიზმი თავისთავად საბჭოების უფლებების შემდგომ ზრდას მოითხოვს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები „საბოლოოდ გადაწყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს“ — ჩაწერილია პროგრამაში.

საბჭოების უფლებების ზრდა მოხდება არა მარტად მისი კონსტიტუციური

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 323.

2 იქვე, გვ. 324.

საქართველო  
საბჭოთა

უფლებების გაფართოებით, არამედ აღმასრულებელი ორგანოების უფლებების შემცირების გზითაც. ამისათვის აუცილებელი იქნება საბჭოს სესიების მოწვევის კონსტიტუციური ვადების ზუსტად დაცვა და სესიების მუშაობის ხანგრძლივობის შედარებით ზრდა.

სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების დაცვა და მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვას. ამით პარტია და მთავრობა ეთათბირება ხალხს, ემყარება რა მისი ცხოვრების გამოცდილებას, მის „კოლექტიურ გონებას“.

პარტიის პროგრამაში მითითებულია, რომ „სისტემა უნდა გახდეს მშრომელთა მიერ როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის კანონთა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა“.

პარტიის პროგრამაში გამსახილებულია ყურადღება აგრეთვე რეფერენდუმის მიმართ. „უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები უნდა გამოვიტანოთ საყოველთაო-სახალხო კენჭის საყრდელად (რეფერენდუმში)“, — ჩაწერილია პროგრამაში.

საყოველთაო-სახალხო განხილვა და საყოველთაო-სახალხო დაკითხვა (რეფერენდუმში) მოსახლეობის მიერ კანონპროექტების მიმართ თავისი აზრის გამოთქმის ორი სხვადასხვა ფორმაა. რეფერენდუმის მოწყობის უფლება ამჟამად აქვს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს.

რეფერენდუმში საერთოდ არის ორი სახისა: სავალდებულო და ფაკულტატური. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კონსტიტუციით აქვს ფაკულტატური (არასავალდებულო) ხასიათის რეფერენდუმის ჩატარების უფლება.

ფართოვდება კანონპროექტების შედგენასა და უმაღლესი ორგანიზაციებისათვის წარდგენაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა. პროგრამის მიხედვით „პოპულარობის, კომკავშირისა და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების სახით უნდა მიეცეთ საკანონმდებლო ინიციატივის, ესე იგი კანონთა პროექტების შეტანის უფლება“.

პარტია მოითხოვს ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის სისტემატურ განახლებას იმ პრინციპით, რომ ხელმძღვანელი მუშაკები თავიანთ თანამდებობაზე არჩეულ იქნან, როგორც წესი, სულ ბევრი სამი ვადით, ზედიზედ. „იმ შემთხვევაში, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — როცა მუშაკის პირადი ნიჭი, საერთო აზრით, სასარგებლოსა და საჭიროს ხდის მის შემდგომ მოღვაწეობას ხელმძღვანელ ორგანოში, შეიძლება მისი ხელახლა არჩევა. ასეთ შემთხვევაში არჩევა ნამდვილად ითვლება არა ხმების უზრალო უმრავლესობით, არამედ მხოლოდ იმ პირობით, თუ კანდიდატი მიიღებს ხმების სულ ცოტა სამ მეოთხედს“.

კომუნისმის გამოლილი მშენებლობის პერიოდში მიზანშეწონილად არის მიჩნეული სახალხო წარმომადგენლობის ფორმების, საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა.

საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს მოქალაქეთა უფლებების წარმომადგენს. პარტიის პროგრამაში ფართო ადგილი ეთმობა სოციალისტური დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას. „სოციალისტური დემოკრატიზმი, — ჩაწერილია პროგრამაში — შეიცავს როგორც პოლიტიკურ თავისუფლებებს — სიტყვის, პრესის, მიტინგებისა და კრებების თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ აირჩიო და არჩეულ იქნე, ისე სოციალურ უფლებებსაც — შრომის, დასვენების, უფასო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების უფლებას. მონუცებულობაში, ავადმყოფობის ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებას, ყველა რასისა და ეროვნების მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას, ქალისა და კაცის თანასწორ უფლებებს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში“.



როგორც ცნობილია, მოქალაქეთა უფლებები აღიარებულია ბუზრყუაზიულ ქვეყნების კონსტიტუციებითაც, მაგრამ მშრომელთათვის ეს უფლებანი იქ გარანტირებული არ არის. პარტიის პროგრამაში ასახულია საბჭოთა სახელმწიფოს ფაქტიური მდგომარეობა მოქალაქეთა უფლებების დაცვის საქმეში. „სოციალისტური დემოკრატია, — ჩაწერილია მასში, — ბუზრყუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, არა მარტო აცხადებს ხალხის უფლებებს, არამედ კიდევაც უზრუნველყოფს მათი განხორციელების რეალურ შესაძლებლობას. საბჭოთა საზოგადოება უზრუნველყოფს პიროვნების ნამდვილ თავისუფლებას. ამ თავისუფლების უმაღლესი გამოვლინებაა აღამიანის განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან. ეს არის უწინარეს ყოვლისა ნამდვილი სოციალური სამართლიანობა“.

სოციალიზმის პირობებში შესამდგომელია პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესი, კომუნისში „საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობის საფუძველზე დამკვიდრდება ჰარმონიული ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების ლოგიკური შედეგია ეროვნული საკითხის გადაჭრა. სსრ კავშირისათვის, სადაც ასზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს, ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. პარტიის პროგრამა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერების სოციალისტურ ფედერაციულ გაერთიანებას. „თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას, — ჩაწერილია მასში, — შეუძლია შემდგომ აყვავდეს და განმტკიცდეს მხოლოდ სსრ კავშირის მომეც სოციალისტური ერების დიად ოჯახში“. საბჭოთა კავშირში ერებს შორის მეგობრობა, მათი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში — ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია. ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარება საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია მიმდინარე ეტაპზე. ამასთან ერთად, „ვითარდება ყველა საბჭოთა ერისათვის საერთო ინტერნაციონალური კულტურა“. ამ მიმართებით საჭიროა ბრძოლა ნაციონალიზმის, შოვინიზმის, ეროვნული შუღლის წამთების, რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, „სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, იქ ეროვნულ ჩაგვრას ადგილი არა აქვს“.<sup>1</sup>

პარტიის პროგრამაში მითითებულია, რომ გამწვანებული კომუნისტური მშენებლობა ნიშნავს ახალ ეტაპს სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში. ეს პერიოდი ხასიათდება ერების შემდგომი განვითარებით, საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანებით, ურთიერთნდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცებით.

პროგრამაში ფართო ადგილი ეთმობა ერებს შორის ზოგადის წამლას, რაც შორეულ მომავალში განხორციელდება, და ენის პრობლემას.

პარტია მოითხოვს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და ამხანგელებს ყურადღებას „ღრმად შეაფასოთ თავიდან აცილებაზე“. მის წარმომშობ ყველა მიზეზთა აოკვეთაზე. საჭიროდ მიიჩნევს „...აღმოფხვრას დამნაშავეობა. საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზედავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით“

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე „...სულ უფრო იზრდება ზნეობრივი საწყისების როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ფართოდდება მორალური ფაქტორის მოქმედების სფერო და შესაბამისად მცირდება აღამიანთა ურთიერთობის აღმინისტრაციული რეაქულირიზმის მნიშვნელობა“ პარტიის პროგრამა ითვალისწინებს კომუნისში მშენებლის მორალურ კოდექსში შემავალ ზნეობრივ პრინციპებს და წინ აყენებს საზოგადოებრიობის ზემოქმედების როლს. მაკრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს სამართლის ნორმების უფულებელყოფას, კანონიერების შესუსტებას.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 177.

საქართველო  
საბჭოთა

როგორც ითქვა, კომუნისმის გამწვანებული მშენებლობის პერიოდში, სახელმწიფოს ცალკეულ ორგანოთა ფუნქციების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემის მიუხედავად, არ სუსტდება საბჭოთა სახელმწიფოს აპარატი, არ მცირდება მისი როლი და მნიშვნელობა. საზოგადოებრიობის მონაწილეობა უფრო მეტად აძლიერებს სახელმწიფო აპარატს. პარტიის პროგრამა ამოცანად სახავს, რათა საბჭოთა აპარატი „...იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული“, რათა არ იჩინდეს იგი „...არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალისმასა და საქმის გაჭინვრებას“, ხოლო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული „...მისი საქმიანობისადმი სახალხო კონტროლის გაძლიერება“. სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად პროგრამით ძალაში რჩება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი, რომელიც „უზარუნველყოფს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სწორ შესამუშავს ადგილობრივი ორგანოების ნიციბატივის მაქსიმალურ განვითარებასთან, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან, მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან“.

პარტიის პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგების განვითარებას, ამ დარგებში მოქმედ მმართველ ორგანოთა ამოცანებს. „პარტიას საჭიროდ მიაჩნია კვლავაც განვითაროს დემოკრატიული საწყისები მმართველობაში“ — ჩაწერილია პროგრამაში.

საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებული ნაწილი მეტად გაამდიდრა პარტიის პროგრამის მეორე ნაწილმა. აქ მოცემულია ცალკე ქვეთავები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების ამოცანებისა და მართვის სისტემაზე: მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ვაჭრობის, საბინაო, ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სხვა დარგებში.


პარტიის პროგრამა საჭიროდ მიიჩნევს, რათა „გაუმჯობესდეს საქმიანობა სახალხო მეურნეობის საბჭოებისა, რომლებიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ყველაზე ცხოველურნიან და საწარმოო ძალების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამის ფორმას წარმოადგენენ“.

სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგთა განვითარება სოციალიზმის პირობებში ხასიათდება დაგეგმვით. „კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის განუწყვეტელ სრულყოფას“. პროგრამაში გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფო ბიუჯეტის დიდმნიშვნელოვან როლზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებაში, აგრეთვე იმაზე, რომ გაძლიერებულ იქნას სამეურნეო ანგარიში.

პარტიის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. აქ მითითებულია კოლმეურნეთა პენსიების შესახებაც. „დახმარება ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის გამო. პენსიები მოხსენიებულია გამო ვავრცელოდეს კოლმეურნეობებზე“, — ჩაწერილია პროგრამაში. როგორც ვნობილია, ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგმულია, 1964 წლის 15 ივლისს სსრ კავშირის მიერ კვლევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო კანონი „კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ“, ამვე სესიამ მიიღო კანონი „განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას“.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, როგორც ზემოთ ითქვა, მოითხოვს ადამიანთა სულიერ აღზრდასაც. ადამიანთა გარდაქმნის საქმეში მნიშვნელოვან ამოცანად დასახულია მათ შეგნებაში კაპიტალიზმის გაღმონათვისების დაძლევა.

პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქციების შესახებ. ცალკე ქვეთავი ეთმობა „საბჭოთა კავშირის შეი-



რალებული ძალებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას“. პროგრამაში ამ ნაწილში დასაბუთებულია საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების აუცილებლობა. დაცულია ლენინური პრინციპი იმის შესახებ, რომ „სანამ იარსებებს იმპერიალიზმი, დარჩება აგრესიული ომების საფრთხე“. ამის გამო გაკეთებულია ლოგიკური დასკვნა, რომ საშინაო პირობების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირს არ ესაჭიროება არმია, მაგრამ რამდენადაც რჩება ომის საფრთხე, რომელიც იმპერიალისტური ბანაკიდან მომდინარეობს, მიღწეული არ არის სრული და საყოველთაო განიარაღება, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას საჭიროდ მიაჩნია სათანადო დონეზე ჰქონდეს საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება.

პარტიის პროგრამა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის გენერალური პრინციპის სისწორეს, ეს არის სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. სოციალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას „საფუძვლად უდევს მშვიდობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის, ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპი“.

პარტიის პროგრამა ითვალისწინებს საქონელბრუნვის გაფართოებას სოციალისტურ ქვეყნებს შორის, ამავდროს, სოციალისტური სახელმწიფოები „...ანორციელებენ და მზად არიან განახორციელონ ფართო ურთიერთ სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობა და კულტურული კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებთან“. სახელმწიფოთა შორის ეკონომიური შეჯიბრი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო თანამშრომლობის კურსია, რაც მიზნად ისახავს მშვიდობის დაცვას მთელს მსოფლიოში.

შეუძლებელია ომი სურდეს ისეთ ქვეყანას, რომელსაც კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები აქვს დასახული. კომუნიზმია მშენებლობა და ომი ერთმანეთს გამორიცხავენ. როგორც პარტიის პროგრამაშია მითითებული „დასახული პროგრამა შეიძლება წარმატებით შესრულდეს მშვიდობის პირობებში“.

პროგრამაში მეცნიერულად დასაბუთებულია სახელმწიფოს კვდომის პროცესი, მისი ბედი კომუნიზმის გამარჯვებასთან დაკავშირებით. „ისტორიულ განვითარებას, — ნათქვამია პროგრამაში, — გარღვევლად მოსდევს სახელმწიფოს კვდომა. სახელმწიფოს სრული კვდომისათვის უნდა შეიქმნას როგორც შინაგანი პირობები — განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება, ისე გარეგანი პირობებიც — საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვება და დამკვიდრება“.

სახელმწიფოს კვდომისათვის პირობების მომზადების პროცესში შეიქმნება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობები, დღევანდელი სახელმწიფო ორგანოები დაკარგავენ პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ საზოგადოებრივი ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სფეროში მაინც დარჩება. „დაეგმვისა და აღრიცხვის, მეურნეობისა და კულტურის განვითარების ხელმძღვანელობის ორგანოები, რომლებიც ახლა სახელმწიფო ორგანოებია, დაკარგავენ პოლიტიკურ ხასიათს და გახდებიან საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები“.

ამრიგად, სახელმწიფოს კვდომის საკითხი განპირობებულია არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ პირობებზე, არამედ საერთაშორისო მდგომარეობაზეც. ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრა დროის ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს.

კომუნიზმის მშენებლობის ყველა ამ ამოცანის განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ამ საკითხს პარტიის პროგრამის ბოლო თავი აქვს დათმობილი. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების ზრდასა და ამოცანების სირთულის გამო, პარტიის როლი კიდევ უფრო იზრდება. პარტია, საზოგადოების განვითარების ამ ახალ ეტაპზე იცავს პრინციპს,

რომ „ხალხი ისტორიის შემოქმედია, კომუნისტების აშენება ხალხის, მისი ენერჯის, მისი გონების საქმეა“.

სკკპ პროგრამაში განხილულია არა მარტო სახელმწიფო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები, არამედ, საერთაშორისო სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო, შრომის, საკოლმეურნეო და სოციალისტური სამართლის სხვა დარგთა საკითხებიც. პარტიის პროგრამა მარტოდენ კომუნისტების მშენებლობის მძლავრი იდეური იარაღი როდია, იგი წარმოადგენს ბაზასაც ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების ცალკეულ დარგთა განვითარებისათვის.

---

# სამართლებრივი ურთიერთობის ცნებისათვის

პროფ. ალ. ვაჩიშვილი

სამართლის მეცნიერებაში ტრადიციულად მიღებულია სამართლებრივი ურთიერთობის ცნებასთან დაკავშირებული საკითხების გადმოცემა და დახასიათება შემდეგი სქემის მიხედვით: 1. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება; 2. უფლებები და მოვალეობანი; 3. სამართლის სუბიექტი; 4. სამართლის ობიექტი; 5. იურიდიული ფაქტები.

ჩვენ არ შევჩერდებით ყველა ამ საკითხის გარჩევა-განხილავზე. ჩვენი გამოკვლევის ფარგლები უფრო ვიწროდ არის მოხაზული; გამოკვლევის ამოცანას წარმოადგენს:

1. სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ცნების შინაარსის განსაზღვრა;
2. სამართლებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ცალკეული სახეების შესწავლა სპეციალური იურიდიული დისციპლინების თავისებურებების გათვალისწინებით; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისხლის სამართლის პროცესს;
3. იმ დამოკიდებულების გარკვევა და დადგენა, რომელიც არსებობს სამართლის ნორმასა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის.

ამ საკითხებით არის შემოფარგლული წინამდებარე შრომის შინაარსი.

## I

სამართლებრივ ურთიერთობას საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში განსაზღვრავენ როგორც განსაკუთრებულ იდეოლოგიურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშვება სამართლის ნორმის ადამიანის ყოფაქცევაზე შემოქმედების შედეგად. ლენინის სიტყვით, საზოგადოებრივი ურთიერთობანი იყოფა მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებად. უკანასკნელნი წარმოადგენენ ზედნაშენს, ხოლო მატერიალური ურთიერთობანი — ბაზისს, რომელიც ყალიბდება ადამიანის ნებისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად. მატერიალური ურთიერთობანი — ეს ეკონომიური, საწარმოო ურთიერთობანია, იდეოლოგიურ ურთიერთობებს კი შეადგენენ პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური და სხვა ურთიერთობანი, რომლებიც საზოგადოების ზედნაშენს ეკუთვნის. სამართლებრივ ურთიერთობათა თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ისინი გათვალისწინებულია და მოწესრიგებული სამართლის მიერ.

სამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ ამა თუ იმ პირებისათვის წარმოიშვება გარკვეული უფლებები, ე. ი. იბადება სამართლის ნორმებით გათვალისწინებული და სახელმწიფოთი უზრუნველყოფილი შესაძლებლობა იმოქმედონ განსაზღვრული წესით (субъективное право უფლება) და ამავე დროს სხვა პირებს ეკისრებათ მოვალეობანი, ე. ი. სამართლის ნორმებით დადგენილი განსაზღვრული ყოფაქცევის აუცილებლობა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Теория государства и права, 1962, гл. 458.

სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც იდეოლოგიური ურთიერთობა, თავის ასახვას პოულობს ადამიანთა შეგნებაში. იგი გამოხატავს ადამიანთა შეგნებულ ნებისყოფას, ე. ი. გაბატონებული კლასის ნებისყოფას. ამიტომ ნებისყოფითი ხასიათი აქვთ არა მარტო სამართლის ნორმებს, არამედ აგრეთვე სამართლებრივ ურთიერთობებსაც. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის წარმოადგენს ნებისყოფითს ურთიერთობას მის მონაწილეთა ინდივიდუალური ფსიქიკის მნიშვნელობით, მათი ნებისყოფის გამოხატულებას.<sup>1</sup>

სამართლებრივი ურთიერთობანი შეიძლება წარმოიშვას იმ პირთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც მასში მონაწილეობენ. მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები 88-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელმაც მიაყენა ქონებრივი ზარალი მეორეს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. ქონებრივი ზარალი შეიძლება მიყენებულია განზრახვის გარეშე, გაუფრთხილებლობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორ პირს შორის, მათი ნებისაგან დამოუკიდებლად, წარმოიშვება სამართლებრივი ურთიერთობა. ამ შემთხვევებშიც სამართალი აკმაყოფილებს დაზარალებულის ინტერესებს. გარდა ამისა, უფლებამოსილმა პირმა შესაძლოა არც კი იცის თავისი უფლებების შესახებ, ხოლო ვალდებულ პირს შეიძლება არც სურს თავისი მოვალეობის შესრულება. ამგვარ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობა აგრეთვე იბადება მხარეთა ნების გარეშე.

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სამართლებრივ ურთიერთობას აქვს ნებისყოფითი ხასიათი არა მარტოდენ იმ აზრით, რომ მასში გამოისახება კლასობრივი ნებისყოფა, არამედ იმ აზრითაც, რომ ის უპასუხებს სამართლებრივი ურთიერთობის ერთი ან ორივე მხარის შეგნებულად გამოხატულ ნებისყოფას. ასეთია სამართლებრივი ურთიერთობანი, წარმოშობილი ხელშეკრულების ან სამართლის სუბიექტების სხვა რომელიმე შეგნებული მოქმედების საფუძველზე, როგორცაა, საანდერძო განკარგულება, მემკვიდრეობის მიღება ან სამართლის დარღვევა. რომელიც იწვევს სამართლის დამრღვევის მოვალეობას ანაზღაუროს მიყენებული ზარალი.<sup>2</sup>

სახელმწიფოს და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოში სწორად არის აღნიშნული, რომ ყოველი სამართლებრივი ურთიერთობა განპირობებულია სამართლის ნორმებით. ურთიერთობანი მოქალაქეთა შორის იქცევა სამართლებრივ ურთიერთობებად იმის გამო, რომ სახელმწიფო წესებს სამართლის ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ ურთიერთობებს მოქალაქებსა, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა პირებს შორის.

„სამართალი წარმოადგენს სამართლის ნორმების ერთობლიობას, მაგრამ ამ ნორმებით განპირობებულია სამართლებრივი ურთიერთობების, ცალკეულ პირთა უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა. სამართალი როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენა გამოისახება არა მარტო იმით, რომ სახელმწიფო ადგენს სამართლის ნორმას, არამედ იმითაც, რომ ეს ნორმა ხორციელდება საზოგადოების ცხოვრებაში, რომ მის საფუძველზე ჩნდებიან სამართლებრივი ურთიერთობანი. ცალკეულ პირთა უფლებები და მოვალეობანი“<sup>3</sup>

<sup>1</sup> Теория государства и право, 1962, гл. 458.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 458.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 460.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას სახელმძღვანელოში გამოთქმულ ერთ ძირითად დებულებას: **სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენენ ერთიანობას. თუ არ შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ნორმის გარეშე, მეორეს მხრივ, სამართლის ნორმაც არ შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე;** მისი მნიშვნელობა არ შეიძლება გაიხსნას სამართლის ურთიერთობის გაუთვალისწინებლად. აქედან სახელმძღვანელო აკეთებს პრაქტიკულ დასკვნას: ამიტომ კანონიერების დაცვა არ შეიძლება განხორციელებულ იქნას, თუ არ იქნა დაცული სამართლებრივი ურთიერთობა, განსაკუთრებით კანონზე დაფუძნებული მოქალაქეთა უფლებები<sup>1</sup>.

სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა რომ მჭიდრო შინაგან კავშირშია, ეს ფაქტი არ საჭიროებს მტკიცებას. ცხადია, რომ სამართლის ნორმა თავისი ზემოქმედებით ჰქმნის სამართლებრივ ურთიერთობას. მაგრამ იბადება კითხვა: ამ დებულებას აქვს საყოველთაო მნიშვნელობა, თუ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც სამართლის ნორმა წარმოშობს უფლებასა და მოვალეობას სამართლის ურთიერთობის გარეშეც.

დაყენებული საკითხი შეადგენს მსჯელობის და დისკუსიის საგანს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, მას აქვს საერთო თეორიული ხასიათი. აქ ჩვენ მხოლოდ დავაყენეთ ეს საკითხი, დაწვრილებით მას გავარჩევთ შემდგომ გადმოცემაში. აქ კი წინასწარ აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული იყო აზრი, რომ **უფლება შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე, არ შეადგენდეს მის ელემენტს** „... субъективное право может существовать и вне правоотношения, не являясь его элементом».<sup>2</sup> ასეთად მიჩნეულია სამოქალაქო სამართლის აბსოლუტური უფლებები, რომელთაც შეესაბამება ყველა სხვა პირთა პასიური მოვალეობა, დადგენილი უშუალოდ კანონის საყოველთაო ნორმით.

## 2

ზემოთ დახასიათებული იყო სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ცნება როგორც ერთობლიობა იმ ნიშნებისა, რომლებიც ამ ცნების შინაარსს შეადგენენ. მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის ცნებას აქვს თავისი სახეობანი, ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც სამართლის ცალკეულ დარგებს ეკუთვნიან, მათ ერთმანეთისაგან გამოყოფენ. სამართლის ზოგად თეორიას ეს სპეციფიკური სახეობანი არ აინტერესებს, ისინი შეადგენენ ცალკეული იურიდიული დისციპლინების საგანს და ამ დისციპლინების წარმომადგენელთა ყურადღება ამ საკითხების კვლევადობაზე არის მიმართული.

სამართლის მეცნიერებაში მიღებულია იურიდიული ფაქტების ცნება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი. იურიდიული ფაქტები ასახავენ იმ მოვლენებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამართლის ნორმის ჰიპოთეზაში და რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. იურიდიულ ფაქტებს შორის ანსხვავებენ მოქმედებებს და ზღომილებას, ზღლო მოქმედებებს თა-

<sup>1</sup> Теория государства и права, 1962, гл. 460.

<sup>2</sup> Д. Генкин, Право собственности в СССР, 1961, стр. 30.

ვის მხრივ ჰყოფენ მართლზომიერ და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ე. ი. სამართლის დარღვევად.

ამგვარად, საერთოდ მიღებული კონსტრუქციით სამართლებრივი ურთიერთობა ითვალისწინებს ზოგადი სახით სამართლის ყველა დარგის შესაძლო ურთიერთობებს, იქნება ეს სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული თუ სხვა რომელიმე სამართლის დარგი. ადვილად გასაგებია, რომ იურიდიული ფაქტების ის ფართო ცნება, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული, მოიცავს სამართლის ყველა დარგს ერთიანად (ხდომილება, მართლზომიერი მოქმედება, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება). ამ ელემენტებით, ცხადია, მოცემულია სამართლებრივი ცხოვრების სხვადასხვა სახეები და ფორმები.

მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, აუცილებლად საჭიროა შევჩერდეთ ნოკლედ იმ თავისებურ, სპეციფიკურ სახეობაზე, რომელსაც დღეულობს სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ცალკეულ დარგებში. ამ მხრივ სავულისხმო სურათს იძლევა სისხლის სამართლის პროცესი. დაყენებული საკითხისადმი მიძღვნილია რამდენიმე სერიოზული მონოგრაფიული შრომა, რომლებიც თავის ამოცანად ისახავენ სამართლებრივი ურთიერთობის შესწავლას სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით.

ბ. გალკინი სწორად წერს, რომ საბჭოთა მეცნიერებაში მიღებული ცნება სამართლებრივი ურთიერთობის ცნება როგორც ადამიანთა შორის იდეოლოგიური ურთიერთობისა, რომელიც ხასიათდება მის მონაწილეთა შესაბამისი უფლებებით და მოვალეობებით, მხოლოდ ზოგადი სახით გამოიყენება სისხლის საპროცესო სამართალში. სისხლის საპროცესო სამართალს აქვს ბევრი თავისებურება. პირველ ყოვლისა, მიუღებელია სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ცნების ის ნიშნები, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო სამართლის ნორმების ორმხრივ წარმომადგენლობით მოვალეობის დამკისრებელ ხასიათს; მაგალითად, ბრალდებულის უფლება იცოდეს თუ რა ბრალდება წაუყენეს მას, არ არის უფლება გამომძიებლის ან პროკურორის წინააღმდეგ, იგი საერთო სამართლებრივი წესრიგის ელემენტია, რომელსაც პიროვნების თავისუფლების გარანტიები უკავშირდება. გარდა ამისა, სასამართლოს მოვალეობა დაასაბუთოს განაჩენი არის მოვალეობა არა მარტო ბრალდებულის მიმართ, არამედ სახელმწიფოს, საზოგადოების მიმართაც; სასამართლოს მრავალი მოვალეობა, რომლებიც საპროცესო წესრიგის ნაწილს წარმოადგენენ, ხორციელდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრალდებულს აქვს დაცვის უფლება, არამედ იმიტომაც, რომ მართლმსაჯულების სათანადო განხორციელება შეადგენს სახელმწიფო ფუნქციას, რომ სასამართლოს მიერ ყველა საპროცესო ნორმების შესრულება — სამართლიანი განაჩენის გამოტანის ერთ-ერთი გარანტიაა. იმიტომ, — დასკვნის გალკინი, — აბსოლუტურად მიუღებელია ცდა საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის აგებისა ცივილური ტიპის მიხედვით: „ბრალდებულს აქვს უფლება... იმიტომ გამომძიებელი მოვალეა“ და პირიქით.<sup>1</sup>

ხელმძღვანელობს რა ამ მოსაზრებით. გალკინი ამტკიცებს, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტების ორმხრივი დამოკიდებულება. იგი არის ისეთი მიმართება ხელისუფლების ორგანოსა და მოქალაქეებს შორის, რო-

<sup>1</sup> Б. Галкин, Советский уголовно-процессуальный закон, 1962, стр. 73.



მელშიც თითოეულ მონაწილეთა ყოფაქცევა ზუსტად დადგენილია კანონით დადგენილი მართალწარმოების ამოცანების შესაბამისად.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს სამართლებრივ კავშირს და ამავე დროს იგი ყოველთვის ურთიერთობაა ხელისუფლების ორგანოსა და მოქალაქეს შორის. ამიტომ ამ სახის სამართლებრივი ურთიერთობის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს მბრძანებლური მომენტის (ВЛАСТНОГО МОМЕНТА) არსებობა, რომელიც ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებაში გამოიხატება. ამით აისხნება ის გარემოება, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ვხვდებით ინსტიტუტებს, რომლებიც სრულიად გაუგებარია ტრადიციულად მიღებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის თვალსაზრისით, როგორცაა, საგამომძიებლო ქვემდებარეობა, სასამართლო ქვემდებარეობა, კასაცია, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა გადასინჯვა და სხვ. ამ ნიშნით, — წერს ვალკინი, — საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავდება სხვა მრავალი სამართლის დარგის სამართლებრივ ურთიერთობებისაგან.<sup>1</sup>

ხელისუფლების ორგანოს სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში ვალკინს არ ესმის როგორც ორგანოს უფლებებისა და მოვალეობების უბრალო შეჯამება. იგი აშკარად ებრძვის ხელისუფლების ფუნქციას, ე. ი. როგორც კონსტრუქციული ძალა, რომელიც თვით შეიცავს სავალდებულო ყოფაქცევის საფუძველს. მაგალითად, ექსპერტის დანიშვნა ჰქმნის უკანასკნელის მოვალეობას მისცეს დასკვნა; ცალმხრივი ნებისგამოცხადება იქნება, მაგალითად, სასამართლოს მიერ გარკვეული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა რსფსრ სსს კოდექსის 256 მ. მიხედვით, რაც წარმოშობს ამ პირსა და გამომძიებელს შორის სამართლებრივ ურთიერთობას.

მაგრამ თუ ასეთი მდგომარეობაა სისხლის სამართლის პროცესში, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს პროცესში აღიარებულ მონაწილეთა „თანასწორუფლებიანობის“ პრინციპს?

ვალკინის აზრით, მის მიერ წამოყენებული დებულება არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 38-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებების თანასწორობას. ვალკინი წერს, რომ არ უნდა აურიოთ ერთმანეთში ორი სხვადასხვა საკითხი. თანასწორობა საფუძვლების 38-ე მუხლის მნიშვნელობით, ე. ი. სასამართლოს წინაშე მტკიცების საშუალებებით სარგებლობის ერთნაირი შესაძლებლობა არის სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე მდებარე სასამართლო განხილვის ელემენტი, რომელშიც პოულობს თავის გამოხატულებას სასამართლოს და კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი. მეორეს მხრივ, საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არის სასამართლო განხილვის მონაწილეთა ურთიერთობა სასამართლოსთან, ხოლო ამგვარი კავშირი, ვალკინის აზრით, ხასიათდება იმ სამართლებრივი კავშირის ნიშნების უქონლობით, რომელსაც იცნობს სამოქალაქო სამართალი.

ვალკინის სიტყვით, სხვადასხვა საკითხების აღრევამ თავის დროზე გამოიწვია პროცესის როგორც საპროცესო ურთიერთობის თეორია, რომელსაც თვით-

<sup>1</sup> Б. Галкин, Советский уголовно-процессуальный закон, 1962, стр. 74.

ნებურად გადაქონდა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა ნიშნის სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვის სტრუქტურაზე<sup>1</sup>.

გალკინის შეხედულება დამაჯერებლად ვერ ჩაითვლება. როდესაც გალკინი ანსხვავებს სასამართლო განხილვის მონაწილეთა უფლებების თანასწორობას საფუძვლების 38-ე მუხლის მიხედვით და სამართლებრივ ურთიერთობას, ამ განსხვავებას იგი ვერ ასაბუთებს, მის არგუმენტაციას აკლია სიზუსტე და გარკვეულობა.

აღნიშნავს რა სისხლის საპროცესო სამართლის ურთიერთობის თავისებურებებს გალკინი წერს: სისხლის საპროცესო სამართლის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში მონაწილეობს არა ორი, არამედ რამდენიმე სუბიექტი, თანაც ერთი ან მეტი მათგანი ყოველთვის ხელისუფლების ორგანოა<sup>2</sup>.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მეორე ავტორის მიერ<sup>3</sup> გამოთქმული იყო აზრი, რომ სოციალისტურ მართლმსაჯულებას აქვს ზუსტად გამოხატული საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, ხოლო სისხლის სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მხრივ „სჭარბობს მბრძანებლურ-ნებელობითი საწყისი“, რაც თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურის, სასამართლოს ორგანოებს კანონმდებელი ანიჭებს ფართო შესაძლებლობებს დანაშაულობასთან სწრაფი და გადამწყვეტი ბრძოლის მიზნით. აღნიშნული სახელმწიფო ორგანოები არა მარტო მიუთითებენ სამართალწარმოების მონაწილეებს სათანადო ყოფაქცევას, არამედ აკისრებენ კიდევ ასეთ ყოფაქცევას. სისხლის სამართლის პროცესში ყველაზე უფრო ტიპიურ იურიდიულ ფაქტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოების მბრძანებლური მოქმედებანი (სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სამართალში მიცემა, განაჩენის გამოტანა)<sup>4</sup>.

თუ სამართლის ზოგიერთი სხვა დარგის (შრომის, სამოქალაქო და სხვ.) ურთიერთობათა სუბიექტებისათვის ტიპიურია ნებაყოფლობით შესვლა სამართლებრივ ურთიერთობაში, სისხლის საპროცესო სამართლის სუბიექტების უმრავლესობა შედის სამართლებრივ ურთიერთობაში უმთავრესად სახელმწიფო ორგანოთა მბრძანებლური განკარგულებით. მაგრამ ელკინდი იქვე აღნიშნავს, რომ ეს არ გამოირიცხავს ნებაყოფლობით შესვლასაც და მაგალითის სახით ასახელებს კერძო და კერძო — საჯარო ბრალდების საქმეებს.

ელკინდის აზრით, აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობების მბრძანებლური ხასიათი („властный характер“) გამოირიცხავს თანასწორობას სისხლის სამართლის საქმის წარმმართველ და გადამწყვეტ სახელმწიფო ორგანოებსა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის. მაგრამ ამავე დროს კანონმდებელი ითვალისწინებს ყველა სუბიექტის მრავალრიცხოვან უფლებებსა და გარანტიების სისტემას, სასამართლო განხილვის ძირითად მონაწილეთა პროცესუალურ თანასწორობას ამ უფლებების და გარანტიების გამოყენების საქმეში<sup>5</sup>.

ამგვარად, ამ ავტორის შეხედულებით, სისხლის სამართლის პროცესში

<sup>1</sup> Б. Галкин, Советский уголовно-процессуальный закон, 1962, стр. 75—76.

<sup>2</sup> იქვე, 88-76.

<sup>3</sup> П. Элькин, Сущность советского уголовно-процессуального права, 1963.

<sup>4</sup> იქვე, 88-70.

<sup>5</sup> იქვე, 88-70.

ხდება მბრძანებლური განკარგულებების შეხამება საპროცესო თანასწორობის პრინციპთან, რაც განპირობებულია საბჭოთა სისხლის სამართლის სამართალ-წარმოების დემოკრატიული საფუძვლებით.<sup>1</sup>

სამართლებრივი ურთიერთობის ცნებას ჩვენ ვხვდებით სამართლის სხვადასხვა დარგში. არავითარ დავას არ იწვევს ამ ცნების არსებობა სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული, შრომის სამართლის, საპროცესო სამართლის დარგებში. მაგრამ როდესაც წამოიჭრება საკითხი სისხლის სამართლის შესახებ, ზოგიერთი ავტორი უარყოფს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას ამ დარგში.

მაგალითად, ა. მიცკევიჩი წერს, რომ ძნელია განსაკუთრებული სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის კატეგორიის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასაბუთება. არც საბჭოთა კანონმა, არც სასამართლო პრაქტიკამ არ იციან ამგვარი კატეგორია და ეს შემთხვევითი არაა. როგორ ასაბუთებს მიცკევიჩი თავის აზრს? იგი მიუთითებს, რომ ბრალის დადგენა და სასჯელის დანიშვნა ხდება სისხლის საპროცესო ურთიერთობის ჩარჩოებში, ხოლო სასჯელის აღსრულება — გამასწორებელი შრომის ჩარჩოებში. სადაა აქ ადგილი განსაკუთრებული სისხლის სამართლებრივი ურთიერთობისათვის, რომელიც წარმოიშვება, ამ კატეგორიის მომხრეთა უმრავლესობის აზრით, დანაშაულის ჩადენის შედეგად? გვჩება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მაშინ, როდესაც დანაშაული არაა გახსნილი და სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია სისხლის სამართლის დენის ხანდაზმულობის გასვლის გამო. მაგრამ ასეთი მდგომარეობა უფრო შეიძლება განვიხილოთ როგორც შეწყვეტა და არა როგორც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა.<sup>2</sup>

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მიცკევიჩის შეხედულებას. თეორიაში დასმული იყო საკითხი: როდის წარმოიშვება სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა — დანაშაულის ჩადენის თუ განაჩენის გამოცხადების მომენტიდან? უფრო მისაღებია პირველი ვარიანტი, ვინაიდან სწორედ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან იბადება სახელმწიფოს უფლება გამოიყენოს სათანადო ღონისძიება დამნაშავის მიმართ, ხოლო დამნაშავის მხარეზე — მოვალეობა აგოს პასუხი ჩადენილი ქმედობისათვის. დანაშაულის ჩადენის თვით ფაქტი ჰქმნის ამ სამართლებრივ კავშირს.<sup>3</sup>

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დასმული იყო საკითხი სამართლის ნორმის და სამართლებრივი ურთიერთობის დამოკიდებულების შესახებ. საკითხი თავისი შინაარსით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩვენ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ აღნიშნული საკითხი, რომელიც ეკუთვნის არა ერთ რომელიმე სპეციალურ იურიდიულ დისციპლინას, არამედ სამართლის ყველა დარგს აინტერესებს და ამდენად სამართლის ზოგადი თეორიის ძირითად პრობლემას წარმოადგენს.

დაყენებული საკითხი საბჭოთა სამართლის მეცნიერებაშიც სხვადასხვა გადაწყვეტას პოულობს.

<sup>1</sup> П. Элькин, Сущность советского уголовно-процессуального права, 1963 стр. 70.

<sup>2</sup> А. Мицкевич, Субъекты советского права, 1962, стр. 101.

<sup>3</sup> Б. Галкин, Советский уголовно-процессуальный закон, стр. 82.

ზოგიერთი ავტორის შეხედულებით, სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობა ერთ მთლიანს წარმოადგენენ. მათი აზრით, სამართლებრივი ურთიერთობა — ეს ნორმის განხორციელებაა. მაშასადამე, სამართლებრივი ურთიერთობა შეტანილია სამართლის ცნებაში.

არიან ავტორები, რომლებიც გამოიციხნენ სამართლებრივ ურთიერთობას სამართლის ცნებიდან. ამ შეხედულების თანახმად, სამართალი გავებულია როგორც ნორმა, ხოლო სამართლებრივი ურთიერთობა სამართლის ნორმის ფაქტიურ შესრულებას წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, პირველი შეხედულება უფრო სწორი და მისაღებია, ვინაიდან მას შეაქვს სამართლის ურთიერთობა სამართლის ზოგად ცნებაში. იგი იძლევა სამართლის ფართო ცნებას და უფრო შეესაბამება რეალური საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხედულებას სჭირდება დაზუსტება.

იმ დებულებიდან, რომ სამართლებრივი ურთიერთობა უნდა მოთავსდეს სამართლის ზოგად ცნებაში, არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა სამართლის ნორმის და სამართლებრივი ურთიერთობის იგივეობის შესახებ. მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, დაუშვებელია სამართლებრივი ურთიერთობის და სამართლის ნორმის ერთმანეთისაგან გათიშვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი სწორად აქვს გადაჭრილი ბ. გალკინს, რომელიც უარჰყოფს ორ უკიდურეს შეხედულებას. იგი ამტკიცებს, რომ ნორმის და სამართლებრივი ურთიერთობის გაიგივება ნიშნავს სამართლის მოწყვეტას ცხოვრებისაგან, მის ჩაქცევას ფორმალურ-ლოგიკურ კონსტრუქციებში, სამართლის შემოქმედებითი როლის შესუსტებას.<sup>1</sup>

სამართლებრივი ურთიერთობა, წერს იგი, შეადგენს რა ერთიანობას მის განმათვალისწინებელ ნორმასთან, იმავე დროს განსხვავდება პრაქტიკული და სოციალურ-პოლიტიკური ნიშნების მრავალსახეობით, რომლებიც მას აკავშირებენ კონკრეტულ საზოგადოებრივ-ისტორიულ გარემოებასთან. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინდივიდუალური ნებისყოფა, შედის რა ურთიერთმოქმედებაში ნორმით გამოხატულ სახელმწიფო ნებისყოფასთან, ამავე დროს განიცდის იმ იდეოლოგიური, პოლიტიკური, მორალური და სხვა ფაქტორების გავლენას, რომლებიც სამართლის ნორმის გამოყენების პერიოდში მოქმედებენ<sup>2</sup>.

სამართლებრივი ურთიერთობა კონკრეტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ იგი უფრო მდიდარია თავისი შინაარსით, ვიდრე სამართლის ნორმა, რომელიც ზოგადი და განყენებული თვისებისაა.

როდესაც ვინილავთ სამართლის ნორმის და სამართლებრივი ურთიერთობის დამოკიდებულებას, აუცილებლად იბადება საკითხი — სამართლის ნორმის მოქმედება ყოველთვის გამოისახება სამართლებრივ ურთიერთობათა დადგენაში თუ არა? ყოველთვის ჰქმნის, იწვევს სამართლის ნორმა თავისი შემოქმედების შედეგად გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობას. თუ შესაძლოა შემთხვევები, როდესაც სამართლის ნორმა აწესებს უფლებებს და მოვალეობებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის გარეშე?

საკითხი, როგორც ვხედავთ, მეტად რთული და საინტერესოა; იგი ეკუთვნის

<sup>1</sup> Б. Галкин, Советский уголовно-процессуальный закон, стр. 83.

<sup>2</sup> იქვე, 83-84.

ნის არა სამართლის ერთ რომელიმე დარგს, არამედ სამართლის ზოგად თეორიაში რიას.

აღნიშნული საკითხი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანს წარმოადგენს და გადაწყვეტილი იყო სხვადასხვა გზით.

სახელმწიფო და სამართლის თეორიის სახელმძღვანელო, გამოცემული 1962 წელს, აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმები და სამართლებრივი ურთიერთობანი წარმოადგენენ ერთ მთლიანობას; არ შეიძლება მათი მეტაფიზიკურად დაპირისპირება. სამართლებრივი ურთიერთობა — ესაა ნორმა მოქმედებაში, განხორციელებაში, მაგრამ სამართლის ნორმის მოქმედება არ დაიყვანება მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობების შექმნაზე. სამართლის ნორმის მოქმედება ზოგჯერ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მოვალეობათა დაწესებაში. მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმები, რომლებიც ხულიგნობის დასჯადას ითვალისწინებენ, აკისრებენ ყველა მოქალაქეს მოვალეობას თავი შეიკავოს ამგვარ ქმედობებისაგან, მაგრამ ხულიგნური მოქმედების ჩადენამდე არავითარი სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშვება. სამართლის ნორმის მოქმედება შეიძლება აგრეთვე გამოიხატოს ამა თუ იმ პირთა უფლებათა უნარიათობის განსაზღვრაში. მაგალითად, რსფსრ-ის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან შეეზღუდოს უფლებები, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა და წესისა, მაგრამ ეს დებულება თავისთავად არ ჰქმნის სამართლებრივ ურთიერთობებს.<sup>1</sup>

ამგვარად, სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს სამართლის ნორმის მოქმედების შედეგს. მაგრამ ზემოთ აღნიშნული შეხედულებით სამართლის ნორმა ყოველთვის არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობებს. მოტიანილი იყო მაგალითი სისხლის სამართლის დარგიდან. საერთოდ ამ დარგიდან შეიძლება მოვიტანოთ მრავალი მაგალითი იმისა, რომ კანონი ზოგადი სახით აწესებს მოქალაქეთა მოვალეობას არ ჩაიდინონ ვარკვეული ქმედობანი, რომლებიც მიმართულია კერძო პირთა თუ სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ, მაგრამ აქ გადასაჭრელია საკითხი — სისხლის სამართლის ნორმა ჰქმნის თუ არა რაიმე სამართლის ურთიერთობებს? დადგენილია ზოგადი ხასიათის მოვალეობა, ხოლო კონკრეტული ხასიათის სამართლებრივი ურთიერთობა ჯერჯერობით არ არსებობს, იგი წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება იურიდიული ფაქტი.

დაყენებულ პრობლემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სამოქალაქო სამართლის დარგში. ამ მხრივ საგულისხმოა პროფ. დ. გენკინის მოსაზრებანი, რომლებიც მან გამოთქვა საკუთრების უფლების ცნების ანალიზთან დაკავშირებით.

გენკინის აზრით, საკუთრების უფლების განსაზღვრა როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტისა ვალდებულ პირთა გაურკვეველი ოდენობით. მოითხოვს კრიტიკულ გადასინჯვას. რას წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობა ვალდებულ პირთა განუსაზღვრელი შემადგენლობით? გენკინი ამტკიცებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის უნდა იყოს კონკრეტული იმ

<sup>1</sup> Теория государства и права, под ред. Ромашкина, Строговича и Туманова, 1962, стр. 462.

აზრით, რომ მის შინაარსს წარმოადგენენ გარკვეულ პირთა უფლება-მოვალეობანი.<sup>1</sup>

არ შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობა ვალდებულ პირთა გაურკვეველი შემადგენლობით. საყოველთაო მოვალეობა წესდება უშუალოდ კანონით, სამართლის ნორმით, იგი არ წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა უსასრულო რიცხვის ელემენტს პირთა განუსაზღვრელი ოდენობით. ყოფაქცევის წესი, გაბატონებული კლასის ნების გამომხატველი, დადგენილი ზოგადი ფორმით, წარმოადგენს სამართლის ნორმას, და არა სამართლის ურთიერთობას.

სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ე. ი. ურთიერთობებს ადამიანთა შორის, და არა ადამიანის ურთიერთობებს ნივთთან. მაგრამ სამართალს შეუძლია მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობა არა მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობათა დადგენის გზით კონკრეტულ პირთა შორის. ადამიანთა ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საშუალებანი სხვადასხვა ხასიათისაა. თუ მოვალეობას აქვს აქტიური ხასიათი ან პასიური მოვალეობა ეკისრება მხოლოდ გარკვეულ პირს, უფლების და სათანადო მოვალეობის წარმოშობისათვის აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა კონკრეტულ პირთა შორის, რომლის ელემენტებს უფლებანი და მოვალეობანი წარმოადგენენ. ასეთი მდგომარეობაა ვალდებულებებითი უფლებების (შეფარდებითი უფლებების ОТНОСИТЕЛЬНЫХ ПРАВ) დარგში და როდესაც დარღვეულია მესაკუთრის უფლება გარკვეული პირის მიერ. მაგრამ თუ თვითონ კანონი ადგენს საყოველთაო პასიურ მოვალეობას, ხოლო ამას აქვს ადგილი საკუთრების უფლების მიმართ, მესაკუთრის უფლების დარღვევამდე გარკვეული პირის მიერ იხსნება საჭიროება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დადგენისა კონკრეტულ პირთა შორის. ეს მოვალეობა არის რა საყოველთაო, არ საჭიროებს დადასტურებასა და გამაგრებას სამართლებრივ ურთიერთობის გზით<sup>2</sup>.

მაშასადამე, გენკინის აზრით, სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის კონკრეტულია. უფლება შეიძლება არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობის გარეშეც, არ შეადგენდეს მის ელემენტს. ასეთია ყველა აბსოლუტური უფლებები, რომელთაც შეესაბამება პასიური მოვალეობა ყველა სხვა პირებისა, დაწესებული უშუალოდ კანონის საყოველთაო აკრძალვითი ნორმით. მოცემული პირის საკუთრების უფლების დარღვევა გარკვეული პირის მიერ წარმოადგენს იმ იურიდიულ ფაქტს, რომლის ძალით დგინდება მესაკუთრის სამართლებრივი ურთიერთობა დამრღვევთან, რაც ანიჭებს მესაკუთრეს ვინდიკაციურ და ნეგატორულ სარჩელებს<sup>3</sup>.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოთქმულია პროფ. გენკინის შეხედულება შემდეგ სიტყვებში: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მესაკუთრე შედის სამართლებრივ ურთიერთობაში ყველა პირთან, რომლებმაც არც კი იცნან მოცემული პირის არსებობის და მისდამი ამა თუ იმ ნივთის კუთვნილების შესახებ და რომელთაც არ იცნობს თვით საკუთრების უფლების მატარებელი. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ყველა მოქალაქე წარმოადგენს მოცემული პირის სა-

<sup>1</sup> Д. Генкин, Право собственности в СССР, 1961, стр. 34.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 39.



კუთრების უფლების პოტენციურ დამრღვევს, და ამიტომ ეს პირი იმყოფება ყველა სხვა მოქალაქეებთან სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც მიზართულია პასიური ვალდებულებების დამყარებაზე თავი შეიკავონ საკუთრების უფლების დარღვევისაგან.<sup>1</sup>

ამგვარად, სამართლის მეცნიერებაში ზემოთ დასახელებული პრობლემა გადაჭრილია ორი სხვადასხვა გზით.

**ერთნი ფიქრობენ**, რომ სამართლის ნორმა, თუმცა მჭიდროდ დაკავშირებულია სამართლებრივ ურთიერთობასთან, მაგრამ ყოველთვის არ წარმოშობს მას; **სამართლის ნორმას უშუალოდ, სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე, შეუძლია დაადგინოს საყოველთაო მოვალეობა**, რომელიც უკარნახებს მოქალაქეებს გარკვეულ ყოფაქცევას; **სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც ირღვევა ეს ნორმა.**

**მეორენი ამტკიცებენ**, რომ სამართლის ნორმა თავისი შინაარსით ყოველთვის ჰქმნის იურიდიულ ურთიერთობებს. ამ შეხედულების მომხრეები სამოქალაქო სამართალში მოცემულ აბსოლუტურ უფლებათა არსს ხედავენ იმაში, რომ აქ თითქოს დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობანი პირთა გაურკვეველი ოდენობით.

მაგრამ თუ მივიღებთ დებულებას, რომ **სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის ატარებს კონკრეტულ ხასიათს**, მეორე კონცეფციას ეკარგება საფუძველი.

<sup>1</sup> Д. Генкин, Право собственности в СССР, 1961, стр. 37.

## სახალხო მოსამართლეთა ვადამდე განჯვის ნაისს შესახებ

ა. გავია

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამარჯვებულმა პროლეტარიატმა შექმნა სრულიად ახალი ტიპის სასამართლო, რომლის დანიშნულებას შეადგენდა პირველყოვლისა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლა და ამავე დროს თვით მშრომელთა შორის დისციპლინისა და თვითდისციპლინის გატარება<sup>1</sup>.

არსებობის პირველსავე დღიდან საბჭოთა სასამართლო უადრესად დემოკრატიულია. იგი მტკიცედ იცავს სოციალისტური სახელმწიფოსა და მშრომელთა ინტერესებს. მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის დემოკრატიული საფუძვლები თანდათან მტკიცდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის საქმეში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად.

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციით საკანონმდებლო წესით განმტკიცდა საბჭოთა სახალხო სასამართლოს დემოკრატიული პრინციპები. ერთ-ერთი ასეთი პრინციპია— ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საწყისებზე.

სასამართლოს შემადგენლობის დაკომპლექტება არჩევნების გზით, კონსტიტუციური პრინციპია, რომლისგანაც გამომდინარეობს სახალხო მოსამართლეთა ვალდებულება სისტემატურად აბარებდნენ ანგარიშს ამომრჩევლებს და ამომრჩეველთა უფლება ვადაზე ადრე გაიწვიონ მოსამართლე,

თუ ეს უკანასკნელი არ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

ამ წერილში ჩვენ შევჩერდებით სახალხო მოსამართლის ვადაზე ადრე გაწვევის შესახებ არსებულ წესზე და ამომრჩეველთა ამ უფლების განხორციელების პრაქტიკაზე საქართველოს სსრ-ში.

სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საკავშირო საფუძვლების 35-ე მუხლის და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-20 მუხლის მიხედვით ამომრჩევლებს უფლება აქვთ ვადაზე ადრე ჩამოართვან რწმუნებანი მათ მიერვე არჩეულ სახალხო მოსამართლეს, ან სახალხო მსაჯულს. ამ საკანონმდებლო აქტში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის წესს ადგენენ შესაბამისი უმაღლესი საბჭოეები.

გამომდინარე აქედან საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე 1961 წლის დეკემბერში მიღებული იქნა კანონი „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის წესის შესახებ“. ან კანონის II განყოფილება (2—14 მუხლები) შეეხება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა გაწვევის წესს.

სავსებით ლოგიკურია კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ რაიონული

(საქალაქო) სასამართლოს სახალხო მოსამართლის ვადამდე გაწვევის საკითხის გადაწყვეტა შეუძლიათ იმათ, ვის მიერაც ეს მოსამართლეა არჩეული, ე. ი. ამ რაიონის ან ქალაქის ამომრჩეველებს. გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ ამ რაიონის (ქალაქის) სასამართლოში სახალხო მოსამართლეთა კანდიდატურების წამოყენების უფლება. სახელდობრ: პარტიულ, პროფკავშირულ, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კოლექტიურ საზოგადოებებს, მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებს საწარმოებსა და დაწესებულებებში, გლეხებს კოლმეურნეობებსა და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსამსახურეებს — საბჭოთა მეურნეობაში, სამხედრო მოსამსახურეებს — ჯარის ნაწილებში.

მოსამართლის გაწვევის საკითხის აღმძვრელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან მშრომელთა კრებები კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ვალდებულნი არიან ამის შესახებ აცნობონ იმ მოსამართლეს, რომლის გაწვევის საკითხს აყენებენ და აღნიშნონ თუ რა მოტივები უდევს საფუძვლად ასეთ გადაწყვეტილებას. მოსამართლეს უფლება ეძლევა სათანადო ახსნა-განმარტება (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) წარუდგინოს ორგანიზაციებსა და კრებებს, რომლებმაც მისი გაწვევის საკითხის აღძვრა გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი წესი, რაც ხელს უწყობს ამომრჩეველთა ნების განხორციელებას მოსამართლეთა გაწვე-

ვის საკითხში შეცდომის თავიდან აცილებას, დადგენილია მშრომელთა დებუტატების საბჭოების დებუტატის გაწვევის შესახებ მოქმედი კანონმდებლობითაც.<sup>1</sup>

იგულისხმება, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოსამართლის ახსნა-განმარტების შედეგად შესაბამისმა ორგანიზაციებმა და კრებებმა შესცვალონ თავიანთი განზრახვა მოსამართლის გაწვევის საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრების გადაწყვეტილებები სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ, უნდა გადაეზავნოს მშრომელთა დებუტატების შესაბამისი რაიონის ან ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს. ეს უკანასკნელი კი ვალდებულია დანიშნოს კენჭისყრა სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ. ცხადია, გაწვევის საკითხი აღძრული უნდა იქნეს დადგენილი წესის დაცვით.

თვით კენჭისყრა სახალხო მოსამართლის გაწვევის შესახებ მოსამართლის არჩევისაგან განსხვავებით, ღიად სწარმოებს. იგი ტარდება რაიონის (ქალაქის) ამომრჩეველთა კრებებზე, საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებსა და ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მანამდე კი ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც თვითეული მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია უფლება აწარმოონ აგიტაცია, როგორც სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ, ისე გაწვევის საწინააღმდეგოდაც.

<sup>1</sup> „კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს დებუტატის გაწვევის წესის შესახებ“. 1960 წ. 25 ივნისი, მუხ. მე-3.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

კრება, რომელზედაც განიხილება და წყდება მოსამართლის გაწვევის საკითხი, დასახელებული კანონის მე-9-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ მას დაესწრება და მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ჯარის ნაწილებში მომუშავე ამომრჩეველთა უმრავლესობა და როდესაც ასეთი კრება ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ. სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხზე მოწვეული კრების ხელმძღვანელობისათვის შეკრებილი ირჩევენ პრეზიდიუმს, რომელიც კანონის მე-10 მუხლში დადგენილი წესით აფორმებს ოქმს და არა უგვიანეს სამი დღისა გადაუგზავნის მას მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ამრიგად, რაიონის (ქალაქის) ფარგლებში ყველა საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ნაწილებსა და ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო მოსამართლის გაწვევის საკითხზე ჩატარებული კრების ოქმები, ხელმოწერილი კრების პრეზიდიუმის ყველა წევრის მიერ, თავს იყრის რაიონულ, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც არკვევენ კენჭისყრის შედეგებს. საკითხის გადაწყვეტა ხმების უმრავლესობით ხდება, ე. ი. სახალხო მოსამართლე გაწვეულად ჩაითვლება და მას ვადაზე ადრე ჩამოერთმევა რწმუნება, თუ გაწვევას ხმა მისცა ამ კრებაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტმა. თუ სახალხო მოსამართლის გაწვევას ხმა მისცა ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებმა, იგულისხმება, რომ მოსამართლის ვადაზე ადრე

გაწვევა არ მოხდა და იგი რჩება თავის თანამდებობაზე.

ცხადია, რომ მოსამართლის გაწვევის საკითხზე მოწვეული კრების ოქმების ზუსტად და სწორად შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა ნების გასარკვევად, ამიტომაც კანონის მე-10 მუხლში საგანგებოდ არის ხაზგასმული, თუ რა უნდა აღინიშნოს კრების ოქმში: კერძოდ, იმ კოლექტივის ამომრჩეველთა საერთო რიცხვი, სადაც კრება მოიწვევა, კრებაზე დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვი და სახალხო მოსამართლის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიღებული ხმების რაოდენობა.

რაიონის, ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს ვვალებათ კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის შემდეგ, არა უგვიანეს 5 დღისა, გამოაქვეყნონ ისინი. კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება გულისხმობს აგრეთვე ამ შედეგების საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული თუ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გადაწყვეტილების გამოტანას ან ოქმის გაფორმებას სახალხო მოსამართლის გაწვევისა ან თანამდებობაზე დატოვების შესახებ.

„საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გაწვევის წესის შესახებ“ კანონის მიღებამდე, ე. ი. 1961 წლის დეკემბრამდე, ჩვენს რესპუბლიკაში იყო შემთხვევები სახალხო მოსამართლეთა გაწვევისა, იმ დროს, როდესაც გაწვევის წესის დამდგენი სპეციალური კანონი არ არსებობდა, მოსამართლეთა გაწვევის შემდეგი პრაქტიკა იყო დამკვიდრებული:

პარტიულ ორგანიზაციებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მოქალაქეებს, აგრეთვე ზემდგომ სასამართლო ორგანოებს შეეძლოთ დაეყენებინათ სახალხო მოსამართლის გამოწვევის საკითხი სუსტი მუშაობისათვის

ან მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო. თუ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საფუძველს საკმარისად ჩათვლიდა, იგი წარდგინებით შედიოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სახალხო მოსამართლის გამოწვევის შესახებ.

ასე მაგალითად, პარტიულმა ორგანოებმა, განიხილეს რა საკითხი ქ. თბილისის სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ, საშიშ დამნაშავეებისა და რეციდივისტების მიმართ სასჯელების შემცირებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წინაშე დააყენა საკითხი ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლის და კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის ვადამდე აღრე განთავისუფლების შესახებ.

ამის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 1960 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეტანილი იქნა წარდგინება ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე დატოვების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან გაწვევის შესახებ“. იმავე წლის 19 ნოემბერს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ თავის ბრძანებაში აღნიშნა: „ვაცხადებ, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ი. ყ. გაწვეულია მოსამართლის თანამდებობიდან“.

ანალოგიურად არის გაფორმებული

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლის ვ. ჯ—ს გაწვევა, კასპის რაიონის სახალხო მოსამართლის ა. გ—ეს გაწვევა, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლის ლ.დ—ს გაწვევა და ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სახალხო მოსამართლის ვ. ჯ—ს გაწვევა, თუმცა ამ უკანასკნელთა გაწვევის საკითხის საბოლოო გაფორმება მოხდა არა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით, არამედ მაშინ არსებულ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

ახალი კანონის მიხედვით მოსამართლის გაწვევა მოხდა ქ. ფოთში. 1962 წლის 27 აპრილს მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი სახალხო მოსამართლის ჯ. კ—ს მუშაობის შესახებ და გამოიტანა გადაწყვეტილება მისი ვადამდე გაწვევის საკითხის აღძვრის თაობაზე. მაგრამ კენჭისყრა მოსამართლის გაწვევის შესახებ დანიშნა არა აღმასკომმა, არამედ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1962 წლის 25 მაისის ბრძანებულებით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამას კანონი არ მოითხოვს. კენჭისყრა განხორციელდა 1962 წლის 1—6 ივნისს და ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით მოსამართლე ვადამდე გაწვეული იქნა თანამდებობიდან.

ვალაზე აღრე გაწვევის მსგავსი წესია დადგენილი სახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების გაწვევის საკითხშიც. კანონის მიღების შემდეგ, ე. ი. 1961 წლის დეკემბრის შემდეგ, საქართველოს სსრ-ში ადგილი არ ჰქონია სახალხო მსაჯულთა გაწვევის გან-

ხორციელების არც ერთ შემთხვევას.

სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარების თანამედროვე დონე, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების დღევანდელი ამოცანები მოითხოვენ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მშრომელთა — ამომრჩეველთა როლის ამაღლებას სახალხო მოსამართლეთა მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების

მიზნით, რომ ყოველი არჩეული სახალხო მოსამართლე და მსაჯული გრძობდეს ამომრჩეველთა კონტროლს და უფლებამოსილებას გაიწვიონ ვადამდე ადრე ისინი, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის — ამომრჩეველთა ნება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სოციალისტური დემოკრატიზმის ხალხურობას, მის ცხოველყოფელობას.



## აბორტი სოსიალური ბორჯება

აღმკობი ვ. ბაძრაძე

აბორტის არსებობას უმეტესად სოციალური მიზეზებით ხსნიან, რადგან მეტად მცირეა ისეთი შემთხვევები, როდესაც აბორტს ქალი მიმართავს სამედიცინო მაჩვენებლების გამო.

აბორტის პრობლემის სათანადო შესწავლისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გადავავლოთ თვალი მის შესახებ კანონმდებლობის ისტორიას.

ძველ ბერძნულ სამართალში ჩვენ ვერ ვპოულობთ პირდაპირ მითითებას აბორტისათვის დასჯაზე, მხოლოდ მეზუთე საუკუნეში ჩვენს ერამდე ლიზი ამუშავებს მოძღვრებას სულიერ და უსულო ჩანასახის შესახებ, სულიერი ჩანასახის მოსპობა მას მკვლევლობად მიაჩნია. ჰიპოკრატე თავის ფიცში ხელოვნურ აბორტს მიიჩნევს დანაშაულად. იგი იცნობს აბორტის გაკეთების ხერხებს და აღწერს მათ თავის შრომებში. პლატონი და არისტოტელე ხელოვნურ აბორტს არ თვლიან დანაშაულად და მას მიიჩნევენ მოსახლეობის ზრდის პრობლემათა გადაწყვეტის ბერკეტად.

ძველ რომში აბორტს ასევე არ მიიჩნევენ დანაშაულად, მაგალითად, სტოელთა ფილოსოფიური სკოლა, უარყოფდა რა ჩანასახს, როგორც სულიერ არსებას, უარყოფითად ეკიდებოდა აბორტის გაიგივებას ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთან. მაგრამ, როცა აბორტის ეპიდემიამ იმპერიის პერიოდში მიიღო მეტად სახიფათო მასშტაბები, წარმოიშვა შეხედულებანი, რომლებიც ვმობდნენ

აბორტს. ასე, რომის იმპერატორებმა სევრმა და მარკ-ავრელიუსმა აკრძალეს აბორტის გასაკეთებელ ინსტრუმენტებით ვაჭრობა, მათი გაკეთებისათვის დააწესეს დამნაშავე პირის განდევნა, მომავალ ბავშვის მამისათვის „ზარალის ანაზღაურებითურთ“. უკვე სენეკა თავისი დედის საუკეთესო ღირსებად სთვლიდა მას, რომ დედას არც ერთხელ არ მიუმართავს აბორტისათვის, ხოლო ციცერონი მოითხოვდა აბორტისათვის ქალის დასჯასაც, რადგან „მან (ქალმა) „რესპუბლიკას მოპარა მისთვის (რესპუბლიკისათვის) განკუთვნილი მოქალაქე“.

ადრეულ შუა საუკუნეებში იუსტიციანეს კოდექსი მკაცრად სჯიდა აბორტის გამკეთებელ პირს.

ქრისტიანობა აცხადებდა რა — ქრისტიანთა შვილები ქრისტიანნი არიან — მეექვსე კონსტანტინეპოლის სინოდზე დაადგინეს, რომ „სიცოცხლის მომსპობნი თვით უნდა იქნეს მოსპობილი“.

კანონიკური სამართლის ეპოქაში აღიარებდნენ დებულებას „home est qui est futurus-ო“. „ადამიანია ისიც ვინც უნდა დაიბადოს“-ო.

მე-9 საუკუნეში (866 წელს) პაპა სტეფან მეხუთემ გამოსცა ედიქტი, რომლითაც პირი, რომელიც აბორტის მეშვეობით ჩანასახს მოსპობდა, ითვლებოდა მკვლევად.

კარლოს მეხუთეს კოდექსი (1533 წელი), ქმარს, რომელიც გაუქმებდა ცოლს აბორტს, სჯიდა თავის მოკვეთით, ხოლო ქალს, რომელიც მიმართავდა



აბორტს, წყალში ახრჩობდნენ ან სხვა სახის სიკვდილით სჯიდნენ.

ინგლისში გვიანი შუა საუკუნეების მთელ მანძილზე თვით მეცხრამეტე საუკუნემდე ჩანასახის მოსპობა მისი პირველი განძრევის შემდეგ ისჯებოდა სიკვდილით, მანამდე კი გადასახლებით ან ციხით 14 წლამდე.

საფრანგეთში პირს, რომელიც გაუკეთებდა ქალს აბორტს, ჩამოახრჩობდნენ ხოლმე.

განსაკუთრებით მკაცრი სასჯელები კაცობრიობამ აბორტისათვის დააწესა მე-16, მე-17 საუკუნეებში ინკვიზიციური პროცესის წარმოშობასთან ერთად. ასე, საფრანგეთში აბორტისათვის სიკვდილი დააწესეს 1562 წელს, ინგლისში 1524 წელს, გერმანიაში 1533 წელს, ხოლო რუსეთში 1649 წელს მეფე ალექსი მიხეილის ძეს ძეგლისდებით.

ცნობილი იტალიელი იურისტის ბეკარიას შრომის „დანაშაულთა და სასჯელთა შესახებ“ გამოცემის შემდეგ კანონმდებლობა იღებს უფრო ლიბერალურ ხასიათს. ამიტომ 1764 წელი, ე. ი. ბეკარიას შრომის გამოცემის წელი, მიჩნეულია საერთოდ კანონმდებლობათა და კერძოდ აბორტის შესახებ კანონმდებლობის განვითარებაში გარდატეხის თარიღად.

ამჟამად საფრანგეთში მოქმედებს 1923 წლის 29 მარტის კანონი, რომელიც აბორტმახერს სჯის ერთიდან ხუთ წლამდე და ჯარიმით 500-დან 10000 ფრანკამდე.

ამასთანავე ექიმს, რომელიც გააკეთებს აბორტს, უნდა ჩამოერთვას დიპლომი.

ინგლისში ძალაშია 1929 წლის კანონი „ჩვილთა სიცოცხლის შენარჩუნების შესახებ“, 1948 წლის შესწორებით. ამ კანონის საფუძველზე აბორტმახერი ისჯება სამუდამო პატიმრობით, უკეთუ აბორტი არ იყო გაკეთებული დედის სიცოცხლის გადასარჩენად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 შტატიდან 31-ში აბორტი ნებადართულია.

ინდოეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცნობს, რომ პირი, რომელიც ქალს იძულებით უკეთებს აბორტს, არის მკვლელი და სჯის ასეთ პირს მკვლელობისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 312-ე მუხლი ერთნაირად სჯის, როგორც აბორტმახერს, ასევე აბორტირებულ ქალს პატიმრობით 3-დან 7 წლამდე და დამნაშავეს აგრეთვე გადასდება ჯარიმა. კანონმდებელი ინდოეთში ასე მკაცრად უდგება ამ დანაშაულს მიუხედავად იმისა, რომ, საკუთრივ ინდოეთის მოსახლეობა 375 მილიონს აღემატება.

როგორც ვხედავთ, ბევრი ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იბრძოდა და იბრძვის აბორტის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი სასჯელებით, მაგრამ მხოლოდ რეპრესიები ვერ აღწევენ სასურველ შედეგს. შიში კი არ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის მოქმედებას, არამედ შეგნება, პასუხისმგებლობა თავის შთამომავლობის შენარჩუნებისათვის და უპირველესად მოქალაქეობრივი ვალი თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ჩვენი კანონმდებლობა აბორტის შესახებ უნდა შესწორდეს, ჩემის აზრით, შემდეგი მიმართებით:

1) საერთოდ სავადმყოფოს პირობებში ნებართვის მიუხედავად სასტიკად უნდა აიკრძალოს პირველი ფენსმიძიობის აბორტი, რადგან იგი განსაკუთრებით საშიშია ქალის ჯანმრთელობისათვის.

2) სოციალური პროფილაქტიკის თვალსაზრისით მეტი შედეგის მქონე იქნება, რომ უფრო მკაცრად ისჯებოდეს აბორტმახერი, ვიდრე დღეს ისჯება, რადგან იგი თავის შრომით დღეს იწყებს რამდენიმე სიცოცხლის მოსპობით და თავისი შრომითი საქმიანობის

მიზანს და დანიშნულებას ხედავს მომავალ სიცოცხლეთა წინასწარ განზრახულ მოსპობაში.

აბორტის მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მისი რიცხვი ყველა ქვეყანაში დღითი დღე იზრდება. ხოლო ზოგიერთ ხალხისათვის იგი წარმოადგენს ღიდ საფრთხეს. ცნობილი ფრანგი ექიმი კატიე ამბობდა: „თუ იარსებებს საფრანგეთი მომავალში, იგი აბორტების გამო იარსებებს ფრანგების გარეშე...“

ჩვენი რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემები აბორტის შესახებ ნათელიყოფენ, რომ აბორტი წარმოადგენს ღიდ შემაფერხებელ მიზეზს ჩვენი ხალხის მომავალი ზრდისათვის. ამიტომ საჭიროა ამ სოციალური ბორტების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა. ყოველღლიური საერთო საშუალო რიცხვი აბორტებისა, ჩვენს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ახალდაბადებულთა რიცხვის ნახევარს აღწევს. ამრიგად, არასრულყოფილი აღრიცხვის დროსაც ნათელი ხდება, რომ ყოველი მესამე ჩანასახი ყოველწლიურად ისპობა. ეს დასკვნა უფრო მწვავედ იმით, რომ თუ ახალდაბადებულთა რიცხვი ზუსტად აღირიცხება მმაჩის ორგანოების მიერ, აბორტების ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია ჩვენი ქალების სამწუხარო მიღრეკილების გამო, რომ თავისი ჯანმრთელობის და ზოგჯერ სიცოცხლის რისკის ხარჯზე მიმართონ აბორტისათვის აბორტმანერებს სახლში, რათა დაცივან აბორტის „საიდუმლოება“.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც რომ მივიჩნიოთ სტაბილურ ციფრად, მაშინ მივიღებთ, რომ 10 წლის განმავლობაში კვარავთ რამდენიმე ათეულ და იქნებ ასეულ ათას პოტენციურ სიცოცხლეს, ხოლო 50 წლის განმავლობაში, ე. ი. ჩვენივე თაობის სიცოცხლის მანძილზე სულ ცოტა რამდენიმე მილიონ ადამიანს. შესაძლოა ვინმე ფი-

ქრობს, რომ ერთი აბორტი სპობს მხოლოდ ერთ სიცოცხლეს, სინამდვილეში ერთი აბორტი სპობს რამდენიმე პოტენციურ სიცოცხლეს. მართლაც უკეთეს ჩანასახი დაბადებოდა 30-35 წლის შემდეგ, იგი მოგვეცემა საშუალოდ სამ დამოუკიდებელ სიცოცხლეს. ეს სამი სიცოცხლე 30-35 წლის შემდეგ კიდევ სამ-სამს, ე. ი. 9-ს, ეს 9 მომავალში კიდევ 27-ს და ასე შემდეგ. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ ყოველივე ეს ფანტაზიაა და არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს წმინდა თეორიაა, პრაქტიკულ საფუძველს მოკლებული. ამ თეორიულ მსჯელობათა დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგ ისტორიულ მაგალითებს.

ბრიტანეთის ენციკლოპედიის ცნობით 1801 წელს ინგლისში ჩატარდა მოსახლეობის პირველი აღწერა. მაშინ ინგლისელთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 8. 900. 000 ადამიანს ირლანდიის გარეშე. 1901 წელს, ე. ი. 100 წლის განმავლობაში ინგლისელები გაიზარდნენ 28.200.000 მოსახლით, ე. ი. 5-ჯერ. ყოველწლიურად საშუალო მატება მოსახლეობისა უდრიდა 4 პროცენტს.

ესპანეთის მოსახლეობა 1787 წელს შეადგენდა სულ 10.263.150 ადამიანს, ხოლო 1950 წლის აღწერით ესპანელები ითვლიან 27.976.755 კაცს. 1940 წლიდან 1950 წლამდე, ე. ი. 10 წლის განმავლობაში ესპანეთის მოსახლეობა გაიზარდა 8,1 პროცენტით. საერთოდ, 170 წლის განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა სამჯერ, ე. ი. სამი თაობის ცხოვრების მანძილზე ესპანელთა რიცხვი იზრდება სამჯერ. ასეთი მატება მიღწეულია იმით, რომ ყოველი ესპანელი ცოლ-ქმარი სამშობლოს უტოვებს საშუალოდ ოთხ ბავშვს. ეს ტრადიცია არის საფუძველი მოსახლეობის ზრდისა, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ეკონომიკა და სოციალური წყობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილ დონეზეა.

საქართველოს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც პროვინციების ჩააკვლით მის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 12 მილიონამდე ადამიანი.

მრავალი ათეული და ასეული წლების მანძილზე უცხოელ დამპყრობთა შემოსევებმა და უთანასწორო ომებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ჩვენი მოსახლეობის რიცხვი.

ჩვენი მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მასზე, შევძლებთ თუ არა ჩვეს ოჯახებში საშუალოდ ოთხი შვილის ტრადიციის დანერგვას. შემთხვევით არ ამბობდა და ნატრობდა ჩვენი ხალხი.

„ოთხი შვილი დასტურ შვილი“-ო.

მოსახლეობის ზრდის საკითხები ყოველთვის იყო ხალხის მესვეურების საზრუნავი. პოპულაციის იდეა იტაცებდა უნიჭიერეს ადამიანებს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რუსეთის ისტორიაში ცნობილი განმანათლებელი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი. დიდი მიზნების მქონე იყო მისი 1761 წლის პროექტი „ხალხის შენარჩუნებისა და გამრავლების შესახებ“. ავტორის აზრით, მეცნიერება მოწოდებულია ემსახუროს მოსახლეობის ზრდას, ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ხალხის ჭეშმარიტი კეთილდღეობისათვის.

„ყველაზე მთავარ საქმედ და საწყისად ვთვლი: რუსეთის ხალხის შენარჩუნებასა და გამრავლებას, რაშიაც არის ნამდვილი სიღიადე, და სიმდიდრე სახელმწიფოსი და, არა მაცხოვრებელთა გარეშე არსებულ სივრცეთა სიდიდეშიო“<sup>1</sup>.

„ერის ცხოვრებაში — ამბობს ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი — ქალებს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში... ქალი ბურჯი და ქვაკუთხეღია როგორც

ეგრძო ოჯახის, ისე საზოგადოების მთელი მისი ქვეყნის, მისი სამშობლოსი.

ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავსო“.

\* \* \*

ბევრს ჰგონია, რომ აბორტის, როგორც სოციალური პრობლემის გადაწყვეტა დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკასთან და იგი მხოლოდ ხალხის მატერიალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

მოსაზრება, რომ აბორტთა რიცხვი დამოკიდებულია მხოლოდ ეკონომიკაზე — არის უსაფუძვლო. ცივილიზებული სამყაროს მოსახლე — მოქალაქე თავისი ფიზიკურ-ინტელექტუალური შრომით ქმნის ვაცილებით მეტს, ვიდრე თვითვე მოიხმარს. მამასადამე, ნორმალური ადამიანი თავისი შრომით თვით არის სიმდიდრის წყარო, და რაც უფრო მეტი ჰყავს ხალხს და ქვეყანას ადამიანი, ე. ი. რაც უფრო მეტი აქვს სიმდიდრის წყარო, მით უფრო წყალუხვად მოედინება ეკონომიური სიუხვის სოციალური მდინარე.

პატარა ბავშვი ოჯახში სტიმულიც კია დიდთა ხალისიანი შრომისათვის, ე, ი. ეკონომიური წინსვლისათვის. ათიოდე წლის ბავშვი ანთავისუფლებს დიდებს ოჯახის წვრილმანი მომსახურებისაგან და მით ზოგავს და ნაყოფიერს ხდის დიდების ენერჯიას, ხოლო ზრდადასრულებული და სრულწლოვანი ახალგაზრდა თვით ხდება შემოსავლის წყაროდ ოჯახში, რაც მეტია ოჯახში ბავშვი, მით უფრო ძლიერია ოჯახის ეკონომიური შესაძლებლობანი. თუ კი დავაკვირდებით ოჯახის ცხოვრების მთელ პერიოდს — ოჯახის შექმნის მომენტიდან მშობელთა მოხუცებულობამდე.

დღეს მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ მოსახლეობის ზრდა ხელს

<sup>1</sup> М. В. Ломоносов, т. 6, стр. 384.

არ უშლის, პირიქით, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს.

კაცობრიობა 1650 წელს ითვლიდა სულ 545 მილიონ ადამიანს; 1900 წელს 1.600 მილიონს, ხოლო 1961 წელს—3 მილიარდ 17 მილიონ ადამიანს. ჩვენი პლანეტის — დედამიწის სასარგებლო მიწის ფართობი ძირითადად ერთი და იგივე რჩებოდა, ამრიგად, ჩვენს დედამიწას შეუძლია გამოკვებოს ვაცილებით მეტი მოსახლე, ვიდრე ჰყავს მას დღეს. მითუმეტეს, რომ უკანასკნელი წლების მეცნიერული და ტექნიკური პროგრესი ამას სრულიად შესაძლებელ მოვლენად ხდის.

დასავლეთ გერმანელი ეკონომისტის ფ. ბაადეს გამოანგარიშებითაც კი 2000 წლისათვის კაცობრიობა შეძლებს იქონიოს სასურსათო რესურსები, რომელიც საკმარისი იქნება, რათა გამოკვებოს 30-38 მილიარდი ადამიანი.<sup>1</sup>

„გაერთიანებული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის პირველ ივლისისათვის დედამიწის მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია 3.120 მილიონ ადამიანს. დედამიწის მოსახლეობა საშუალოდ ყოველთვიურად იზრდება 5 მილიონი ადამიანით“.<sup>2</sup>

თანამედროვე ადამიანმა—გონიერმა, განათლებულმა და ჰუმანურმა, რომელსაც სურს ღირსეულად „აღასრულოს თვისი ვალი“, კატეგორიულად უნდა უარყოს ხელოვნური აბორტი, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ქალის ჯანმრთელობის, ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისა და კაცობრიობის გაზაფხულის შემოქმედგმირი საბჭოთა ხალხის ნათელი მომავლისათვის.

<sup>1</sup> „Неделя“, Воскресное приложение „Известий“ № 15, ст. 8—14, апреля 1962 г.

<sup>2</sup> გაზეთი „Вечерний Тбилиси“ от 7 сентября 1962 г. № 212 (2821), стр. 1.

# ქართული საბჭოთაო

## სახალხო რაზმეულები საზოგადოებრივი წესრიგის დასაცემად

ო. ლოლაშვილი,

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი,  
სახალხო რაზმეულთა საქალაქო შტაბის უფროსი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დამაარსებელი ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კანონიერების დარღვევისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველსავე წლებში ვ. ი. ლენინი წერდა: „მხოლოდ მუშათა და გლეხთა მასის ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ერთუზიანებით გაწეულ თანამშრომლობას აღრიცხვასა და კონტროლში მდიდრების, გაიძვრების, მუქათხორების, ხულიგნების მიმართ, შეუძლია მოსპოს წყველი კაპიტალისტური საზოგადოების ეს გადმონაშთები!...“

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და დანაშაულობასთან ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში მთელი საზოგადოებრიობის საქმედ იქცა. ხუთწელზე ცოტა მეტი ხანი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება—„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ“. ამის საფუძველზე საწარმოებში, დაწესებულებებში და სასწავლებლებში ნებაყოფლობით საწყისებზე ჩამოყალიბებული იქნა სახალხო რაზმეულები, რომლებიც განვლილ პერიოდში შესამჩნევად გაიზარდნენ, დაიკავეს კუთვნილი ადგილი დანაშაულობასთან და სამართლის დარღვევებთან ბრძოლაში.

თბილისში ამჟამად მოქმედებს 318 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული. ისინი აერთიანებენ 18 ათასზე მეტ რაზმელს, მათ შორის ბევრია პარტიის წევრი და კომკავშირელი. ეს მთელი არმიაა და მას სერიოზული როლი შეუძლია შეასრულოს და ასრულებს კიდევ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

დედაქალაქის რაზმელთა მონაწილეობით აღიკვეთა მრავალი საშიში დანაშაული, გამოვლინდა წესრიგის დამრღვევი ტრანსპორტსა და ქუჩაში, აილაგმა ბევრი ხულიგანი და უსაქმური, ქორვაჭარი და აყალბაყალის ამტენი.

მინდობილ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით ასრულებენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის (მეთაური ქარხნის უფროსი გ. მაცაბერიძე), № 1 მექანიკური ქარხნის (მეთაური ქარხნის დირექტორი გ. ჯაფარიძე), № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის (მეთაური ნ. ცერცვაძე), მათდ-კამვოლის კომბინატის (მეთაური პარტკომის მდივანი ვ. გეგოძე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მეთაური პარტკომის მდივანი ა. კარანაძე), საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს (მეთაური პარტკომის მდივანი რ. ლეიშვილი) და სხვა დაწესებულებათა სახალხო რაზმეულები.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 477.

მოწინავენი არიან ის სახალხო რაზმეულები, რომლებსაც სათავეში უდგანან საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაციების მდივნები. მივიდნენ რა ამ დასკვნამდე, კალინინის რაიონის ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმელთა შტაბმა სამინისტროებში ჩამოყალიბებულ რაზმეულთა მეთაურად ბევრგან დანიშნა მინისტრის მოადგილეები, რომლებმაც შესამჩნევად გამოაცოცხლეს რაზმეულთა საქმიანობა.

აღსანიშნავია ლენინის რაიონის სახალხო რაზმეულებისა და მისი შტაბის ნაყოფიერი საქმიანობა. რაზმელები სისტემატურად მორიგეობენ ქუჩაში, მოედნებზე, მაგისტრალებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ოპერატიულ პუნქტებში. ამის შედეგად მიღწეულია სასარგებლო ეფექტი. რაზმეულებმა გამოავლინეს და შეიპყრეს არა ერთი საშიში დამნაშავე, დროზე აღკვეთეს წესრიგის დარღვევა როგორც ქუჩაში, ისე ტრანსპორტზე.

ეს მოხდა გასული წლის 13 მაისს. შამბანური ღვინის ქარხნის სახალხო რაზმელებმა გ. ნანეიშვილმა და რ. ეჯუბოვმა დააკავეს ქურდები, რომლებმაც გატენეს საამქრო და ტომრებით მიჰქონდათ მზა პროდუქცია. ქებას იმსახურებენ № 4 სავაგონო დეპოს (მეთაური დ. ჯვარშიშვილი) რაზმელები. მათ ქუჩაში გაბედულად დააკავეს მთვრალი ხულიგნები, რომლებმაც მოქალაქე დანით დაჭრეს.

სახალხო რაზმეულთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით 26 კომისრის რაიონის შტაბმა უკანასკნელ ხანს განახორციელა მრავალი ღონისძიება. შედგენილ იქნა მორიგეობის დისლოკაცია. ახლა რაიონში უზრუნველყოფილია სახალხო რაზმელთა მუდმივი პატრულირება. სასარგებლო გამოდგა სამი სპეციალური ბრიგადის შექმნა, რომელთაც ევალებათ მეთვალყურეობა ახალგაზრდობის ქცევაზე კინოთეატრებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში. მილიციის მუშაკებთან ერთობლივი რეიდის საშუალებით სახალხო რაზმელებმა მოხულიგნო ახალგაზრდებს ჩამოართვეს 40 ცალი დანა და ცეცხლმსროლი იარაღი.

მამაცობა და გამბედაობა გამოიჩინეს სახალხო რაზმელებმა ლეპკისტერმა, კონოტაოვმა და ოვანესიანმა. მათ საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე შეიპყრეს შეიარაღებული რეციდივისტი ჩერკასოვი, რომელიც იარაღით ცდილობდა შენობაში შეჭრას. ბანდიტი რაზმელებმა მილიციას ჩააბარეს.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პირველი მაისის რაიონის სახალხო რაზმეულთა შტაბი, რომლებმაც მიმდინარე წელს ხულიგნებს ჩამოართვეს 7 ცეცხლმსროლი იარაღი და 40 ბებუთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მანქანათმშენებლობისა და რკინიგზის ტექნიკუმის აღმინისტრაციისა და რაზმეულთა ინიციატივა, რომლებმაც თავიანთ კოლექტივებში განმარტებითი მუშაობის ჩატარების გზით ნებაყოფლობით ჩააბარებინეს მოსწავლეებს ათობით ცივი იარაღი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვია რაიონული 'შტაბები მორიგეობის გარდა აწყობენ მიზნობრივ რეიდებს. კარგი პრაქტიკა შეიძინეს კიროვის რაიონის სახალხო რაზმეულთა შტაბის მიერ შექმნილმა მიზნობრივმა რაზმებმა სპეკულაციასთან ბრძოლის საქმეში. მოკლე დროის განმავლობაში მათ არა ერთი მსხვილი ქორვაჭარი გამოავლინეს.

სახალხო რაზმეულთა წევრებმა შეიყვარეს თავისი საქმე, არ იშურებენ ძალასა და ენერგიას საზოგადოებრივი მოვალეობის შესასრულებლად, მთელი პასუხისმგებლობით ეკადებიან ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებას. ასეთები არიან: კომუნისტური შრომის დამკვრელი, ხარატი ვ. ასათიანი, კიროვის

სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი ა. ლანგურაშვილი, საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს მარშრუტის უფროსი გ. ლებანიძე, ბაზის ფაბრიკის მუშა ბ. ჯმუხაძე და სხვ.

სახალხო რაზმელებს სრული შესაძლებლობა აქვთ უფრო გამოაცოცხლონ საქმიანობა, კარგად მოაწყონ მეთვალყურეობა საზოგადოებრივი წესრიგისადმი, გააფართოვონ მიღწევების სფერო, დაწერონ მუშაობის საინტერესო ფორმები და მეთოდები.

რაზმელები მხოლოდ ქუჩებში პატრულირებით არ უნდა იზღუდებოდნენ, მათ თავიანთ კონტროლქვეშ უნდა აიყვანონ ეზოები, სადარბაზო შესასვლელები, პარკები, სანახაობითი დაწესებულებანი. შეიძლება შეიქმნას ცალკეულ რაზმელთა ჯგუფები ბავშვთა უმთავალყურეობის, პარაზიტული ელემენტების გამოვლინების, ჯიბის ქურდების, სპეკულანტებისა და სხვათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბები. რაზმებში, საგუშაგოებსა და შტაბებში გაერთიანებულია 9.000-ზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა. „კომკავშირის პროექტორის“ საქალაქო შტაბთან შექმნილია ოპერატიული რაზმი 140 კაცის შემადგენლობით, რომელიც სისტემატურად აწყობს სპეციალურ მიზნობრივ რეიდს.

კომკავშირული რაზმეულების ყურადღების ცენტრშია მუშაობა მოზარდებთან. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ბავშვები, რომელთა აღზრდა ძირითადად ქუჩაში მიმდინარეობს. ხშირად ბავშვის მისწრაფებას თავი დააღწიონ მშობელთა ზრუნვას, მათ გატაცებას „თავისუფალი“ რომანტიკით მიყვარათ ხულიგნობამდე, სამართლისდარღვევამდე. ბავშვთა დასვენების წარმართვა კარგი გზით, მათი გატაცება ნამდვილი რომანტიკით, და არა მოჩვენებითი, შრომის, მამაცობის რომანტიკით — აი, ეს არის რაზმელთა კეთილშობილური ამოცანა.

სახალხო რაზმელთა საქმიანობაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის მეინახეობისა და ფორმალზმის ელემენტები. ზოგიერთი რაზმეული (აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის, სახეხი ჩარხების ქარხნის, რენტგენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, № 1 სამკერვალო ატელიეს, 26 კომისრის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და სხვ.) არაორგანიზებულად ახორციელებენ მორიგეობას. არის შემთხვევები, როცა რაზმელები სრულიად არ ცხადდებიან საგუშაგოზე, არ იცავენ მორიგეობას.

სისხლის გადასხმისა და კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახალხო რაზმეულების არაოპერატიულობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ აპრილში მათ ვერ შესძლეს კინოთეატრ „ნაკადულთან“ დაეყავებინათ ხულიგანი, რომელმაც მოქალაქე დაჭრა; რაიონული შტაბის დღიურში კი გაჩნდა ჩანაწერი: „კინოთეატრ „ნაკადულთან“ მოხდა წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა მოქალაქისათვის ჭრილობის მიყენებით. დამჭრელი გაგვექცა, ხოლო დაზარალებული დაკავებული იქნა, მაგრამ უარს აცხადებს დამნაშავეს მხილებაზე“. ეს ფაქტიც საკმარისია მათი მუშაობის დასახასიათებლად.

ზოგიერთი სახალხო რაზმეულისა და რაიონული შტაბის ხელმძღვანელს საჭიროდ არ მიაჩნია რაზმელები გამოჰყოს ქალაქის განაპირა ადგილებზე,

საცხოვრებელ მასივებში. სწორედ ამ ადგილებში ხდება ამ ბოლო დროს სულ ლივინობა, სხეულის დაზიანება და სხვ.

სახარბიელო მდგომარეობა არც ქალაქის ცენტრში-კალინინის რაიონშია აქ, როგორც ცნობილია, საღამოობით აბალგაზრდობის დიდი რაოდენობა იყრის თავს და, ბუნებრივია, რომ რაიონის რაზმეულებს მეტი სიძნელებების გადალახვა უხდებათ. მაგრამ ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ.

არის შემთხვევები, როცა ზოგი გარეწარი ხულიგნურ საქციელს ჩაიდენს რაზმელთა თვალწინ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ხმას არავინ იღებს. გასული წლის 21 აპრილს კაფე „მეტროს“ ვიტრინას რევოლვერი ესროლეს მთვრალმა ხულიგნებმა თ. გოლაშვილმა, დ. სირაძემ და რ. ჯანელიძემ. მათ მიმალვაც კი მოასწრეს. მხოლოდ მილიციის მუშაკთა ოპერატიული მოქმედებით მოხერხდა მათი დაკავება.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა კაფე „ყავაში“, სადაც რამდენიმე სტუდენტმა ატეხა დებოში და ისროდნენ ცეცხლს როლი იარაღიდან. არაორგანიზებულად მუშაობენ რაზმეულთა ოპერატიული პუნქტები, ზოგჯერ ისინი უმოქმედობენ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ზოგიერთი რაზმეული სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ტრანსპორტზე, სატრანსპორტო შემთხვევისა და ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

უეჭველია, მხოლოდ რაზმელები ვერ შესძლებენ თავი გაართვან ბორცულ ხულიგნებსა და დამნაშავეებს. ჩვენ არ მოვიტხოვთ მათგან ამას, მაგრამ რაზმელებმა, მილიციის მუშაკებთან ურთიერთმოქმედებით, უნაკლოდ უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ყველაზე უფრო ძნელ უბანზე.

სახალხო რაზმელი, უწინარეს ყოვლისა, თვით უნდა იყოს სანიმუშო როგორც დისციპლინით, ისე საზოგადოებრივი საქმიანობით. ეს ასეც არის. რაზმელთა უმეტესობა ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა, მაგრამ ზოგი თავს ვერ იჭერს საზოგადოებაში, არღვევს წესრიგს, ლოთობს და აყალბაყალს ტეხს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კოლექტივი სათანადოდ არ ზრუნავს თავისი წევრის აღზრდაზე. არის სახალხო რაზმელთა მხრივ საბჭოთა კანონიერების დარღვევის ფაქტები. ხშირად ეს გამოწვეულია სამართლის საკითხებში არასაკმარისი გარკვევით. ამიტომ აუცილებელია, რომ სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა რაზმეულებში გაუმჯობესდეს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა გასულ წელს შექმნა სამართლისმცოდნეობის საქალაქო უნივერსიტეტი. მის რაიონულ სექციებში სწავლობს მრავალი სახალხო რაზმელი.

საბჭოთა ხალხის წინაშე დგას დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, მათ შორის ერთერთი საპატიოა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, რომელშიც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ სახალხო რაზმელებს.

უდავოა, რომ სახალხო რაზმელთა საქმიანობის თანმიმდევრული გაშლა და სრულყოფა ხელს შეუწყობს დანაშაულობასთან და სამართლისდარღვევასთან ბრძოლის გაძლიერებას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ გამტკიცებას.

## ამხანაგების სამსჯავროს წინაშე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, პარტიის ახალმა პროგრამამ სხვა დიდმნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად დასახეს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება და გაფართოება, თანდათანობით განხორციელდეს გადასვლა კომუნისტურ თვითმმართველობაზე.

პარტიის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი თანმიმდევრულად ხორციელდება. ამ პროცესს ადგილი აქვს მართლმსჯულების ხფეროშიც, რომელთა სისტემაში უკვე ახლავე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამხანაგური სასამართლოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით ამხანაგური სასამართლოების კომპეტენცია შესამჩნევად გაფართოვდა.

ამხანაგურმა სასამართლოებმა, რომლებიც ამჟამად შექმნილია თითქმის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, სასლმმართველობასთან და ქუჩის კომიტეტთან, მშრომელთა ფართო მასების აღიარება ჰპოვეს, ისინი მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობენ.

ამხანაგური სასამართლოები ზრდიან მოქალაქეებს შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანებში კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების გრძობის განვითარებას.

ამხანაგური სასამართლოების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტმა ამ რამდენიმე ხნის წინათ შეამოწმა ლენინის რაიონის საწარმოებისა და დაწესებულებების ამხანაგური სასამართლოების მუშაობა. ასეთივე შემოწმება მოაწყო აგრეთვე პარტიის კიროვის რაიკომმა.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობის შემოწმებაში მონაწილეობდნ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები, ადვოკატები.

ამხანაგური სასამართლოების უმრავლესობა წარმატებით ახორციელებს მათ წინაშე მდგომ ამოცანას.

სობა წარმატებით ახორციელებს მათ წინაშე მდგომ ამოცანას.

კარგად მუშაობენ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის, „ცენტროლიტის“, პლასტმასის ქარხნის, № 7 სამკერვალო ფაბრიკის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, № 6 სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოები. მათ თავიანთ სხდომებზე განიხილეს მრავალი საქმე შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს უხარისხოდ შესრულების, მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად ინვენტარის, ხელსაწყო-იარაღების, მასალისა და სხვა ქონების განადგურების, დაკარგვის, დაზიანების შესახებ, აგრეთვე წვრილმანი ხულიგნობის, სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცების, პიროვნების შეურაცხყოფის, მოქალაქეთა შორის ქონებრივი დავისა და სხვა საკითხები.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობის სწორი ორგანიზაციის შედეგად საქმეთა განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა მშრომელთა ფართო მასები. მაგალითად, № 6 სამკერვალო ფაბრიკაში ამხანაგური სასამართლოს სხდომებს ყოველთვის ბევრი მუშა-მოსამსახურე ესწრება, ისინი იძლევიან შეკითხვებს, გამოდიან ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემულ პირთა კრიტიკით. სასამართლოს გადაწყვეტილება ფაბრიკის რადიოკვანძის მეშვეობით ცნობილი ხდება ფაბრიკის ყველა მუშა-მოსამსახურისათვის.

მთელ რიგ საწარმოსა და დაწესებულებაში, ქუჩის კომიტეტებსა და სასლმმართველობებში დღემდე საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან ამხანაგური სასამართლოების მუშაობას. ზოგან ამხანაგური სასამართლოები არც არის შექმნილი, ბევრგან კი არ იგრძნობა მათი არსებობა.

ცალკეულ სასამართლოში განხილულია მეტად მცირე რაოდენობის საქმე. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ხშირია მართლწესრიგის დარღვევის ისეთი ფაქტები, რომლებიც ამხანაგური სასამართლოების განხილ-

ვას ექვემდებარებიან. ნაკლები ყურადღება ეცქევა ამხანაგური სასამართლოს სხდომის წინასწარ მომზადებას, ხშირია საქმეთა განხილვის ვადების დარღვევის, ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან გაჭიანურების ფაქტები. ზოგჯერ ამხანაგური სასამართლოები იხილავენ ისეთ საქმეებს, რომლებიც მათ კომპეტენციაში არ შედის, სათანადოდ არ აფორმებენ სხდომის ოქმებსა და გადაწყვეტილებებს, თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს არ აბარებენ ამომრჩევლებს და სხვ.

დებულების შესაბამისად ამხანაგური სასამართლოები აირჩევიან მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე ღია კენჭის ყრით ორი წლის ვადით. ამასთან ამხანაგური სასამართლოები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებს წელიწადში ერთხელ მაინც.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების სწორ ორგანიზაციას და მაღალ დონეზე ჩატარებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები უნდა ჩატარდეს ისე, რომ ამომრჩევლები დაინტერესდნენ ამხანაგური სასამართლოების მუშაობით. ამხანაგურ სასამართლოების თავმჯდომარეები წინასწარ უნდა მოემზადონ მოხსენებისათვის.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ დებულების ეს მოთხოვნა ყველგან ჯერ კიდევ არ სრულდება.

თბილისის მეორე პოლიკლინიკაში ამხანაგური სასამართლო აირჩიეს 1959 წლის მაისში. იმის გარდა, რომ დარღვეულია ამხანაგური სასამართლოს არჩევის ვადები, ამ ხნის განმავლობაში ამხანაგურ სასამართლოს ანგარიშიც არ ჩაუბარებია ამომრჩევლებისათვის.

რკინიგზის ვენდისპანსერში და საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ ქარხანაში 5 წლის წინათ აირჩიეს ამხანაგური სასამართლოები. ამ ხნის მანძილზე კოლექტივებიდან წავიდა

სასამართლოს ზოგიერთი წევრი, არჩევნები კი აღარ ჩატარებიათ.


მართლწესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მშრომელთა ფართო მასების როლის შეუფასებლობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რიგ საწარმო-დაწესებულებებში საერთოდ არ აურჩევიათ ამხანაგური სასამართლოები. დებულების თანახმად ამხანაგური სასამართლოები შეიქმნება კოლექტივებში, რომლებშიც 30 კაცი მაინც არ არის.

თბილისის № 1 ბავშვთა პოლიკლინიკაში, სადაც 142 თანამშრომელია, შემოწმების დროისათვის არ იყო ჩამოყალიბებული ამხანაგური სასამართლო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის გარეუბნის აგარაკების სამმართველოში, ამხანაგური სასამართლო დღემდე არჩეული არაა. ეს მაშინ, როცა ამ სამმართველოში 140 კაცი მუშაობს და აქ ადგილი აქვს მართლწესრიგის ისეთ დარღვევებს, რომელთა განხილვა ამხანაგურ სასამართლოს ექვემდებარება.

თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიე № 1-ში ამხანაგური სასამართლო არჩეულია 1962 წლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ატელიეში იყო შრომის დისციპლინის დარღვევის, ტანსაცმლის უხარისხოდ შეკერვის მრავალი შემთხვევა და სხვა დარღვევა, ადმინისტრაციას ამხანაგური სასამართლოსათვის არც ერთი საქმე არ გადაუცია.

ასეთივე მდგომარეობაა თბილისის ფაბრიკაში — „სპორტნაწარმი“, სამტრესტის თბილისის სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში, უნივერსიტეტში „ბავშვთა სამყარო“, თბილისის საიუველირო ფაბრიკაში, სადაც ამხანაგურ სასამართლოებს არც ერთი საქმე არ განუხილავთ.

მართალია, ამ საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციამ თავის მხრივ მიიღო ზომები მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, როცა მართლწესრიგის დამრღვევთა საქმეს განიხილავს ამხანაგური



სასამართლო, როცა ამ დამრღვევებზე მსჯელობს მთელი კოლექტივი, ამას გაცილებით მეტი აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე ადმინისტრაციულ ღონისძიებას.

ზოგიერთი საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები ამხანაგურ სასამართლოს მეტად მცირე რაოდენობის საქმეებს გადასცემენ განსახილველად.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურში 1964 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე აღრიცხული იყო შრომის დისციპლინის დარღვევის 45 შემთხვევა, აქედან ამხანაგურ სასამართლოს მხოლოდ 11 საქმე გადაეცა. „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკაში შრომისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის 54 შემთხვევიდან ამხანაგურ სასამართლოს მხოლოდ 17 საქმე გადაეცა.

ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-5 მუხლში აღნიშნულია საქმეთა კატეგორია, რომლებიც ექვემდებარებიან ამხანაგურ სასამართლოში განხილვას. კანონის ეს მოთხოვნა მტკიცედ უნდა იქნეს დაცული, ამხანაგურმა სასამართლომ არ უნდა მიიღოს თავის წარმოებაში არაქვემდებარე საქმე.

ამის მიუხედავად ამხანაგური სასამართლოები თავიანთ წარმოებაში ზოგჯერ იღებენ და განიხილავენ ისეთ საქმეებს, რომელთა განხილვა მათ კომპეტენციაში არ შედის.

„ცენტროლიტის“ ამხანაგურმა სასამართლომ ადმინისტრაციის წარდგენით განიხილა სპეციალური რძის დამტარებლის ხ-ს საქმე მის მიერ რძის ფალსიფიკაციის შესახებ, მაშინ, როდესაც ამხანაგური სასამართლოების დებულების მეხუთე მუხლის ძალით ამ კატეგორიის საქმის განხილვა არ შედის ამხანაგური სასამართლოს კომპეტენციაში.

„სოიუსტელეფონისტროის“ ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა ავტომანქანის მძღოლების ა-სა და თ-ის სამუშაოზე აღ-

დგენის საქმე. ამხანაგური სასამართლოს შუამდგომლობით ზემოაღნიშნული პირები ადმინისტრაციამ სამუშაოზე აღადგინა. ეს სერიოზული დარღვევაა, რადგან სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვა ამხანაგური სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. მათ ამ კატეგორიის საქმეები არ უნდა მიეღოთ თავიანთ წარმოებაში.

№ 6 ავტოსატრანსპორტო კანტორის ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა საქმე რუსთავის მილიციის განყოფილებიდან გადმოგზავნილი ნ-ს მიერ ავტომანქანის ავარიის შედეგად დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალის — 259 მანეთის ანაზღაურების შესახებ. ამხანაგურ სასამართლოს აღნიშნული საქმე, როგორც არაქვემდებარე, არ უნდა მიეღო თავის წარმოებაში.

ასეთი დარღვევები გვხვდება სხვა ამხანაგური სასამართლოების მუშაობაშიც.

ზოგიერთი ამხანაგური სასამართლო დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომის შეფარდებისას არღვევს დებულების მე-15 მუხლის მოთხოვნას, უშვებს შეცდომებს.

„თბილგაზოპარატის“ ქარხნის ამხანაგურმა სასამართლომ, განიხილა რა ვ-ს მხრივ შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტი, ადმინისტრაციის წინაშე დააყენა საკითხი 2 თვით მისი დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყენის შესახებ და ამასთან ერთად იგი დააჯარიმა 10 მანეთით, მაშინ, როდესაც დებულების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ დაჯარიმება არ დაიშვება.

ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ-ის და გ-ს უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვიდური და თვითეული მათგანი დაჯარიმდა ოც-ოცი მანეთით.

ამხანაგურმა სასამართლომ ორი შეცდომა დაუშვა. გარდა იმისა, რომ მათ მიმართ ერთის ნაცვლად გამოიყენა ზემოქმედების ორი ზომა, დაუშვა კანონის სხვა სა-



ხის დამახინჯებაც. დამნაშავეები დააჯარი-  
მა ოც-ოცი მანეთით, მაშინ, როცა დებუ-  
ლებით ამხანაგურ სასამართლოს უფლება  
არა აქვს დამნაშავე დააჯარიმოს 10 მანეთ-  
ზე მეტი რაოდენობის თანხით. აქვე უნდა  
აღინიშნოს, რომ ზემოქმედების ზომა, „სას-  
ტიკი საყვედური“ რომელიც ამხანაგურმა  
სასამართლომ შეუფარდა, დებულებით  
გათვალისწინებული არ არის.

თბილისის მუსიკალური კლავიშებიანი  
ინსტრუმენტების ფაბრიკის ამხანაგურმა  
სასამართლომ განიხილა მილიციის განყოფი-  
ლებიდან გადმოგზავნილი მასალა ფაბ-  
რიკის დურგლის გ-ს მიერ ჩადენილი წვრი-  
ლმანი ხულიგნობის შესახებ.

ამხანაგურმა სასამართლომ თავისი გა-  
დაწყვეტილებით მასალები გ-ს მიმართ  
გადასცა პროკურატურას, ამასთან დააყენა  
საკითხი მისი სამუშაოდან დათხოვნის შე-  
სახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება გ-ს სა-  
მუშაოდან დათხოვნის საკითხის დაყენების  
ნაწილში უკანონოა. ადრე მომქმედი დე-  
ბულებით ამხანაგურ სასამართლოებს სა-  
ერთოდ არ ქონდათ უფლება დაეყენებინათ  
საკითხი სასამართლოზე გადაცემული პი-  
რის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. ამ-  
ჟამად მომქმედი დებულებით სამუშაოდან  
დათხოვნის ღონისძიება შეიძლება გატარ-  
დეს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლე-  
ბიც ასრულებენ არასრულწლოვანთა და  
ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირე-  
ბულ სამუშაოს, ან ისეთ სამუშაოს, რომე-  
ლიც დაკავშირებულია მატერიალურ ფასე-  
ულობის გამგებლობასა და შენახვასთან.

ელმავალშენებელი ქარხნის ამხანაგურ-  
მა სასამართლომ პ-ს და ხ-ს მიმართ, რომ-  
ლებმაც ჩაიდინეს წვრილმანი ქურდობა,  
დააყენა საკითხი მათი დაბალხელფასიან  
სამუშაოზე გადაყენების შესახებ და ამავე  
დროს მათ გამოუცხადა გაფრთხილება  
ერთი თვის ვადით, მაშინ, როცა სასჯელის  
ასეთ ზომას დებულება არ ითვალისწინებს.

როგორც წესი ყოველი საქმე ამხანაგუ-  
რი სასამართლოს მიერ განხილული უნდა

იქნას სასამართლოს თავმჯდომარის და სა-  
სამართლოს ორი წევრის შემადგენლობით,  
რომელსაც ნიშნავს თავმჯდომარე ან მისი  
მთადგილე ამხანაგურ სასამართლოში არ-  
ჩეულ წევრთა შემადგენლობიდან.

ზოგიერთი ამხანაგური სასამართლო არ-  
ღვევს ამ წესს.

თბილისის 26 კომისიის სახელობის მან-  
ქანათმშენებელი ქარხნის ამხანაგური სასა-  
მართლოს მიერ ა-ს საქმეზე გამოტანილ  
გადაწყვეტილებას ხელს აწერს სასამარ-  
თლოს ოთხი წევრი, ხოლო გ-ს საქმეზე—  
ორი.

ამხანაგური სასამართლოს მიერ განხი-  
ლულ ყოველ საქმეზე სრულყოფილად უნდა  
შედგეს სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება.

სხდომის ოქმში სხვა ცნობებთან ერთად  
მითითებული უნდა იქნას დამსწრე პირთა  
რაოდენობა, სასამართლოზე გადაცემული  
პირის, დაზარალებულის, აგრეთვე მოწმეთა  
განმარტებები ; გამოსულ პირთა სიტყვის  
მოკლე შინაარსი, ცნობები სასამართლოზე  
გადაცემული პირის შესახებ; ოქმს ხელს უნ-  
და აწერდეს სხდომის თავმჯდომარე და  
მდივანი.

სასამართლოს გადაწყვეტილებაც უნდა  
შედგეს ცალკე დოკუმენტის სახით. მასში  
მოკლედ შეტანილი უნდა იქნეს ყველა სა-  
ჭირო ცნობები: სასამართლოს სახელწო-  
დება, საქმის განხილვის დღე, სასამართლოს  
შემადგენლობა, ვისი განცხადება იქნა გან-  
ხილული, ვინ იყო სასამართლოში გადაცე-  
მული და რა დანაშაულისათვის, რა ფაქ-  
ტები დადგინდა სხდომის შედეგად, მტკი-  
ცებანი, რომლითაც დადასტურებულია სა-  
სამართლოში გადაცემული პირის დანაშაუ-  
ლი, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომა,  
რაც დამნაშავეს შეეფარდა. გადაწყვეტი-  
ლებას ხელს უნდა აწერდეს საქმის განმხი-  
ლველი ამხანაგური სასამართლოს სხდომის  
თავმჯდომარე და ორი წევრი.

ტრესტ „სოიუსტელეფონსტროის“ ამი-  
ერკავკასიის სამშენებლო-სამონტაჟო სამ-  
მართველოს ამხანაგურ სასამართლოს, რო-  
გორც წესი, საქმეზე ცალკე დოკუმენტის

სახით არ გამოაქვს გადაწყვეტილება, რაც დაუშვებელია.

თბილისის მუსიკალურ კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის ამხანაგურ სასამართლოს რამდენიმე საქმეზე შედგენილი აქვს ერთი სხდომის ოქმი და იქვეა შეტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილების სახით.

ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-9 მუხლით დაწესებულია საქმეთა განხილვის ვადები. ამხანაგური სასამართლო ვალდებულია საქმეები განიხილოს 15 დღის ვადაში მათი შემოსვლის მომენტიდან, გარდა წვრილმანი ხულიგნობისა და წვრილმანი სპეკულაციის საქმეებისა (ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის დაწესებულია შვიდ დღიანი ვადა).

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი ამხანაგური სასამართლო არღვევს ამ ვადებს. მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ამხანაგურმა სასამართლომ 2 თვისა და 20 დღის დაგვიანებით განიხილა გ-ს მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის საქმე.

რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის ამხანაგურ სასამართლოში 1964 წლის 24 მარტს აღიძრა საქმე ბ-ს მიმართ ზარალის ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ საქმე ორი თვის შემდეგ — 21 მაისს განიხილა. ვადის დარღვევით იქნა განხილული აგრეთვე სადგურის მოლარის ლ-ს საქმე.

ელმავალსამშენებლო ქარხნის მექანიკური სამჭროს ამხანაგურმა სასამართლომ მ-ს საქმე წვრილმანი ხულიგნობის შესახებ განიხილა 3 თვის, ხოლო შ-ს საქმე 8 თვის დაგვიანებით.

ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების დროულად აღსრულებას.

თიანეთის ქუჩა № 91-ის ამხანაგურმა სასამართლომ 1964 წლის 21 მარტს განიხილა შეურაცხყოფის ბრალდებით რ-ს მი-

მართ აღძრული საქმე. ამხანაგურმა სასამართლომ, მიუთითა რა საქმის სირთულეზე, გამოიტანა დადგენილება განსახილველად მისი სახალხო სასამართლოში. გადაგზავნის შესახებ, მაგრამ საქმე ივნისის პირველ რიცხვებშიც კი არ იყო გადაგზავნილი სახალხო სასამართლოში.

ელმავლის ქუჩა № 55-ის ამხანაგურმა სასამართლომ 1963 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაავალა მოქ. გ-სა და ფ-ს 20 დღის ვადაში შეეკეთებინათ სარდაფი, რომელიც ავარიულ მდგომარეობაში იყო. გადაწყვეტილება 1964 წლის პირველი ივნისისათვის არ იყო მოყვანილი სისრულეში.

ამხანაგურმა სასამართლომ 1964 წლის 28 აპრილს განიხილა ზ-ს საქმე, რომელმაც ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მამას, და გამოიტანა დადგენილება საქმის სახალხო სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ. პირველი ივნისისათვის დადგენილება სისრულეში არ იყო მოყვანილი.

საწარმოსა და დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია სათანადო ტექნიკური დახმარება გაუწიოს ამხანაგურ სასამართლებს, გამოუყოს მათ სათანადო ადგილი სხდომებისათვის, მოამარავოს ისინი საკანცელარიო ნივთებითა და სხვ.

ამხანაგურ სასამართლოებს წესრიგში უნდა ქონდეთ საქმის წარმოება. განცხადებასა და სხვა მასალებზე აუცილებლად აღნიშნული უნდა იქნას მისი ამხანაგურ სასამართლოში შემოსვლის თარიღი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის რეზოლუცია საქმის ამხანაგურ სასამართლოს წარმოებაში მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ. ყოველი მასალა უნდა მოთავსდეს ცალკე ყდაში, დოკუმენტები ჩაკერდეს და დაინომროს, ამასთან საჭიროა სასამართლოებს ქონდეთ რვეული სათანადო გრაფებით, რომელშიც უნდა აღირიცხოს შემოსული მასალები და განხილვის შედეგი.



მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოებმა, ადგილობრივი საბჭოების სოციალისტური კანონიერების მუდმივმოქმედმა კომისიებმა, საწარმო-დაწესებულებათა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კავშირი უნდა იქონიონ ამხანაგურ სასამართლოებთან, გაუწიონ მათ კონტროლი და დახმარება.

დიდმნიშვნელოვანია ორგანიზებულ იქნას ამხანაგური სასამართლოების წევრთა იურიდიული მომზადება, სახალხო მოსა-

მართლეებმა, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებმა, ადვოკატებმა ამხანაგური სასამართლოების წევრთათვის უფრო მეტი რაოდენობით უნდა მოაწყონ სემინარები, საუბრები და კონსულტაციები, რაც იმის პირობაა, რომ ამხანაგურმა სასამართლოებმა წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი მოვალეობა.

გ. შონია  
ს. სინარულიძე

### აკასკუნდოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მიზეზების შესწავლისათვის

მ. კვარაცხელია

საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების  
განყოფილების უფროსი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავმა ზრუნვამ საბჭოთა ბავშვების აღზრდის, საბჭოთა ხალხის კულტურული დონისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის უზრუნველყო ბავშვთა უპატრონობის, უმეტვალყურეობისა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირება.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ლიკვიდაციის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. სადაც შრომის პირობები, ხალხის, მათ შორის ახალგაზრდობის მაღალი საარსებო და კულტურული დონე ფართო შესაძლებლობას ჰქმნის იმისათვის, რომ სრულიად აღმოიფხვრას არასრულწლოვანთა დამნაშავეობა, სადაც ბრძოლა მართლწესრიგის დარღვევებთან წარმოებს სახელმწიფო დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალებით.

საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაზე მოწინავეა მსოფლიოში. მისთვის დამახასიათებელია მაღალი იდეურობა, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება. ჩვენი ახალგაზრდობა სამუშაოდ მიდის კომუნისტური მშენებლობის ყველაზე ძნელ უბნებზე. ასეთ პირობებში მოუთმენელია, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობის კოლექტივში არიან ადამიანები, რომელთა შეგნებაშიც ცოცხლობს კაპიტალიზმის გადმონაშთები. ისინი არღვევენ საბჭოთა კანონებს, გაურბიან შრომას, არაკეთილსინდისიერად ეპყრობიან სოციალისტურ საკუთრებას, ხულიგნობენ და არცხვენენ საბჭოთა მოქალაქის სახელს. ჩვენში ჯერ კიდევ, არიან ახალგაზრდები, რომლებიც არსად მუშაობენ, არც სწავლობენ და მშობლების ხარჯზე, ან საეჭვო შემოსავლით ცხოვრობენ. ისინი უსაქმოდ დადიან ქუჩებში, ამჟღავნებენ თავიანთ ცუდ მიდრეკილებას. ყოველივე ეს კი აიხსნება სერიოზული ნაკლოვანებებით იდეოლოგიურ მუშაობაში, მოზარდი თაობის აღზრდაში.

„აღზრდა, — წერდა ა. მაკარენკო, — არის სოციალური პროცესი მისი ყველაზე ფართო მნიშვნელობით. აღზრდას ეწევიან ყველანი: ადამიანები, საგნები, მოვლენები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად — ადამიანები. მათ შორის პირველ ადგილზე არიან მშობლები და პედაგოგები...“<sup>1</sup>

ოჯახზე, მშობლების მაგალითზე, საზოგადოების და ბავშვების მიმართ მათი ქცევის სისწორეზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორი გაიზრდებიან თვით ბავშვები. ბავშვების სწორი აღზრდა მშობლების მოვალეობაა. მშობლები უნდა ზრუნავდნენ ბავშვებზე, კერძოდ, მათ რჩენასა, აღზრდასა და მომზადებაზე საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა მშრომელს არ ესმის ეს. ყველა ოჯახი სკოლასთან, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ხელისხელჩაკიდებული ყველა-

<sup>1</sup> ა. ს. მაკარენკო, თხზ., ტ. 4, გვ. 20.



ვერს როდი აკეთებს იმისათვის, რომ აღზარდოს მხნე, კეთილი, შრომისა და დაბრკოლებების დაძლევისათვის მომზადებული ახალგაზრდობა. ხშირად ეს არის არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი. მოზარდების მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენას უფრო მეტად ადგილი აქვს რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ვორი, სოხუმი).

არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივს ძირითადად ქონებრივ დანაშაულთა სფეროში ვხვდებით. ასე მაგალითად: ერთ-ერთ არასრულწლოვანთა შრომის კოლონიის შემოწმების მომენტში განმეორებით ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელს იხდიდა 13 არასრულწლოვანი, რომელთაგან 10 არასრულწლოვანის მიერ განმეორებით დანაშაული ჩადენილია ქონებრივ სფეროში (ქურდობა, ძარცვა).

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის რეციდივის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ოჯახში აღზარდის ცუდი პირობები. 29 არასრულწლოვანიდან, რომლებიც განმეორებით ჩადენილ დანაშაულისათვის მოხვდნენ არასრულწლოვანთა შრომისა და აღმზრდელობით კოლონიაში, თითქმის არც ერთს არ გააჩნდა ოჯახში ცხოვრებისა და აღზარდის ნორმალური პირობები.

აღსაზრდელმა რ. დავიდოვმა, რომელიც მეორედ იხდის სასჯელს კოლონიაში ქურდობისათვის, განმეორებით ჩადენილი დანაშაულის მიზეზი ასე განმარტა: „დედა და მამა ერთმანეთს დაცილდნენ. მამა დიდი ხანია წავიდა ოჯახიდან და ყურადღებას არ გვაქცევს; დედაჩემი ქარხნის დამლაგებელია, ერთი ქმა მორფინისტია, მეორე პატიმარი. ჩვენ ყველაფერი გვაკლდა, ამიტომ ვერ ვისწავლე და მივეჩვიე ქურდობას“.

ამასვე მოგვითხრობს აღსაზრდელი ო. დვალცი, რომელიც კოლონიაში იმყოფება და მოქალაქეთა გაქურდვისა და გაძარცვისათვის განმეორებით იხდის სასჯელს:

„აღმზრდელობითი კოლონიიდან დავბრუნდი დედის ოჯახში, სადაც დამხვდა მამინაცვალი. მან ჩემს მიმართ მზრუნველობა არ გამოიჩინა, საკმეოც კი მაკლდა. სახლში ცხოვრება აღარ მინდოდა, გადავწყვიტე მუშაობის დაწყება, რისთვისაც მივმართე სოხუმის საქალაქო საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას და მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორს, მაგრამ არც მათ მომაქციეს ყურადღება და ამიტომ ისევ ქურდობა დავიწყე“.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა დამნაშავეობას ხელს უწყობს ნაკლოვანებები და დაუდევრობანი მოზარდი თაობის სამუშაოზე მოწყობის საქმეში, სახელდობრ ცალკეული მუშაკების უსულგულობა და ბიუროკრატიული დამოკიდებულება, არასრულწლოვანთა მიმართ კანონმდებლობის დარღვევა და ა. შ. მოზარდებს უძნელდებათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაწერა, პასპორტის მიღება, რაც თავის მხრივ წარმოადგენს დაბრკოლებას სამუშაოზე მოწყობისათვის.

აღსაზრდელმა ჩ. ოსმანოვმა განმარტა, რომ „როდესაც სასჯელი მოვიხადე ქურდობისათვის და გამოვედი კოლონიიდან, მინდოდა დამეწყო მუშაობა, დამდვარიყავი ცხოვრების სწორ გზაზე, მაგრამ ორჯონიკიძის რაიონის მილიცია გადამეღობა გზაზე, არ ჩამწერა საცხოვრებელ ადგილას, არ მომცა პასპორტი, რის გამოც მივმართე ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანს, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია. დედაჩემს კი, ჩემს გარდა 9 შვილი

ჰყავს და მუშაობს დამლაგებლად. იძულებული გავხდი კვლავ ქურდობისათვის მიმეყო ხელი“.

არასრულწლოვანთა უმეტვალყურეობისა და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რომლებიც, როგორც საზოგადოებრიობის მუდმივმოქმედი ორგანოები, შექმნილია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ყველა აღმასკომთან.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მოწოდებული არიან გაატარონ არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილების ღონისძიებანი და კოორდინაცია გაუკეთონ მათ, ამასთან ერთად ამ კომისიებმა უშუალოდ უნდა აწარმოონ ბრძოლა არასრულწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევასა და მათ უმეტვალყურეობასთან.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ განუხრელად უნდა შეასრულოს დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნა, განახორციელოს მეთვალყურეობა იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევაზე, რომლებმაც კოლონიებში მოიხადეს სასჯელი, ან მისჯილი აქვთ ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მათ სამუშაოზე და სასწავლებელში მოწყობას.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ყოველი ფაქტი და მითუმეტეს განმეორებით ჩადენილი დანაშაული არასრულწლოვანთა საქმეებზე კომისიამ უნდა განიხილოს როგორც განსაკუთრებული შემთხვევა.

ძიუხედავად ამისა, ზოგიერთი არასრულწლოვანთა საქმეების კომისია არ ახორციელებს ზედამხედველობას და მზრუნველობას იმ მოზარდებზე, რომლებიც დაბრუნებულნი არიან კოლონიებიდან, მეტწილად კომისიებს ასეთი კატეგორიის მოზარდების სპეციალური აღრიცხვაც კი არ გააჩნიათ.

იმ მიზნით, რომ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ მიიზიდოს ფართო საზოგადოება და უფრო ავტორიტეტული გახადოს თავისი მუშაობა, უმჯობესია კომისიებმა მიაღწიონ იმას, რომ არასრულწლოვანთა საქმეები განხილულ იქნას კომისიის გამსვლელ სესიებზე საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საერთო საცხოვრებლებში, მშობლების სამუშაო ადგილას და სხვა. ასეთი პრაქტიკა მარტო სასურველი კი არ არის, აუცილებელიცაა. გამსვლელი სესიების ორგანიზაცია ავტორიტეტს გაუზრდის არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, გააფართოებს მის პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით მნიშვნელობას და კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს საზოგადოებასთან.

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლამ ცხადყო, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესონ კოლონიებიდან დაბრუნებულ არასრულწლოვანებზე. და იმ არასრულწლოვანებზე, რომელთაც შეფარდებული ჰქონდათ პირობითი მსჯავრი.

აღსანიშნავია, რომ აქ მარტო კომისიებს არ მიუძღვით ბრალი; მათთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახალხო სასამართლოებს, რომლებიც ყოველთვის არ ასრულებენ სწორ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის დადგენილების მოთხოვნას.

ყველა შემთხვევაში, როცა იყენებენ პირობით მსჯავრს, აგრეთვე სასჯელის ღონისძიებებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ან აღმზრდელობითი ხასიათის გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, სასამართლოები ვალდებული არიან განაჩენის ან დადგენილების ასლი გაუგ-



ქართული  
ლიბრერი

ზანთონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის სიცხარვე-  
ბელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების ან შესაბამისი  
საზოგადოებრივი ორგანიზაციების (კომკავშირული, პროფკავშირული, მშობელ-  
თა კომიტეტი და სხვ.) ხელმძღვანელებს არასრულწლოვანის სამუშაოს ან სას-  
წავლებლის ადგილის მიხედვით. ყოველივე ამას სასამართლოები ხშირად არ  
ახორციელებენ.

რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში  
ადგილი აქვს სხვა დარღვევებსაც, რომლებიც ამცირებენ არასრულწლოვანთა  
დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტურობას. ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიური რო-  
ლია პროკურორების საერთო ზედამხედველობა კანონების ზუსტად შესრულე-  
ბაზე. ზოგჯერ პროკურორები არ ახორციელებენ ჯეროვან ზედამხედველობას  
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ აღმზრდელობითი კოლონიების ხელმძღვანელები  
უკანასკნელ ხანს იშვიათად ატყობინებენ ადგილებზე კოლონიებიდან განთავი-  
სუფლებულ არასრულწლოვანთა დაბრუნებას, ასე მაგალითად: 1964 წლის გან-  
მავლობაში ერთ-ერთი კოლონიიდან განთავისუფლდა 104 აღსაზრდელი, კოლო-  
ნიიდან შეტყობინება გაიგზავნა მხოლოდ 24 მოზარდის საცხოვრებელი ად-  
გილის მიხედვით. მაშინ, როდესაც კოლონიის მუშაეები არ უნდა კმაყოფილდე-  
ბოდნენ ამითაც. ისინი მოვალენი არიან, რომ ზოგიერთ ადგილებში თვით გაემ-  
გზავრონ და ადგილებზე შეამოწმონ მათ მიერ აღზრდილი მოზარდის მდგომარ-  
ეობა, ჩაბმული არიან თუ არა ისინი საზოგადოებრივ საქმიანობაში და რო-  
გორ ზრუნავს მის მიმართ ადგილობრივი ხელმძღვანელობა.

ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს  
სკოლა, რომელიც განუყოფლად აერთიანებს განათლებასა და აღზრდას. სკო-  
ლის ამოცანა არ განისაზღვრება მარტო იმით, რომ იგი მოზარდ თაობას აძლევს  
ცოდნის განსაზღვრულ მარაგს, ამასთან ერთად სკოლა საფუძველს უყრის ახალ-  
გაზრდის მსოფლმხედველობას, მის ზნეობრივ სახეს, ტრადიციებს. მაშასადამე,  
სწორედ სკოლას შეუძლია მოამზადოს ადამიანი ცხოვრებისათვის, ყოველმხრივ  
განავითაროს მისი უნარი.

სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება წარმოად-  
გენს მოზარდთა მიერ დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრისა და გაფრთხილების  
ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებას. საგულისხმოა ის მდგომარეობა, რომ არა-  
სრულწლოვანები, რომლებმაც განმეორებითი დანაშაული ჩაიდინეს, თითქმის  
ყველა დაბალი განათლებისაა.

აღსანიშნავია, რომ ხშირად სკოლის პედპერსონალი საჭიროდ თვლის ბავ-  
შვის სკოლიდან მოცილებას იმ თვალსაზრისით, რომ იგი ცუდ გავლენას ახდენს  
კლასის სხვა ბავშვებზე. სკოლების ხშირი გამოცვლა კი მიზეზია იმისა, რომ ბავ-  
შვები ცუდად სწავლობენ და ჩამორჩებიან თანატოლებს. ასე მაგალითად, ამჟა-  
მად მსჯავრდებული ჩ. ოსმანოვი ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის პედსაბ-  
ჭოს სხდომის დადგენილების საფუძველზე გარიცხული იქნა მე-5 კლასიდან  
1962 წელს ქურდობის გამო.

1947 წელს დაბადებული რ. დავიდოვი 1961 წელს გარიცხული იქნა ქ. თბი-  
ლისის 92-ე საშუალო სკოლის მე-4 კლასიდან.

აი, რას მოგვითხრობს 1950 წელს დაბადებული ბორის ფედოტოვი, რომე-

ლიც მეორედ მოხვდა აღმზრდელობით კოლონიაში წვრილმანი ქურდობისა და მოხეტიალე ცხოვრებისათვის.

„მამა მეორე ჯგუფის ინვალიდია და არ მუშაობს, დედა კი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაა. იმის გამო, რომ დედა სახლში არ იყო, მე თავისუფლად ვიზრდებოდი; როცა მინდოდა, მაშინ მივდიოდი სახლში, ზოგჯერ კი საერთოდ არ მივდიოდი; ვავიჩინე ამხანაგები და მათთან ერთად ვქურდობდი. ვსწავლობდი რუსთავის მე-7 საშუალო სკოლაში და 11 წლის ვიყავი, სკოლაში სიარული რომ შევწყვიტე.“

1961 წლიდან 1963 წლამდე ვიმყოფებოდი კოლონიაში. კოლონიიდან განთავისუფლების შემდეგ დავბრუნდი ოჯახში დედასთან. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ 13 წლის ვიყავი, სამუშაოზე არსად არ მიმიღეს, ხოლო სკოლის დირექტორმა (სადაც ადრე ვსწავლობდი), უარი მითხრა მიღებაზე და განმიცხადა: შენ კოლონიაში ნამყოფი ხარ, ბავშვებს გამიფუჭებო და გამაგზავნა რუსთავის მე-12 საშუალო სკოლაში, სადაც 5 დღე ვიარე და იქიდანაც გამომავდეს იმ მოტივით, რომ შენი მიკრორაიონი არ არისო, რის შემდეგაც აღმოვჩნდი სკოლის გარეშე. დავუკავშირდი ცუდ ამხანაგებს და კვლავ ქურდობას მივყევი ხელი, და აი, მეორედ აღმოვჩნდი აღმზრდელობით კოლონიაში“.

უკანასკნელ პერიოდში ძალიან ვახშირდა მოსწავლეების გადასვლა ზოგად საგანმანათლებლო საშუალო სკოლებიდან მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლაში. ასე მაგალითად: მიმდინარე სასწავლო წელს ზესტაფონის პირველი და მეორე მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში ზოგად-საგანმანათლებლო საშუალო სკოლებიდან ჩარიცხულია 105 ბავშვი. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში და რაიონებშიც.

საღამოს სკოლაში გადასული მოსწავლე, რომელიც საზოგადო საქმიანობაში არ არის ჩაბმული, მთელ დღეს უქმად ატარებს, აზარტული თამაშობანი, სულიგნობა, ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალი, რესტორანში ქეიფი — აი, რით არის დაკავებული მოზარდის ყოველდღიური ცხოვრება. ამის შედეგად იგი ადვილად ებმება დანაშაულში; ასეთი მდგომარეობა მოუთმენელია. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ძირითადი კონტინგენტი დამნაშავე არასრულწლოვანებისა საღამოს სკოლის მოსწავლეები არიან.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელები მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანებზე იძლევიან არასწორ დახასიათებას, შეცდომაში შეყავთ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები, რაც იწვევს არასრულწლოვანის პასუხისმგებლობის საკითხის არასწორად გადაწყვეტას. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ არასწორ დახასიათებას იძლევიან, შუამდგომლობენ მართლწესრიგის დამრღვევ არასრულწლოვანების კოლექტივზე გადაცემას აღსაზრდელად და გამოსასწორებლად, რასაც ფაქტიურად არ ასრულებენ. მოზარდები კვლავ რჩებიან ყოველგვარი კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე, რაც იწვევს მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენას.

ამჟამად პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ზ. სურმავა მე-7 კლასამდე სწავლობდა ცხაკაიას საშუალო სკოლაში, ხოლო მე-7 კლასში იგი გადაიყვანეს ცხაკაიას რკინიგზის სკოლა-ინტერნატში, სადაც ერთი წელი დაჰყო, ხოლო მე-8 კლასში გადაყვანილი იქნა ცხაკაიას მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში, სადაც ისწავლა მე-10 კლასამდე, მე-10 კლასში ყოფნის დროს კი 1964 წლის 9 აპრილს, როდესაც ერთი თვე აკლდა ათი კლასის დამთავრებას, გარი-

ცხულ იქნა სკოლიდან, როგორც უდისციპლინო. ზ. სურმავეამ ((1947 წელს დაბადებულმა) ჯერ კიდევ 1963 წლის 13 ნოემბერს ფოთი-თბილისის სახალხო მატარებელში მგზავრობის დროს მგზავრ მ. სულაბერიძეს მოპარა პალტო. ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის I ნაწილით.

საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა ზესტაფონის სარაიონთაშორისო პროკურატურა.

1963 წლის 11 დეკემბერს ცხაკაიას მუშა-ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ესართიამ ზესტაფონის სარაიონთაშორისო პროკურორს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიაც ითხოვდა ზ. სურმავეას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას და მის გადაცემას სკოლისათვის შემდგომი აღზრდისათვის. მიმართვას თან ერთვოდა 3 დოკუმენტი:

1. ქ. ცხაკაიას საღამოს მუშა-ახალგაზრდობის ზოგად-საგანმანათლებლო სამუშაო სკოლის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრების ოქმი, რომლითაც შუამდგომლობდნენ მოსწავლე სურმავეას მათზე გადაცემას აღსაზრდელად.

2. დახასიათება, სკოლის დირექტორის ხელმოწერით, რომელშიაც სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლექტივი მოსწავლე ზ. სურმავეას ახასიათებდა დადებითად, როგორც კარგი ავტორიტეტის მქონეს.

3. დახასიათება, გაცემული ცხაკაიას რაიკავშირის მალაზიის დირექტორის მიერ, რომლითაც სურმავეა კარგად ხასიათდებოდა.

ზესტაფონის სარაიონთაშორისო პროკურატურამ გაიზიარა შუამდგომლობა და 1963 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით სურმავეას მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვიტა, ხოლო მისი აღზრდა-გამოსწორება დაავალა სკოლის კოლექტივს მათივე შუამდგომლობის საფუძველზე.

ნაცვლად იმისა, რომ სკოლის კოლექტივს მეტი დაინტერესება გამოეჩინა სურმავეას აღზრდა-გამოსწორების საქმეში, პირიქით მოიქცა. როდესაც ერთი თვე აკლდა 10 კლასის დამთავრებას, გარიცხა სკოლიდან, ისე რომ არ შეუთანხმდა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

სურმავეამ კვლავ ჩაიდინა დანაშაული. ცხაკაიას საქვაჭრობის განყოფილების კულტმალაზიის საწყობიდან მოიპარა 390 ცალი წითელი ყელსახვევი, ღირებული 300 მანეთად და გაყიდა 120 მანეთად, რისთვისაც იგი დააპატიმრეს.

არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ძირითად, ხელშემწყობ მიზეზს წარმოადგენს ნაკლოვანებები აღზრდელობით მუშაობაში მოზარდთა შორის წარმოებებში. არის შემთხვევები, როდესაც მოზარდები მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, საქარმოებში, მაგრამ განმეორებით ჩადიან დანაშაულს.

ეს ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ არასრულწლოვანების სამუშაოზე მოწყობა არ არის კრიტერიუმი მათი აღზრდისა და გამოსწორებისათვის. საჭიროა არასრულწლოვანს წარმოებაში, სამუშაო ადგილას შეექმნას პირობები, რომ იგი შეეჩვიოს კოლექტივს, შრომას და რომ მას იზიდავდეს მის გარშემო შექმნილი ატმოსფერო, ამაზე კი მუდმივ და სისტემატურ კონტროლს უნდა ახორციელებდეს არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარეებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, როგორც დამნაშავე არასრულწლოვანთა აღზრდა-გამოსწორების საქმეში, ასევე წინასწარი პროფილაქტიკური გამაფრთხილებელი მუშაობის ჩასატარებლად. ასეთი სერიოზული დავალების შესრულება განუხორციელებელი დარჩება, თუ მათ საამისო დრო არ ექნებათ. როგორც წესი, რაი-აღმასკომის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები არასრულწლოვანთა კომისიების თავმჯდომარეობის გარდა ხელმძღვანელობენ აგრეთვე სხვადასხვა სახის კომისიებს ძირითად სამუშაოსთან შეთავსებით. ასეთი დატვირთვა იწვევს მათ მხრივ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიისადმი ფორმალურ ხელმძღვანელობას. სასურველია, ისინი გათავისუფლდნენ სხვა საზოგადოებრივი დატვირთვისაგან, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიღებს შედეგს მათი მუშაობა.

---



# რეალური დავის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო პროცესში

## 6. დავითაია,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის  
თავმჯდომარის მოადგილე

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მოქალაქეების რეალურად უზრუნველყოფას კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით. ამ უფლებათა შორის მნიშვნელოვანია ბრალდებულის უფლება დაცვაზე.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, როდესაც დამცველის მონაწილეობა საქმეში სავალდებულოა და ბრალდებულს, სამართალში მიცემულს ან მისი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა.

სასამართლოს დანიშვნით დაცვის განხორციელება იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო ადგილზე მიმართავს იურიდიულ კონსულტაციას ან უშუალოდ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს საქმეში მონაწილეობის მისაღებად ადვოკატის გამოყოფის შესახებ.

თაოსნობა ამ შემთხვევაში სასამართლოს ეკუთვნის და არა სამართალში მიცემულს.

სასამართლოს მიერ დამცველის დანიშვნა დამოკიდებულია საქმის განხილვის პროცესუალურ წესზე, სამართალში მიცემულის პიროვნებაზე და ამა თუ იმ საქმის შინაარსსა და თავისებურებაზე.

საპროცესო ნორმების აშკარა დარღ-

ვევაა ისეთი ფაქტი, როდესაც საქმის განხილვის დროს, სადაც ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა, სამართალში მიცემული უზრუნველყოფილი არ არის რეალური დაცვით. ასეთ პირობებში განაჩენი სხვა მხრივ როგორც არ უნდა ობიექტურად იყოს გამოტანილი, სასამართლოს ზემდგომი ინსტანციის მიერ ვერ იქნება ძალაში დატოვებული.

ამასთან საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით არ არსებობს იძულებითი დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმეზე ადვოკატის მონაწილეობა სამართალში მიცემულის სურვილის წინააღმდეგ დაუშვებელია.

საქართველოს სსრ სსსკ 45 მუხლით, ბრალდებულს ან სამართალში მიცემულს საქმის წარმოების ყველა მომენტსა და სტადიაში უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე.

დაცვაზე უარის თქმა, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს და უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ სამართალში მიცემულისაგან. ამასთან სამართალში მიცემულს უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე სათანადო მოტივების მოყვანის გარეშე. საკმარისია განაცხადოს, რომ მას არ სურს დამცველი და თვითონ განხორციელებს სასამართლოს პროცესზე თავის დაცვას, მაგრამ სასამართლო ვალდებულია საფუძვლიანად შეამოწმოს სამართალში მიცემულის ეს განცხადება.

ამრიგად, ბრალდებულის ან სამართალში მიცემულის განცხადება დამცველზე უარის თქმის შესახებ სავალდებულოა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთზე უარს განაცხადებს არასრულწლოვანი ან ის პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია პირადად განხორციელოს თავისი დაცვა.

ზოგიერთი სასამართლოს პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი სამართალში მიცემულის რეალური დაცვის უზრუნველყოფისა და მისი მოწესრიგების საკითხზე, რის გამოც ადგილი აქვს გაუგებრობებს.

მაგალითად, საჩხერის რაიონის სახალხო მოსამართლემ საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ მათ მიერ გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე ყველა სისხლის სამართლის საქმის შესასწავლად გამოჰყოს ადვოკატი, რომელიც შემდეგ სასამართლოს პროცესზე გამოცხადდება შევსებული ორდერით, ხოლო თუ სამართალში მიცემული უარს განაცხადებს დამცველზე, ორდერი დატოვოს საქმეში ჩასაკრავად.

ქ. ტყიბულის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდიუმის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს:

„ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ კონსულტაციის გამგე ვალდებულია ყველა საქმეზე გამოგზავნოს ადვოკატი ორდერით, სურს თუ არა სამართალში მიცემულს დამცველი, რათა სამართალში მიცემული რეალური დაცვით იყოს უზრუნველყოფილი, რადგან ასეთს მოითხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია და ამ წესის დაუცველად აუქმებს განაჩენს“ (ტექსტი დაცულია ნ. დ.)

ანალოგიურ მოთხოვნებს უყენებენ

4. საბჭოთა სამართალი № 6.

იურიდიულ კონსულტაციებზე ადვოკატებზე საგარეჯოს, გურჯაანისა და სხვა რაიონის სახალხო სასამართლები.

ვინაიდან ეს საკითხი მნიშვნელოვანია და მოითხოვს უახლოეს ხანში გადაწყვეტას, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

შემოთ ხსენებული მოსამართლეების თვალსაზრისით გამოდის, რომ სამართალში მიცემულის რეალური დაცვის უზრუნველყოფისათვის თითქოს საკმარისია პროცესზე ადვოკატის ორდერით გამოცხადება და სხვა არაფერი.

პროცესუალური ნორმების დაცვის საბაზით ასეთი მოსაზრების გატარება საქმისადმი ფორმალური მიდგომა იქნებოდა.

ასეთ ვერსიას რომ გავყვეთ, ხომ ისიც არის მოსალოდნელი, მსჯავრდებულმა საკასაციო ან ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივარში სხვა მოტივებთან ერთად მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოს დანიშნით თუმცა მას გამოეყო დამცველი, მაგრამ არ ისურვა ამ უფლებით სარგებლობა თავისი უცოდინარობის გამო და ფაქტიურად რეალური დაცვის გარეშე დარჩა. სასამართლოს ზემდგომი ინსტანცია, ცხადია, ამ გარემოებას თავისი ყურადღების გარეშე ვერ დატოვებს.

პროცესზე ადვოკატის გამოცხადება და შემდეგ ორდერის ჩამორთმევა საქმეში ჩასაკრებლად, როგორც ამას ფიქრობენ ცალკეული მოსამართლეები, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სამართალში მიცემული რეალური დაცვით უზრუნველყოფილი იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რეალური დაცვით უზრუნველყოფა სამართალში მიცემულისა ძირითადად იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სასამართლომ საქმის განხილვის დაწყებამდე ამ მიმართებით ჩაატაროს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა, წინასწარ აცნობოს სამართალში მიცემულს დამცველის დანიშვნაზე.

სასამართლოების მიერ საკითხის დაყენება, რომ ყველა საქმეზე ადვოკატი სასამართლოს პროცესზე ცხადდებოდეს ორდერით, სურს თუ არა სამართალში მიცემულს დამცველი, პროცესუალური ნორმების მოთხოვნის მიხედვით არ არის გათვალისწინებული.

ასეთი პრაქტიკის დანერგვა ხშირ შემთხვევაში გამოიწვევდა ადვოკატის შრომის უნაყოფოდ დახარჯვას და შელახვდა მის ავტორიტეტს.

სამართალში მიცემულის რეალური დაცვით უზრუნველყოფასთან ერთად სასამართლო ვალდებულია ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებასაც, რომ აუცილებელი საჭიროების გარდა, ადვოკატმა დრო არ დაკარგოს საქმის შესასწავლად და სასამართლოს პროცესზე ის მხოლოდ ორდერის დასატოვებლად არ იქნეს გამოძახებული.

იმ საქმეზე, სადაც სასამართლოს დანიშნით დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, დაცვის რეალურად უზრუნველყოფის საკითხი შემდეგნაირად უნდა მოწესრიგდეს.

არასრულწლოვანის ან ისეთი პირის საქმეზე, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლია პირადად განახორციელოს თავისი დაცვა, იურიდიული კონსულტაცია ვალდებულია სასამართლოს შეტყობინების საფუძველზე გამოჰყოს ადვოკატი, რომელიც სამართალში მიცემულის თანხმობის გარეშე შეისწავლის საქმეს და სასამართლო პროცესზე გამოცხადდება სათანადო ორდერით.

სსკ 44-ე მუხლის შესაბამისად სხვა შემთხვევაში სამართალში მიცემულის რეალური დაცვით უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ სამსჯავრო სხდომის დანიშვნისთანავე სხვა მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებასთან ერთად უნდა მიმართოს იურიდიულ კონსულტაციას ადვოკატის გამოყოფის შესახებ.

გამოყოფილი ადვოკატი ვალდებულია არ არის წინასწარ შეისწავლოს საქმე, სანამ სასამართლოს ნებართვით ის არ შეხვდება სამართალში მიცემულს და არ გამოარკვევს, სურს თუ არა მას დამცველი და კერძოდ, გამოყოფილი პირი. თანხმობის შემთხვევაში სსკ 336-ე მუხლის მიხედვით ადვოკატი უნდა შეუდგეს დაცვის ფუნქციის შესრულებას და დაიწყოს საქმის შესწავლა.

თუ სამართალში მიცემული უარს განაცხადებს დამცველზე, სასამართლოსათვის ეს სავალდებულოა, რაც საქმეში აღინიშნება და ადვოკატის მოვალეობაც დამთავრებულად ითვლება.


თუ საპატიო მიზეზით ვერ მოხერხდა წინასწარ ადვოკატის შეხვედრა სამართალში მიცემულთან, მაშინ პროცესის დაწყების წინ მოსამართლემ უნდა შეახვედროს ადვოკატი სამართალში მიცემულს და იქვე გამოარკვიოს, სურს თუ არა სამართალში მიცემულს დამცველი.

ამავე დროს გამორიცხული არ არის ისეთი ფაქტიც, რომ სამართალში მიცემული ზოგჯერ შეცვლის თავის გადაწყვეტილებას და სამსჯავრო სხდომის დაწყებისთანავე ან მის შემდეგ დააყენებს საკითხს დამცველის მონაწილეობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილებასთან ერთად ადვოკატს უნდა მიეცეს გარკვეული დრო საქმის შესასწავლად.

ამ ღონისძიებათა გატარება კიდევ უფრო გაზრდის სასამართლოს პასუხისმგებლობას სამართალში მიცემულის რეალური დაცვით უზრუნველსაყოფად, ამასთან ერთად თავიდან იქნება აცილებული ადვოკატის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა იმსჯელებს ამ საკითხზე და უახლოეს ხანში სახალხო სასამართლოებს მისცემს სახელმძღვანელო მითითებას.

## აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი



ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, ქართული სამართლის ისტორიის ერთსა და იმავე დროს იურისტიკუნდა ყოფილიყო და კარგად მომზადებული ფილოლოგ-ისტორიკოსიც, რაც რასაკვირველია, იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე.<sup>1</sup> გარდა ამისა მას სჭირდებოდა აგრეთვე ისეთი დამხმარე მეცნიერული დისციპლინების ცოდნა, როგორცაა: ქართული დიპლომატიკა, ეთნოგრაფია და სხვ. ქართული სამართლის ისტორიის სერიოზულ მკვლევარს უნდა სცოდნოდა ბერძნული, სომხური, სპარსული, ასურული, აგრეთვე ევროპული და ქართველური ენები. ამ გარემობას ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ითვალისწინებდა და გარდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისა, ისტორიულ-ფილოლოგიურისა და იურიდიული ფაკულტეტების ლექციებსაც ისმენდა. იგი ინტენსიურად მუშაობდა ყველა ზემოხსენებულ სფეროში. ივანე ნათლად ხედავდა, რომ მომავალი მუშაობისათვის ზოგადი ფილოლოგიური და იურიდიული ცოდნა მისთვის აუცილებელი იქნებოდა. 1901 წელს გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ივანე ჯავახიშვილი სპეციალურად სწავლობდა სამართლის ისტორიას ცნობილი მეცნიერის ბრუნერის შრომებით და მისივე ხელმძღვანელობით, ხოლო გერმანული ფეოდალური ინსტიტუტების ისტორიას პროფ. ლამბერტის გამაოკვლევებით.

1905 წელს ივანე ჯავახიშვილი აქვეყნებს ორ ნაშრომს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან: „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“ და „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წყობილება“.

ეს უკანასკნელი ივ. ჯავახიშვილის სამაგისტრო დისერტაციას წარმოადგენდა. აქ ივანე ჯავახიშვილს სოციალ-ეკონომიური და სამართლებრივი საკითხების კვლევა აქვს წინ წამოწეული.

სამაგისტრო დისერტაციაში „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფო წყობილება“ ი. ჯავახიშვილმა ქართული, სომხური, სპარსული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მოგვცა მეტად საინტერესო იურიდიულ-ისტორიული მონოგრაფია. როგორც ფართო პერიოდის მეცნიერმა, მან პარალელურად შეისწავლა ძველი კულტურის მქონე ორი მეზობელი ქვეყნის — საქართველოსა და სომხეთის — საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, გამოიყენა რა იმავე დროს შედარებით-ისტორიული მეთოდიც. ჯავახიშვილს აინტერესებდა, აღმოსავლეთის საღმრთა

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, როგორც საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მკვლევარს, განსაკუთრებული საზომით უნდა მიეუძღვეთ. მისი დიდი ღვაწლის დასაფასებლად გამოუსადეგარი იქნებოდა იმ მასშტაბით სარგებლობა, რასაც საშუალო მეცნიერის მიმართ გამოიყენებენ ხოლმე.

ივანე ჯავახიშვილი როგორც მკვლევარი, მთელი მეცნიერული საბყარო იყო. როგორც ოკეანის სიღრმისა და სივრცის გასაზომად მილიმეტრები და სანტიმეტრები ნაკლებად გამოდგება და მეტრებსა თუ კილომეტრებს უნდა მივმართოთ, სწორედ ასევე ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის დასაფასებლად რაღაც განსაკუთრებული საზომი უნდა მოიძებნოს.

საქურნალო სტატიაში შესაძლებელია მხოლოდ მოკლედ ჩამოთვალათ დიდი მეცნიერის ღვაწლი ქართული სამართლის ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილამდე საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარება მკვეთრად ჩამორჩებოდა მისი მნიშვნელობის დონეს. ამ ჩამორჩენილობის მიუხედავად იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც ამას თვითონ

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი 1, ტფილისი, 1928, გვ. 7.



სახელმწიფო წყობილების ტერმინოლოგიას რამდენად შემორჩა ადრეკლასობრივი წყობილებიდან მომდინარე ტერმინები. ი. ჯავახიშვილისათვის ტერმინოლოგიის შესწავლა და საერთოდ ენობრივი მონაცემების გათვალისწინება მეცნიერულ მძიმე არტილერიას წარმოადგენდა. მისი აზრით, სოციოლოგიისათვის სახელმწიფო წარმოშობის საკითხში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „აქ მონახებიან საიმედო ფაქტები“, — ამბობდა იგი. ივანე ჯავახიშვილისათვის წინა თაობათა იურიდიული ინსტიტუტების კვლევაში ენობრივი მონაცემების ანალიზის კაპიტალური მნიშვნელობა ჰქონდა და მას, შესანიშნავ ენათმეცნიერს, ამის გაკეთება ბევრ ისტორიკოსზე და იურისტზე უკეთ შეეძლო. ენა მისთვის ხალხის ისტორიის უძველესი და უკეთესი ინდიკატორი იყო. და იგი ამაში არც ცდებოდა. ივანე ჯავახიშვილს შეეძლო საუკუნეების წინ გამჭრალი იურიდიული დანაწესებულებების შინაარსის გასახსნა ბედად გადარჩენილი რამდენიმე არქაული ტერმინის ანალიზის საფუძველზე.

ი. ჯავახიშვილის თხზულება „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“ სანიშნო მეცნიერული ნაშრომია. ავტორი აქ უხვად იყენებს ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს, მიუთითებს თითოეული მათგანის მეცნიერულ ღირებულებას. მაგალითად, ავტორი მიუთითებს, რომ ვესტათე მცხეთელის მარტილობა, როგორც საისტორიო წყარო, უმაღლესი ნდობის ღირსია. მეექვსე საუკუნის პირველ ნახევრიდან 888 წლის ახლო ხანებამდე საქართველოს მეფე არ ყოფილა. IX ს. საქართველოში აღდგა მეფობა და თანდათან მთელი საქართველო ერთ სამეფოდ იქცა. ავტორმა საისტორიო წყაროების მოშველიებით დაამტკიცა, რომ საქართველოს მეფის სახელწოდება „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და მას რეალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ივ. ჯავახიშვილმა კონკრეტულ ისტორიული მასალების სერუპულოზური ანალიზის შედეგად უარყო ევროპელი მეცნიერების მტკიცება, თითქოს შუა საუკუნეების აზიის ყველა სახელმწიფოში „აზიური დესპოტია“ ბატონობდა. საქართველოს ისტორიის მაგალითზე მან გვიჩვენა, რომ ეს აზრი სასტიკად მცდარია. ავტორმა დაასაბუთა, რომ თუ თანამედროვე სახელმწიფოებში მეფის ან მისი შესაბამისი ორგანოების ბრძანებულებას იმ დრომდე აქვს ძალა და მნიშვნელობა, სანამ მას რომელიმე მომავალი მეფე ან ორგანო არ გააუქმებს, ფეოდალურ საქართველოში მას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ მას თითოეული ახალი ხელმწიფე დაამტკიცებდა. საქართველოში მეფის ხელისუფლება შესუდუდელი იყო საერო და სასულიერო ფეოდალების ინტერესებისა-

თვის სერიოზული ანგარიშის გაწევით მნიშვნელოვან მეფე საგანთა ლოგიკით იძულებული იყო თავისი ნება შეესუდუდა კერძო მიწისმფლობელ აზნაურთა ინტერესებისათვის.

1909 წლიდან მოყოლებული ივანე ჯავახიშვილი უკვე იწყებს საქართველოს სამართლის ისტორიის შექმნას ფიქრს და კითხულობს ლექციებს ქართული სამართლის ისტორიიდან. 1919 წელს გამოდის „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი. იგივე ნაშრომი მეორედ გამოიცა 1928 წელს. ამავე წელს გამოვიდა „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის პირველი ნაკვეთი, ხოლო 1929 წელს — „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნის მეორე ნაკვეთი.

როგორც ვხედავთ ივ. ჯავახიშვილმა ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შექმნა სამი წიგნად ქართული სამართლის ისტორია. ავტორს სხენებულ ნაშრომებში ქართული სამართლის ისტორია განხილული აქვს უძველესი ეპოქიდან ვიდრე XIII საუკუნემდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIV საუკუნემდე ქართული სამართლის წიგნებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ და ავტორს თავისი კაპიტალური ნაშრომი, რომელიც საერთოდ ათასამდე გვერდს შეიცავს, ისტორიული იურიდიული დოკუმენტების, ნარატული წყაროების, აგიოგრაფიული ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მონაცემების, კანონიკური სამართლის ნორმების, ბიბლიის ხელნაწერთა ტექსტების ტერმინოლოგიის შესწავლის, მეზობელი ხალხების — სომხების, სპარსელების, ბიზანტიელების, არაბების, აგრეთვე ევროპელ ხალხთა ფეოდალური სამართლის ნორმების გათვალისწინებითა და კრიტიკული განხილვის შედეგად აქვს დაწერილი. ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა XIII—XVIII საუკუნეების ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა, მაგრამ ვერ მოასწრო.

თავის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ ივანე ჯავახიშვილმა შესძლო ეჩვენებინა „თუ რაოდენი შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში სოციალური ცხოვრების აპარატზე სამართლის სფეროში“. ავტორი შეეცადა მოეცა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ფაქტების ობიექტური ახსნა მათ ორგანულ კავშირში. ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიის შესწავლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის დიდი პანორამის შესაქმნელად.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიის“ წერდა, არ არსებობდა საისტორიო ძეგლებისა და იურიდიული დოკუმენტების ხეირიანი, მეცნიერული გამოცემები. მრავალრიცხოვანი ხელნაწერი სათანადოდ არ იყო აღწერილი და იქ ანდერძებისა და მინაწერების სახით დაცული ბევრი

პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ცნობა მეკლემ-ვარისათვის მოუწოდებელი რჩებოდა. არ იყო მეცნიერულად გამოცემული ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორცაა დიდი სჯულის კანონი, ბიზილის ქართული თარგმანების ტექსტები და სხვ. ცნობილია, რომ მრავალი მეტად საინტერესო იურიდიული დოკუმენტი ჩვენამდე სახარების ტექსტზე მიწაწერების სახითაა მოღწეული. აკადემიკოსმა ნიკო მარმა და აკადემიკოსმა გრიგოლ წერეთელმა კორიდეთის სახარების ქართული და ბერძნული მიწაწერების გამოცემით საინტერესო იურიდიული დოკუმენტები შესძინეს თავის დროზე მეცნიერებს. სახარება, რომელიც ეკლესიაში ინახებოდა, იმ დროს თავისებურ სანოტარო დაფორის როლს ასრულებდა. ყველა მნიშვნელოვანი საბუთი მიწაწერების სახით მასზე კეთდებოდა მაშინ. სხვა ახეთი დოკუმენტების გამოცემა მომავალშიაც უთუოდ საჭირო იქნება.

აკად. ივ. ჯავახიშვილს არ შეეძლო დიდი ყურადღებით არ მოჰკიდებოდა წყაროების შესწავლას. ამიტომაც „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი ძირითადად სწორედ წყაროების შესწავლისადმი არის მიძღვნილი. აქ, პირველ ყოვლისა, ავტორი არკვევს ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიას, კრიტიკულად სწავლობს სამართლის ძეგლებს და სხვ. ავტორი განიხილავს, როგორც საერთო, ასევე კანონიკური კანონმდებლობის ძეგლებს. ბიზანტიის ისტორიისა და ბიზანტიური კანონმდებლობის კარგი ცოდნა, ბერძნული ლეგალური ძეგლების დედანში წაკითხვის შესაძლებლობა ავტორს საშუალებას აძლევდა ღრმად და ფართოდ შეეხედა საკვლევი საკითხებისათვის. ბიზანტია შუა საუკუნეების მანძილზე მსოფლიო კულტურის მესვეურად ითვლებოდა. დიდი იყო მისი გავლენა მეზობელ ხალხებზე არა მარტო რელიგიისა და განათლების სახით, არამედ კანონმდებლობის სფეროშიაც. რიგი ქვეყნები ბიზანტიიდან იღებდნენ ნიმუშს საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის მოსაწყობის გზაზე.

იმისათვის რომ კარგად გავარკვიოთ, სადა გვაქვს საქმე ბიზანტიის გავლენასთან და სად არა, საჭიროა მისი ღრმად და საფუძვლიანად ცოდნა. ამიტომაც ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის გარკვევა, იქნება ეს ლიტერატურა, ისტორია, სამართალი, ხელოვნება თუ ყოფაცხოვრება, მითხნოვს თრივე ხსენებული სახელმწიფოს მრავალწახანაგოვანი კულტურის ყოველმხრივ შესწავლას. ივ. ჯავახიშვილმა ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი.

ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლის მიზნით მან თავისი დროისათვის ამომწურავად მოუყარა თავი წყაროებს, გაანალიზა ისინი და მათი საშუალებით შეისწავლა ქართული სამართლის ინსტიტუტები.

საკითხთა წრე, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ მეტად ვრცელმა: ქართული სამართლის წყაროები, საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წესწყობილება, საქართველოს მიწა-წყალი და მოსახლეობა, მოხელენი და მოხელეობა, საეკლესიო წყობილება, საქართველოს მეფე და მეფის ხელისუფლების ისტორია, სახელმწიფო დარბაზი და დარბაზობა, სისხლის სამართლის საკითხები, საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სასამართლო ორგანიზაცია, სასამართლოს წარმოება და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიის“ სამი წიგნი (ათასამდე გვერდი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუძღვნა ჩვენი ეროვნული სამართლის ისტორიას უძველესი ეპოქიდან მყოფლებულს ვიდრე XIII საუკუნემდე. შესწავლის თვალსაზრისით ეს ყველაზე ძნელი უბანი იყო, ვინაიდან არც ერთი კოდექსი სრული სახით, რომელიც XIV საუკუნემდე მოქმედებდა საქართველოში, ჩვენამდე მოღწეული არ არის. საერთოდ მე-13 საუკუნეზე უფრო ადრინდელი პერიოდის იურიდიული ხასიათის ძეგლებიც ჯამთა სივრცის მიზნით ჩვენამდე სულ მცირე რაოდენობით არის მოსული. ცხადია, რომ ამიტომ ადრე და შუა ფეოდალური ეპოქის ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას ძალზე დიდი სიძნელები ელბოებოდა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა დიდი მონდომებით და შრომით, უდიდესი ნებისყოფით შესძლო შეგროვებინა შვიდ სხვადასხვა ენაზე არსებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა ისინი, შეედარებინა ქართულ ნარატიულ და სხვა სახის წყაროებთან და ამის შემდეგ კვლავ ჩაეტარებინა ფილოლოგის, ისტორიკოსისა და იურისტის სპეციალური სამუშაო. უნდა ითქვას, რომ ავტორმა შესძლო ამ რთული ამოცანის გადაჭრა.

დასავლეთ ევროპასა და რუსეთში გასულ საუკუნეში იღწოდნენ მეცნიერთა მთელი ჯგუფები, რომლებმაც ისტორიკოსთა იურიდიული სკოლაც კი შექმნეს. რუსეთში მოღვაწეობდნენ სოლოვიოვი, ჩიჩერინი, სერგეევიჩი, პალოუ-სილვანსკი და მრავალი სხვა. ამიტომაც, მაქნის კომპლექსის მოსწრეული იქმნით, გასული საუკუნის მიმწერსზე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უფრო ღრმად შეისწავლიდით ისტორიას, ვიდრე თვით ისტორიის ფაკულტეტზე.

საქართველოს XIX საუკუნეში საკუთარი უნივერსიტეტი არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ცარნიზის პოლიტიკის წყალობით ქართველებს არ ჰყოლიათ არც სამართლის ისტორიკოსთა სკოლა. ის, რასაც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მეცნიერთა მთელი სკოლა აკეთებდა, საქართველოში ერთ ადამიანს უნდა



გაკეთებინა. ასეთი დიდი მეცნიერი და ადამიანი კი ივანე ჯავახიშვილი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ (1918 წ.) საქართველოს ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე მუშაობა გაჩაღდა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

საქართველოში კლასობრივ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და სამართალს ორი ათას ოთხასი თუ ორი ათას ხუთასი წლის ისტორია აქვს. ახალი წელთაღრიცხვის მესუთე საუკუნემდე ჩვენ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უმთავრესად უცხო წყაროების მიხედვით ვმსჯელობთ, ვინაიდან ქართულად დაწერილი ძეგლები მხოლოდ ა. წ. მესუთე საუკუნიდან მოგვეპოვება.

ძველ ბერძნულ, ბიზანტიურ-ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, არაბულ, სპარსულ, სომხურ, თურქულ, რუსულ და დასავლეთ ევროპის ახალ ხალხთა ენებზე მრავალი საინტერესო ცნობები არსებობს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესახებ. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარმა ყველა ისინი უნდა გაითვალისწინოს. ეს ცნობები და მასალები გაბნეულია სულ სხვადასხვა დარგისა და ზასიათის ნაშრომებში. ახალი წელთაღრიცხვის მესუთე საუკუნიდან მკვლევარი კვლავ შეიძლებოდა დაყრნობოდა იმ მასალებს, რომლებიც შემონახული არიან ჩვენს სიძველეთსაცავებში. საქმეს ამწელებს ის გარემოება, რომ ამ ძეგლების კრიტიკულ-აკადემიური გამოცემა ჯერ კიდევ სანახევროდ არაა დამთავრებული. უფრო მძიმე იყო მდგომარეობა მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ივანე ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიას წყრდა.

მიუხედავად ამ სიძნელებებისა, პირველწყაროების დეტალურმა შესწავლამ და ორმა ცოდნამ საშუალება მისცა განსვენებულ მეცნიერს დამაჯერებლად დაესაბუთებინა რიგი ახალი დებულება ქართული სამართლის ისტორიის დარგში, ეჩვენებინა ქართველი ხალხის იურიდიული ყოფაცხოვრების სწორი, ობიექტური სურათი. შედარებით-ისტორიული მეთოდით მომუშავე სოციოლოგიური სკოლის მეცნიერებისაგან განსხვავებით ივ. ჯავახიშვილის შრომები არა ზოგადი დებულებების სქემების მიხედვით აი.ის აგებული, არამედ შესაბამისი კონკრეტული წყაროების, ლეგალური ძეგლების, დოკუმენტების თუ ენობ-

რივი მონაცემების სკრუპულოზურ ანალიზზე. ამიტომაც მისი თხზულებები, განსხვავებით მ. კოვალევსკისა და მისი მოწაფეების ნაშრომებისაგან, წარმატებით უძლებენ დროის გამოცდას.

ცნობილია, რომ ქართულად ნათარგმნი უცხოური საკანონმდებლო ძეგლების განხილვისას ავტორი იშვიათი გულდასმით სწავლობს დედანსა და თარგმანს, ადარებს მათ ერთმანეთს, ადგენს თარგმანსა და დედანს შორის სხვაობას, არკვევს ამ უკანასკნელის მიზეზებს, სწავლობს მთარგმნელის სარედაქციო და კომენტატორული ხასიათის მუშაობის რაობას და იკვლევს საზოგადოებრივი მოთხოვნის მიხედვით გამოწვეული იმ დამატებას, რომელიც მთარგმნელის საკუთარ შემოქმედებას წარმოადგენს. ამ მიმართულებით აქვს შესწავლილი მას ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით კომენტატორული მუშაობა.<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილმა სწორად შენიშნა, რომ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი VI მსოფლიო კრების ძეგლისწერის ქართული ტექსტი ბერძნულზე სიდიდით სულ ცოტა ერთითრად დიდია და ამიტომ ქართული ტექსტი შეუძლებელია ბერძნული ცნობილი ტექსტის პირდაპირ თარგმანად ჩაითვალოს. აგებულებითაც ქართული არსებითად განსხვავდება ბერძნულისაგან. ე. მთაწმინდელის კომენტარების ანალიზის მიხედვით ავტორი არკვევს იმდროინდელი ქართული იურიდიული აზროვნების დონეს.

შუა საუკუნეებში რელიგია კულტურის ერთადერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა. ისიც ცნობილია, რომ თავდაპირველად აღმოსავლეთში აღმოცენებული ქრისტიანობა ჯერ ბერძნულ-რომაულ სამყაროში და შემდგომ უფრო ვრცელი მასშტაბითაც საერთაშორისო რელიგიად იქცა. პირველი ქრისტიანული ლიტერატურა, რომელიც ბერძნულ ენაზე შეიქმნა, მოიცავდა მის დოგმებს, მორალს, ფილოსოფიას, პოლიტიკურ მოძღვრებასა და იურიდიულ ნორმებს. ქართველები, ისევე როგორც სხვა ქრისტიანი ხალხი, სსენებული ლიტერატურის გადმოღებას თავიანთ ენაზე სავალდებულოდ თვლიდნენ. მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები ბერძნულ იურიდიულ და მორალურ ნორმებს ადგილობრივ პირობებს უსამებდნენ. ეს კარგად ჩანს აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შესწავლილი ადგილობრივი, ქართული საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლებიდანაც. ეს უკანასკნელები ავტორმა მარჯვედ გამოიყენა სამოქ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, ტფილისი, 1928, გვ. 30—37.

ლაქო და სისხლის სამართლის შესასწავლად და ვაარკვია, რომ X—XII საუკუნეებში საქართველო სამართლებრივი კულტურის დონით თითქმის ბიზანტიას უტოლდებოდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოავლინა, გულდასმით გამოიკვლია და მეცნიერების ყურადღების ცენტრში დააყენა ისეთი იურიდიული დოკუმენტები, რომელთაც ქართული სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესასწავლად კაპიტალური მნიშვნელობა აქვთ. ავტორი შეუდარებელია არაპირდაპირი (არაიურიდიული) ძეგლების სამართლის ისტორიისათვის კვლევის თვალსაზრისით.

ქართული სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლისას აკად. ივ. ჯავახიშვილი აღარებს მათ ბიზანტიურ, სპარსული, სომხური, სირიული სამართლის შესაბამის ინსტიტუტს, აღნიშნავს მათ მსგავსება-განსხვავებას, მიუთითებს იმ სპეციფიკურობაზე, რაც ამა თუ იმ სამართლებრივ მოვლენას საქართველოში ჰქონდა. მან, განათლებით არაიურიტმა, შესძლო ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებისათვის მკვიდრი საძირკველის ჩაყრა.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების რიგი რთული და ძნელი საკითხი მისთვის დამახასიათებელი თიქტურობით და სიფრთხილით გაარკვია და გაარჩია. შუა საუკუნეების საქართველო განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში (X—XIII სს) თავისი საზოგადოებრივი წყობილებით დასავლეთ ევროპას მოგვაგონებს. ამის ერთადერთი მიზეზი ქართული მიწათმფლობელობის წესში უნდა ვეძიოთ. სახელმწიფო წყობილებაც ამავე მიმართულებით გვიჩვენებს თავის ასხანას. ამავე დროს ქართულმა სახელმწიფოებრიობამ, როგორც აღმოსავლეთის ისე დასავლეთის ფეოდალურ ქვეყნებთან შედარებით, რიგი ორიგინალური, გონივრული და პროგრესული ინსტიტუტი გამოიმუშავა. ასეთს განეკუთვნება მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელის სახელო, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წინადადულობით შექმნილი ორგანო. მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი, როგორც მონაზონი უცოლშვილო და უმემკვიდრო იყო. ამიტომ მის სახელოს, ფეოდალური განკერძოების ინტერესით და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის არ ჰქონდა საფუძველი. მის სახელოს არ შეიძლებოდა ჰქონოდა მემკვიდრეობითი ხასიათი,

რადგანაც მას მემკვიდრე არც ჰყავდა. ცენტრალური ხელისუფლებას რომ სათანადო გავლენა ჰქონოდა საეკლესიო მართვა-გამგეობაზე, ვეჭირთა უპირველესი, მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობანი გაერთიანდა. შუა საუკუნეებში, როდესაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში უთუოდ პროგრესული მოვლენა იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის საიმედო და ერთგული ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას. ძლიერმა სამეფო ხელისუფლებამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევაში პროგრესული როლი შეასრულა. სავსებით სამართლიანად მიუთითებდა ფრ. ენგელსი: „მთელი ამ არეუ-ღარევის დროს სამეფო ხელისუფლება რომ პროგრესულ ელემენტს შეადგენდა, ეს სავსებით ცხადია. იგი იყო წესრიგის წარმომადგენელი ამ საყოველთაო არეულობის ხანაში. იგი იყო წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, რომელიც მუამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას უპირისპირდებოდა. ყველა რევოლუციური ელემენტი, რომელიც ფეოდალიზმის ზედაპირზე იქმნებოდა, ისევე მისიწრაფოდა სამეფო ხელისუფლებისაკენ, როგორც სამეფო ხელისუფლება მათკენ“.<sup>1</sup>

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ფეოდალური საზოგადოების პირობებში ასეთი რევოლუციური ძალა იყო მწარმოებელი კლასები, წვრილი აზნაურობა და მოქალაქეები. იმ დროს ქალაქი იყო თავისუფლებისა და პროგრესის ციხე-სიმაგრე. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილმა ცალკე მონოგრაფიაც კი უძღვნა საქართველოში საქალაქო წყობილებას.<sup>2</sup>

ქართული სამართლის ისტორიის საკითხების კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ივანე ჯავახიშვილის წიგნს „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. ამ ნაშრომში განსვენებულმა მეცნიერმა ქართული სამართლის ისტორიის დოკუმენტალური მასალა ყოველმხრივ მოსინჯა და კრიტიკულად შეამოწმა. უვარგისი თუ ყალბი, ტენდენციური წყაროები უკუაგდო.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული კვლევის საფუძვე-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლის და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ. იბ. „გლენხთა ომი გერმანიაში“. თბ. 1956, გვ. 190.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVII—XVIII სს. „პრობლემა“, № 1, 1918 წ.



ლი ისტორიული, ლინგვისტური ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და სამართლებრივი მასალა იყო. მაგრამ ამასთან ერთად მომიჯნავე დისციპლინების, მათი პირველწყაროების მეცნიერული ცოდნის მომარჯვება აძლევდა მას საშუალებას, რომ მის მიერ საკვლევად აღებული საგნისათვის მეცნიერების სხვა დარგების კუთხითაც შეეხედა.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული შემოქმედება მთელი ეტაპი იყო ქართული სამართლის ისტორიაში. დიდმა ნიჭმა, ღრმა სპეციალურმა მომზადებამ, ფართო, ენციკლოპედიურმა ცოდნამ, განსაცვიფრებელმა შრომისუნარიანობამ შეაძლებინა მას ქართველოლოგიის სულ სხვადასხვა დარგებში ფუძემდებელი ნაშრომების შექმნა.

ცხადია, შეცდომებისაგან დაზღვეული არც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ყოფილა. ზოგი რამ აუცილებლად უნდა გასწორდეს განსვენებული მეცნიერის ნაშრომებში. საჭირო იქნება მეცნიერების ახალი მიღწევების გათვალისწინებაც. მაგრამ ეს ყველაფერი მის დიდ მეცნიერულ ღვაწლს ჩრდილს სრულიადაც არ აყენებს.

ძველ აღმოსავლეთში დიდად ღვაწლმოსილ ადამიანზე იტყოდნენ: „იგი, როგორც გილგამეში, ორი მესამედით ღმერთია და ერთი მესამედით ადამიანით“.

ივანე ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგ აღმოსავლური თქმულებისა, „არც ერთი მესამედით“ არ იყო ღმერთი, მაგრამ იგი უკვდავია, და ეს უკვდავება მის მეცნიერულ შრომებშია.

ა. კეულიანი,

სსრ კავშირის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მოკლეს კოლმეურნე თამარ ლაგუნი.

მოკლულის გვამი იპოვა მისმა ქმარმა ბუჩქნარში, რომელიც მათ სახლიდან ნახევარი კილომეტრით იყო დაშორებული. მომხდარი ამბის შესახებ მან სასწრაფოდ აცნობა მილიციას.

შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იქნა შემდეგი ნივთები: გასისხლიანებული ჩაქუჩი, თოკი, ჩვარი ხისლის ლაქებით, ყურებიანი ქუდი და გახეთის ნახევრი.

ჩაქუჩი და ქუდი თამარის მეუღლეს ეკუთვნოდა. გახეთის ნახევრი კი გახეთ „სოფელსკი სპორტ“-ის ნომრის ნაწილი აღმოჩნდა. მასში გახვეული იყო ატელივიდან გამოტანილი ლაგუნის ფეხსაცმელები. ისევე ფელში ყველამ იცოდა ცოლ-ქმარს შორის არსებული უსიამოვნების შესახებ.

ბუნებრივია, რომ თამარის მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს მის მეუღლეს, მაგრამ ვ. ლაგუნი კატეგორიულ უარს აცხადებდა ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობაზე. მისი აზრით, თამარის მოკლა შეეძლო ორ ახალგაზრდას, რომლებიც უკანასკნელ დროს მათ სახლში ცხოვრობდნენ. ცნობილი იყო მხოლოდ მათი სახელები — ედუარდი და პავლე.

ლაგუნის დამ, მოხუცმა მარიამ თქვა, რომ მკვლელობის დღეს თამარი მეუღლესთან ერთად ქალაქში გაემგზავრა და მალე დაბრუნდა. ედუარდმა და პავლემ ოჯახში არასასიამოვნო ამბავი, ლაგუნის ძროხის დაკარგვის ამბავი, მოიტანეს. საქმერად სამივე — ედუარდი, პავლე და თამარი წავიდნენ.

შეიქმნა მეორე ვერსიაც, რომელსაც აძლიერებდა ამ ორი ახალგაზრდის გაუჩინარება. ლაგუნების სახლში მათ დატოვეს შემდეგი ნივთები: ორი სპორტული ქურთუკი, „კოვბოიკა“, ფეხსაცმელები, მასიური, შარვალი, კაპრონის ბადე, ორი ალუმიინის კოფი... არავითარი დოკუმენტი, რომელიც მათ ვინაობას დაადგენდა.

ედუარდი და პავლე ასე სატყაუნდნენ თავიანთ ცხოვრებას. ისინი როსტოვის ოლქის მკვიდრნი არიან, მუშაობენ როსტოვ-დონზე ქარხანაში, ერთი ზეინკალია, მეორე ხარატი. ვიდრე მათ ქარხანაში რემონტი დამთავრდებოდა, სამხრეთში წამოვიდნენ რათა ზედმეტად წაემუშავებიათ ხილის კრეფის დროს. ედუარდი გატაცებული იყო სპორტით, აკრობატიკაში მეორე თანრიბი ჰქონდა მიღებული. აი, რაც მათ შესახებ დადგინდა მოწმეების საშუალებით. ამ მონაცემების და მათი გარეგნობის სიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე როსტოვისა და მის მესო-

ბელ ოლქებში გამოცხადდა ძებნა. ორ თვეს შედეგი არ მოუცია, საქმე დროებით შეჩერდა.

ერთი წლის შემდეგ საქმის ძიება მე დაშვავალა. დანაშაულის შესახებ ყველა მონაცემების ანალიზის შედეგად ჩემი შინაგანი რწმენით ღრმად დავრწმუნდი თამარის მეუღლის სრულ უდნაშაულობაში. მის სიმართლეს მეტყველებდა მის წინააღმდეგე მმართველი უამრავი მამხილებელი საბუთები, რომლებიც მკვლელობის ადგილზე იყო დატოვებული.

როსტოვის ოლქში ძებნილთა პოვნა ვერ მოხერხდა და გადავწყვიტე ამელაპარაკებინა „მუნჯი“ მოწმეები. დეტალურად იქნა გამოჩვენებული ყველაფერი რაც ედუარდმა და პავლემ დატოვეს. კრიმინალისტებმა დაადგინეს, რომ მათი ტანსაცმელი „კოვბოიკა“, პერანგები შეკერილი იყო ყაზანში. ყაზანში მივყავდით კიდევ ერთ კვალს, რომელიც წინათ უმნიშვნელო დეტალად მეჩვენებოდა.

ეს დეტალი იყო ლაპარაკის დროს მათ მიერ ზოგიერთ სიტყვებში ნაწილად „კის“ დამატება.

დაისვა საკითხი იმის გასარკვევად, თუ საბჭოთა კავშირის რომელ ადგილას ვხვდებით ასეთ ლაპარაკს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გვიჩვენეს სსრ კავშირში ნაწილად „კის“ გავრცელების რუკა.

— სიტყვების გამოთქმას ნაწილად „კის“ დამატებით ჩვენ უმეტესად ვხვდებით თათრებთან-ამისხნეს ინსტიტუტში.

საითკენ ავიდოთ მარშრუტი — როსტოვსა თუ ყაზანში?

არჩევანი ყაზანზე შეჩერდა.

დამნაშავეთა ყველა ნივთი ჯიბეში დარჩენილი მტყერისა და ნამცეცების ჩათვლით ვსპერტებმა კვლავ შეისწავლეს. შვიდი სხვადასხვა უსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოირკვა: ველედიის ქურთუკი შეკერილი იყო ყაზანის სამკერვალო ფაბრიკაში 1956 წლის მეორე ნახევარში. 44 ზომის სათხილამურო კოსტუმის ქურთუკი და „კოვბოიკაც“ ყაზანში იყო დამზადებული.

ალუმინის ჩაის კოფეები ყაზანის ქარხანას 1956 წლიდან თორმეტი მილიონზე მეტი ჰქონდა დამზადებული. ქიმიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ნაპოვნი კოფეების შენადნობი მიეკუთვნება „A-1-M“ ჯგუფს, რომლისგან კოფეებს აკეთებდნენ მხოლოდ 1958 წლის მანისიდან 1960 წლის იანვრამდე.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, სად



იყიდებოდა ამ წლებში გამოცემული ორი მილიონი კოვზი?

არც ქურთუკები, არც „კოვზოები“ და ასეთი კოვზები რსტოვის ოლქში გასაყიდად არ იგზავნებოდა.

ეს იყო სერიოზული საფუძველი, ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა ახალგაზრდების მტკიცება, თითქოს ისინი რსტოვის მკვიდრნი იყვნენ.

დაიწყო ძიების შემდგომი ეტაპი — თათართა ავტონომიურ რესპუბლიკაში ორი ახალგაზრდის ედუარდისა და პავლეს სახელებით. მიღებული სასწრაფო ცნობებით სამხედრო კომისარიატიდან დადგენილი იქნა, რომ ასეთები ჯარში გაწვეულთა შორის არ არიან.

ციხეებში? კოლონიებში? გამოირცხული არაა, რომ მათ განზრახ ჩაიღინეს მძიმე დანაშაული და საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ, რათა თავი დაიჭვირინონ მკვლელობის პასუხისმგებლობისაგან. არც ასეთ ადგილებში აღმოჩნდნენ ისინი.

იმედის დაკარგვა ჯერ ადრია. არსებითად ძიება ახლა დაიწყო და მასში არა მარტო მილიციის ორგანოები იღებდნენ მონაწილეობას, არამედ ასობით სახალხო რაზმელები, ჩვენი ერთგული თანაშემწეები.

თათართა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს მიეცათ ახალი დავალება, შეკრიბონ რაც შეიძლება ბევრი ედუარდისა და პავლეს ფოტოსურათები, რომლებიც 1950-53 წლებში არიან გადაღებულნი.

ისინი უამრავი აღმოჩნდნენ. ჩემს ხელთაა ალბომი 471 ედუარდისა და პავლეს ფოტოებით. მე სასწრაფოდ გადავფირინდი საქართველოში, რათა ალბომი მეჩვენებინა 15 მოწმისათვის, რომელთაც შეეძლოთ მათი ამოცნობა.

... და აი ისინი გულისყურით ათვალიერებენ ალბომს. ერთი პოულობს ედუარდის მსგავსებას, მეორე ჩერდება პავლეს ფოტოსურათზე, მესამე სცნობს პავლეს, მაგრამ მთლიანად არ არის დარწმუნებული. მეორე დღეს იგივე მეორდება. საბოლოო ჯამში 14 მოწმე, ისიც ძალიან პირობითად, დასახველა თერთმეტი ახსნადასხვა „ედუარდი და პავლე“. ალბომი არ უნახია მხოლოდ ერთ მოწმეს ვ. კ. მამიას, რომელიც იმ პერიოდში ავადმყოფობდა. საჭიროდ არ ვცანი ვ. მამიას დაკითხვის აუცილებლობას, რადგან ვიფიქრე მოხუცი ქალი 14 მოწმისაგან განსხვავებულ რაიმე საიმედოს ვერაფერს მეტყობა.

თბილისის მილიციას ტელეფონით შევატყობინე ყაზანში შეემოწმებინა თერთმეტი „პავლე და ედუარდი“. მოსკოვში გამგზავრების ზუსტად რამდენიმე წუთით ადრე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩემთან მოვიდა ოთხმოცი წლის ვ. კ. მამია.

და აი ჩემს წინაა შევებში ჩაცმული, მაღალი. მხრებში ოდნავ მოხრილი ქართველი ქალი. სახის ნაოჭთა ქსელში მაინც გაარჩევ სწორ ნაკვეთებს, ჰკვე წაშლილ ხილამაშეს და დაკვირებულ მზერას.

მან დინჯად დაათვალიერა მთელი ალბომი და შეჩერდა ერთ-ერთ პავლეს ფოტოზე, რომელიც ალბომში „33“ ნომრით იყო მოცემული.

აღსანიშნავია, რომ ამ ფოტოსურათისთვის მანამდე არც ერთ მოწმეს არ მიუქცევია ყურადღება. მე მიმოვხეენა, რომ ის უსათუოდ ცდებოდა, რომ არავითარი მსგავსება ამ სურათსა და აღწერილ პავლეს შორის არ არსებობს. მან შეამჩნია ჩემი სკეპტიკური გამომეტყველება, მშვილად გაიციინა და მითხრა — მართალია, მე მოხუცი ვარ... მაგრამ მაინც ყურადღება მიაქციე შვილო ამ პავლეს.

მე დაპირდი. დეკემბერს მაშინვე გავგზავნე — შეამოწმეთ „პავლე № 33.“

განსაკუთრებული იყო 1961 წლის გაზაფხული. ეს იყო უდიდესი წინსვლისა და გამარჯვებათა გაზაფხული. საბჭოთა ადამიანის კოსმოსში ტრიუმფალურად სვლის გაზაფხული. ველოდოდ პირველ მანისს. ყველა ემზადება ამ ლამაზი დღესასწაულისათვის.

სწორედ წინა დღეს დარეკა ტელეფონმა. სასწრაფოდ მიძახებენ ყაზანში. ერთ საათში თვითმფრინავში ვზივარ. სადღესასწაულო გეგმები დავიწყებას მივცა.

ყაზანში ერთ-ერთ სასაუზმეში ორ ყმაწვილს შორის ასეთი დიალოგი იმართება.

— გენკა, საზეიმოდ რაიმე ვარიანტია?

— უუფ, —პასუხის მეორე და ზარბაღ ეწაფება ლუდს.

შესახვედავად ნაკლებ სიმპატიურია, მაგრამ შიგნით რაც გინდა სულო და გული. და ყველაზე საინტერესო ადგილას, როცა ისინი ამ ოპერაციის შედეგს ანგარიშობდნენ და „მძურად“ იყოფდნენ სასაუზმოდან „გადაპატიჟებულ“ იქნენ მილიციამში.

გენადი (ედუარდ) მარგუნოვი, გარეგნულად იმდენად შეცვლილა, რომ არაფერი არ ჰქონდა საერთო აღწერილ ედუარდთან. მოწმეების ჩვენებით ის საშუალო ტანისა იყო. ჩვენს წინ კი იდგა ოცი წლის ახმახი, ამდრეული თვალებით.

პირველად ცდილობდა თავი უდანაშაულოდ წარმოედგინა, მაგრამ როდესაც „სხვათაშორის“ შევახსენეთ, რომ მან შავი ზღვის ნაპირზე ცოტაოდენი ნივთები დაგვიტოვა, იქვე ყველაფერი აღიარა.

პავლე პოკონინთან გაცნობა გავიწყვტით ნივთების ჩვენებით დაგვეწყობა. კაბინეტის ერთ კუთხეში დავაწყვეთ მისი ტანსაცმელი და გაზეთი ისე გადავაფარეთ, რომ ნაწილი ჩანდა. კაბინეტში ჩქარა ნაბიჯით შემოვიდა საშუალო ტანის ახალგაზრდა.

მოგძძო სახე წამახვილებული ნიკაპით, მოუსვენარი თვალებით, შავი თმები, შუბლზე „ჩოლოკით“ შელამაზებულ ნაკვეთებს მთელი ეს ანსამბლი მას პატარა მტაცებელ ცხოველს ამსგავსებდა.

შემოვლისთანავე საკუთარი ინიციატივით ჩამოვდა. დასაწყისში მშვიდად პასუხობდა, მაგრამ როგორც კი თავის ტანსაცმელს მოჰკრა თვალი, სიმშვიდემ ადგილი დაუთმო საშინელ ნერვიულობას.

გაზეთი ავწიეთ და პავლეს ვუჩვენეთ თავისი ბარგი-ბარხანა.

თავი ჩაღუნა, ერთხანს სდუმდა... ბოლოს ესდა წამოიღულღულა —კი, მაგრამ როგორ გაიგეთ?

ასეთივე შეკითხვას გ. მარგუნოვი გვისვამდა ხშირად. მათ რა იცოდნენ რა დიდი საქმე გააკეთეს თათართა ავტონომიური სს რესპუბლიკის მილიციის ორგანოებმა, რომლებიც მოწმეების მიერ დასახელებულ „პავლეს“ და „ედუარდს“ ამოწმებდნენ.

შემოწმეს „პავლე № 33-ც“ ოთხმოცი წლის ვ. მამია არ შემცდარა. გ. მარგუნოვი და პ. პოკონინი ზაქართველში საგასტროლოდ გამოემგზავრნენ თავიანთი უფროსი მეგობრის რეციდივისტ ნ. ჟოლობინის დავალებით. მკვლელობის ჩადენის შემდეგ ისინი ყაზანში დაბრუნდნენ იმ იმედით, რომ ამ ზაშინელ დანაშაულს ვერავინ გაიგებდა.

ისინი შეცდნენ. მიუხედავად ღრმად დაფარული

კვალისა დანაშაული გაიხსნა. საბჭოთა საგამომიებლო ორგანოებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. ასეთი წარმატება უცხოა თვით კონან დოილის — შერლოკ ჰოლმსისათვისაც, რომელიც მართი იკვლევდა სიმართლის გზას.

ჩვენი წარმატების მიზეზი ისაა, რომ ამ მეტად რთული საქმის გახსნაში ასობით საბჭოთა ადამიანი იღებდა მონაწილეობას: კრიმინალისტები თუ გამომძიებლები, მილიციონერები თუ სახალხო რაზმელები, ყველა ვისაც კი მიემართავდით. ჩვენ მუშაობაში გვეხმარება მთელი საბჭოთა ხალხი. ურყევია საბჭოთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპი — არც ერთი დანაშაული არ დარჩეს გაუსხნელი, არც ერთი დანაშავე არ დარჩეს სამართლიანი მსჯავრდების გარეშე.

„ნედელია“

1964 წელი, 28—29 თებერვალი.



## რაიონის პროკურორი



— არ არსებობს დანაშაული, რომლის გახსნაც შეუძლებელია, არ არის დამნაშავე, როგორც ცბიერი და მოხერხებულიც უნდა იყოს იგი, რომ შესძლოს დანაშაულის ყველა კვალის დაფარვა, — ეს სინამდვილე ღრმად სწამს თეთრი წყაროს რაიონის პროკურორს ილია ნიკოლოზის ძე ელოშვილს.

1964 წლის 15 თებერვალს, დილით სოფ. თეჯისში იპოვნეს უთავო ადამიანის გვამი. თავი აღმოაჩინეს კარტოფილის შესანახ ორმოში, გვამიდან 57 მეტრის დაშორებით. მას გადასხმული ჰქონდა საწვავი სითხე. მოეკლათ სოფლის მასწავლებელი ჰუსეინფაშა ასკეროვი... შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ პროკურორი ი. ელოშვილი, პროკურორის თანაშემწე დ. ჩითლოვი, გამომძიებელი დ. კარაკოვი.

...მკვდარს შარვალზე ცხენის თეთრი თმები შერჩენოდა, ხოლო გვამიდან ცოტა და-

შორებით ადვილად შეიმჩნეოდა ცხენის ჩლიქთა ნაკვალევი. გვამის ახლომახლო სისხლის კვალი არ ჩანდა. ამ გარემოებამ პროკურატურის მუშაკები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო სხვაგან, ხოლო გვამი შემდეგ ცხენით გადმოიტანეს მისი აღმოჩენის ადგილზე.

საჭირო იყო დამნაშავის მიგნება, ძიება, თითოეული წვრილმანისათვის ყურადღების მიქცევა, მონაცემების ანალიზირება, მათი შემოწმება და კვლავ ძიება. გამომძიებელ დ. კარაკოვთან ერთად პროკურორმა დაიწყო მოწმეთა დაკითხვა, დაპირისპირება, ამოცნობა, ისევ დაკითხვა... დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზები, გაჩნდიკეს ეჭვმიტანილის ბინა... და დანაშაულიდან მეხუთე დღეს გამოვლინდა დამნაშავე.

კარგად ორგანიზებული გამოძიებისათვის, ინიციატივისა და ოპერატიულობისათვის, რომელიც მძიმე დანაშაულის გახსნისას გამოიჩინა ილია ელოშვილმა, რეაპუბლიკის პროკურორის მადლობა დაიმსახურა.

უამრავმა საქმემ გაიარა მის ხელში. ყველას თითქოს ვერც კი დაიმახსოვრებთ თითოეულ საქმეს კი კვირების, თვეების შეუპოვარი შრომა, ფიქრი, ძიება სჭირდება.

გასული წლის შემოდგომაზე ასეთი შემთხვევა მოხდა. შუალამისას წალკის მეურნეობის კანტორაში გაჩნდა ხანძარი. დარაჯმა ტელეფონით სახანძრო რაზმის გამოძახება ვერ მოახერხა და ამბის შესატყო-

ბინებლად ბუღალტრის სახლისკენ გაიქცა. მალე კანტორასთან ხალხმა მოიყარა თავი და ხანძარი ჩააქრეს. ხანძარი რომ ჩააქრეს, შეამჩნიეს — ბოროტმოქმედთ ცეცხლგამძლე სეიფის კარი გაეღოთ და მუშების კუთვნილი ხელფასი გაეტაცებინათ.

რაიონის პროკურორი მილიციის უფროსთან — ვ. ხაბაშვილთან ერთად, გათენებამდე წალკაში ჩავიდა.

აღიძრა ვერსია: ქურდებმა კვალის დასაფარავად კანტორას ცეცხლი წაუკიდეს.

ვინ იყვნენ დამნაშავეები?

სეიფი გაღებული იყო ზუსტად მორგებული გასადებით. ასეთი გასადები კი შეიძლებოდა მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონოდა — ძველ მოლარეს და ახლანდელს. სხვებზე ეჭვის უქონლობა, არ ნიშნავდა, რომ ნამდვილად სხვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო დამნაშავე. ილია ელოშვილმა ერთერთი შესაძლებელი ვერსია მიიღო ერთადერთად და დაარწმუნა რა თავისი თავი მის უტყუარობაში შეუდგა გამოძიებას... ახლანდელ მოლარეს ყველა კარგად ახასიათებდა, ყოფილს კი არც ისეთი კარგი სახელი ჰქონდა თანამშრომლებსა და ნაცნობებს შორის. ეჭვმიტანილები აიყვანეს პატიმრობაში. ყოფილი მოლარე სასტიკ უარს აცხადებდა დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ ათი დღის შემდეგ რაიონის პროკურორის საზრიანი მიდგომით, შეგროვილი მასალების უტყუარობის გამო ეჭვმიტანილმა აღიარა დანაშაული და დაასახელა სხვა დამნაშავენიც.

ამის შემდეგ ილია ელოშვილმა დანაშაულში მონაწილე პირების დაპატიმრების, გატაცებული ფულის დაძებნისა და ამოღების ოპერატიული გეგმა შეადგინა, მოლარესთან ერთად დააპატიმრეს მძღოლები — ზ. პარფენოვი და ვ. კოშნაგოვი.

ასე იქნა გამოაშკარავებული დაგროვილი საზოგადოებიდან ბოროტეული დამნაშავეები. მათ მიერ გატაცებული თანხა მთლიანად დაუბრუნდა საბჭოთა მეურნეობას.

მაგრამ მარტოდენ გამოძიებით როდია დაკავებული რაიონის პროკურორის სამუშაო დღე. აი, მასთან შემოდინ გამოძიებლები:

— ამხანაგო ილია, გადაათვალიერეთ საბრალდებო დასკვნა.

— გ-ს ხელახალმა დაკითხვამ არაფერი ახალი არ მოგვცა, იქნებ თქვენ...

პროკურორი უსმენს ახალგაზრდა გამომძიებლებს. მათ დახმარება სჭირდებათ, გზების მიგნება. იგი ყოველთვის გულისყურით უხსნის მათ, ასწავლის, უზიარებს თავის გამოცდილებას.

სამუშაო ოთახში განუწყვეტილად ისმის ტელეფონის ზარი.

— რომელი კოლმეურნეობაა? სწორედ თქვენ დაგირეკეთ დილით. რა ზომები მიიღეთ შრომადღებების არასწორად დარიცხვის თაობაზე დარღვევების აღმოსაფხვრელად?

— კარგი იქნება თუ მუშა-მოსამსახურეებს გააფრთხილებთ. ხვალ საღამოს სიტყვა-პასუხის საღამოს ჩავატარებთ თქვენს საწარმოში.

რაიონის პროკურორთან შემოდის ერთერთი საწარმოს წარმომადგენელი. პროკურორი ყურადღებით უსმენს, ხოლო შემდეგ ეუბნება:

— არა, არა, თქვენ მართალი არა ხართ. მაგ საქმეზე ასე ხელალებით ლაპარაკი შეუძლებელია. იძულებული ვიქნები პროტესტი დაგწერო მაგ გადაწყვეტილებაზე.

იწყება მთხოვნელთა მიღება. განცხადებების, საჩივრების განხილვა. ყველას თა-

ვისი დარდი აქვს, თავისი ტკივილი. სხვადასხვა საქმე აქვთ, სხვადასხვანაირად იქცევა ხალხი. ამ დროს მარტო კანონმდებლობის ცოდნა არ არის საკმარისი, საჭიროა იცოდეთ ადამიანური ცხოვრების ფასი და თითოეული, ვისაც არ შეეკითხები, ახალგაზრდა იქნება ის თუ ხანშიშესული, თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები გულთბილად ლაპარაკობდნენ მასზე. ეს გასაგებობაა. პროკურორი ყოველთვის ყურადღებით, გულისხმიერად უსმენს მათ და სამართლიან თხოვნას აუცილებლად მხარს უჭერს.

ბევრისთვის ილია ელოშვილი არა მარტო და არა მხოლოდ პროკურორია, არამედ მათი მეგობარი და მრჩეველი ბევრ ისეთ საქმეში, რომელიც ხშირად არც თუ ისე ახლოა საპროკურორო პრაქტიკასთან. როდესაც ხალხი ლაპარაკობს მის სამართლიანობაზე, მათ მხედველობაში აქვთ არა მარტო მისი ყურადღება, თანაგრძნობა, არამედ მისი შეურიგებლობა მუქთახორებისადმი, წამლეულებისადმი, ყველა იმათადმი, ვინც ხელს უშლის ხალხის მშვიდ და ბედნიერ ცხოვრებას.

ყურადღებით ადევნებს თვალყურს ილია ელოშვილი სასამართლოში გასაგზავნ საქმეებს. საკმაო პრინციპულობას იჩენს საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებულ აზრთა დაცვაზე. მის საბრალდებო სიტყვაში დანაშაულის მტკიცების ანალიზი ყოველთვის თანმიმდევრულია და დამაჯერებელი.

— ახლა ჩვენთან უფრო გაუმჯობესდა მუშაობა. კარგად გვეხმარება საზოგადოებრიობა, — ამბობს ელოშვილი.

და მართლაც, ბევრ საქმეს ამჟამად ამხანაგური სასამართლოები იხილავენ. კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებს ხშირად აჰყავთ აღსაზრდელად კანონის ცალკეული დამრღვენი, უფრო მეტს ზრუნავენ ისინი კოლექტივის წევრთა

ხელახალი აღზრდისათვის. წარმატებით საქმიანობს სახალხო რაზმელთა შტაბიც.

თეთრი წყაროს პროკურატურის მუშაკები საქმეთა გამოძიების დროს ფართოდ ეყრდნობიან საზოგადოებრიობას.

იმისათვის, რომ გაამართლო საბჭოთა პროკურორის მაღალი წოდება, საჭიროა დულაღვად ადევნო თვალყური მიმდინარე კანონმდებლობას, გამუდმებით იფართოებდეთ ცოდნას. რაიონში მას იცნობენ არა მარტო როგორც პროკურორს, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწესაც. იგი საუწყებთაშორისო იურიდიული სემინარის წევრია, რეგულარულად ატარებს ლექციამოსხენებებს, კითხვა-პასუხის საღამოებს რაიონის მოსახლეობაში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში.

„საბჭოთა კანონების პროპაგანდით, საზოგადოებრიობის ფართო მასების გამოყენებით ი. ნ. ელოშვილმა საპროკურორო საქმიანობის ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწია, საგრძნობლად შემცირდა დანაშაულებრივი ქმედობანი და რაიონში საშიში კატეგორიის დანაშაულის გაუხსნელობის არც ერთ შემთხვევას არა აქვს ადგილი“, — ასე ახასიათებს რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა ილია ნიკოლოზის ძე ელოშვილს.

\* \* \*


ნაუცბადეგად არ გამხდარა იგი თავისი საქმის კარგი მცოდნე. შრომითი გზა მან მეცხვარეობის ფერმაში დაიწყო. კარგ წრთობას წარმოადგენდა მისთვის მეცხვარეებთან ყოფნა. პირდაპირობა, გულდიობა, ხალხისადმი სიყვარული, მათადმი სიკეთის სურვილი, თითქოს აქ შეეძინა მას. ძალაუნებურად გვახსენდება მაღლიანი ყაზბეგის სიტყვები: „გადავწყვიტე მეცხვარეობა და მეწყო და ამ ხელობის შემწეობით... გამეც“

ნო ხალხი... მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით... მივალწიე ჩემს მიზანს, დაეუახლოვდი, გავიცანი ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა“. ხალხისადმი სიყვარულისა და მათდამი სიანლოვის სურვილმა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მიიყვანა... და 1951 წელს თავის მშობლიურ მხარეს — ყაზბეგს უბრუნდება გამომძიებლად. ერთი წლის შემდეგ იმავე რაიონის პროკურორია. ყოველდღიურად

იზრდებოდა მისი ცოდნა და გამოცდილება, გარკვეულობა, ოსტატობა. არც ისე ადვილია ორიენტაციის გაგნება საპროკურორო საქმიანობის რთულ ლაბირინთში. აქ საჭიროა ნებისყოფა, თითოეულ საქმეზე დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარი, მიმდინარე კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. ამ თვისებებით დაჯილდოებულია ილია ნიკოლოზის ძე ელოშვილი და იგი ერთგულად უძღვება თავის საინტერესო, მოულოდნელობით აღსავსე სამუშაოს.

ლამარა ისაბაძე

## ზროვისმოყვარე მუშაკი



1938 წლიდან მუშაობს საჩხერის რაიონის სახალ-  
ხო სასამართლოში თამარ გრიგოლის ასულ ტინ-  
ტილოზოვი. სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის გოგო-  
ნა სკოლის დამთავრებისთანავე შეუდგა სასამართ-  
ლოს უფროსი მდივნის პასუხსაგებ მოვალეობის შეს-  
რულებას.

თითქმის სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ.

იგი ახლა უკვე გამოცდილი და საქმის კარგი მცოდ-  
ნე მუშაკია.

თამარი დიდ ყურადღებას აქცევს მინდობილ სამუ-  
შაოს, მუდამ წესრიგში აქვს საქმეების, საჩივრებია  
წარმოება, სასამართლოს თანამშრომლების სამუშაოზე  
გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვა;  
გულისყურით ასდენს სასამართლოში შემოსული ფოს-  
ტის გარჩევას და განაწილებას.

სასამართლოს ორგანოები დიდ კმაყოფილებას გა-  
მოთქვამენ თამარის უმწიკვლო მუშაობით. რესპუბ-  
ლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობისა-  
გან მას 5 მაღლობა აქვს მიღებული.

ადამიანებზე ზრუნვას მიჩვეული ქალი ომის წლებ-  
შიაც არ ზოგავდა ენერჯიას. მთავრობამ სათანადოდ  
დააფასა იგი და ზურგში თავდადებული მუშაობისათ-  
ვის დააჯილდოვა მედლით 1941-45 წწ. სამამულო  
ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის. თა-  
მარ ტინტილოზოვი აქტიურად მონაწილეობს საზოგა-  
დობრივი ორგანიზაციების ცხოვრებაში. მისი მუშაო-  
ბა სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის  
შეთავსების კარგი მაგალითია. თამარი 1964 წლი-  
დან სკკპ წევრია.

1948 წლიდან მოყოლებული დღემდე მის მიმართ  
მხოლოდ მაღლობის სიტყვებს თუ გაიგონებთ. სასა-  
მართლოში არ მოვა დალხენილი კაცი, ადამიანს ყვე-  
ლაზე ძალიან ამ დროს უჭირს. თამარმა კარგად იცის  
აქ მოსული კაცისათვის რა მნიშვნელობა აქვს გამზ-  
ნეებას, სწორი გზის მითითებას. მდივნის შრომა არ-  
სებითად ადამიანებთან მუშაობაა. მათი მაღლობის  
გრძნობით გამთბარი თვალები თამარის დიდი სიხა-  
რულია.

ბ. ანანაშვილი

საპარტფელოს სსრ შმაღლისი სასამართლოს კლენუშის

ქ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 4

15 ივნისი, 1964 წელი

ქ. თბილისი

სასამართლო პრაქტიკის შესახებ ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია ავტომოტორტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უშიშროების წესების დარღვევასთან

რესპუბლიკის ქუჩებსა და გზებზე ხშირად ირღვევა ავტომოტორტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესები, რაც იწვევს უბედურ შემთხვევებს ადამიანთა მსხვერპლით, მთქალაქეთა სხეულის მძიმე დაზიანებით, აგრეთვე მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ რესპუბლიკაში ავტომოტორტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების დანაშაულებრივი დარღვევის საქმეებზე გვიჩვენა, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ ამ კატეგორიის საქმეებს. ამასთან ერთად, ზოგიერთ საქმეებზე ისინი უშვებენ სერიოზულ შეცდომებსა და კანონის არსებითი ხასიათის დარღვევებს.

ხშირად სასამართლოები იმ პირთ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მოძრაობის უშიშროების წესების დანაშაულებრივ დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, უფარდებენ ლომობიერ, ჩანადენის სიმძიმესთან შეუსაბამო სასჯელს.

ასე, ს. გ. ანანოვმა, რომელიც წინათ გასამართლებული იყო ავტორტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესების დარღვევისათვის და შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ნ თვით, სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ ჩაიდინა ასეთივე დანაშაული, თანაც მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, მაგრამ ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ მას შეუფარდა პირობითი მსჯავრი.

ლომობიერი სასჯელის გამოტანასთან ერთად ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა სასამართლოები ზოგჯერ მკაცრ სასჯელს უფარდებენ დამნაშაულებს ისე, რომ არ ითვალისწინებენ სამართალში მიცემულის ბრალეულობის ხარისხსა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ იმას, რომ ქუჩაში მოძრაობის უშიშროების წესებს თვით ფუნქციონირების არღვევენ, რაც განაპირობებს ავტოავარიის დადგომას.

სასამართლოები ზოგჯერ არ ასრულებენ კანონის პირდაპირ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ უკეთუ პი-

რობით მსჯავრდებულმა საგამოცდო ვადის განმავლობაში ჩაიდინა ახალი ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული, სასამართლო მოვალეა ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს პირობით შეუფარდებელი სასჯელი.


ამასთან ერთად, ადგილი აქვს ფაქტებს, როცა სასამართლოები წინათ ვადამდე პირობით გათავისუფლებული პირის მიმართ განაჩენის დადგენისას ახალ ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს არ უმატებენ მთლიანად ან ნაწილობრივ ადრე ჩადენილ დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელის მიუხედავად ნაწილს.

ასე მაგალითად, გ. გ. მოლაშვილმა საგამოცდო ვადის განმავლობაში ჩაიდინა ახალი არა ნაკლებ მძიმე დანაშაული. მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად მან მანქანა დააჯახა მოქ. სიყმაშვილს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ მის მიერ დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ არ მიუმატა ადრე პირობით შეფარდებული სასჯელი. ვადამდე პირობით გათავისუფლებულმა გ. მ. ახიევმა სასჯელის მოუსდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა არააკლებ მძიმე დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მე-3 ნაწილით, მაგრამ ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ, მიუხედავად საქართველოს სსრ სსკ 54 მუხლის მოთხოვნისა, ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს არ მიუმატა მთლიანად ან ნაწილობრივ წინათ ჩადენილი დანაშაულის გამო შეფარდებული სასჯელის მოუსდელი ნაწილი.

მიუხედავად საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მე-3 ნაწილის სანქციის პირდაპირი მოთხოვნისა, სასამართლოები ყოველთვის როდი უფარდებენ სასჯელის დამატებით ზომებს ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევის სახით.

საქართველოს სსრ სსკ 29 მუხლის საწინააღმდეგოდ სასამართლოები ზოგჯერ დამნაშაულებს დამატებით სასჯელს ტრანსპორტის მართვის უფლების ჩა-



მორთმევის სახით უნიშნავენ ერთ წელზე ნაკლები ვადით, ან გამოაქვთ რა დადგენილება დამნაშავეს მიმართ სასჯელის პირობით შეუფარდებლობის შესახებ, არასწორად უნიშნავენ მათ დამატებითი სასჯელის სახით ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას, მაშინ, როცა საქართველოს სსრ სსკ 46 მუხლის თანახმად, პირობით მსჯავრის გამოყენების დროს არ შეიძლება დანიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარიმისა.

სასამართლოები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას საქმეთა განხილვას სამართალში მიცემულთა სამუშაო ადგილის მიხედვით.

სასამართლოები ზოგჯერ არასწორად აკვალიფიცი-რებენ ავტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების წესთა დანაშაულებრივ დარღვევას საქართველოს სსრ სსკ 242 მუხლით.

ზშირად სასამართლოებს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვთ ისეთ მძღოლთა მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღვით მხოლოდ იმ პირობათვის ტრანსპორტის მართვის გადაცემაში, ვისზედაც მანქანა არ არის მიმაგრებული ან ვისაც არა აქვს მართვის უფლება, ამავე დროს არ ეწევა ანგარიში სერიოზულ გარემოებებს, როგორცაა, მაგალითად: ხომ არ იყენენ ისინი, ვისაც ტრანსპორტის მართვა გადაეცა, იმ მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში, გამართული იყო თუ არა ტრანსპორტი ტექნიკურად და ა. შ. რასაც, შესაძლებელია, ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა ბრალულობის და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

სასამართლოები გამამტყუნებელ განაჩენს ზშირად ამყარებენ მხოლოდ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაზე, მაშინ როცა ექსპერტიზის დასკვნა ერთ-ერთი მტკიცებაა და არა ერთადერთი.

ადგილი აქვს ფაქტებს, როცა მოძრაობის უშიშროების წესთა დანაშაულებრივი დარღვევისათვის სამართალში მიცემულ პირთ უსაფუძვლოდ ამართლებენ, ასევე ისეთ ფაქტებსაც, როცა სასამართლოებს გამოაქვთ დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენი არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებზე ან კიდევ როცა არ არის საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

ასალტალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ ო. ს. კეიანი იცნო დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 19 მუხ. და 241 მუხლის მე-3 ნაწილით იმის გამო, რომ გარაჟის დისპეტჩერად მუშაობის დროს მის მიერ სატვირთო ავტომანქანის შოფერის ა. ს. კარაპეტია-ნის სახელზე გამოწერილი საგზაო ფურცელი გადას-ცა უკანასკნელის ძმას კიმიკ კარაპეტიაანს, რომელიც თვითონ მიუჯდა საჭეს და ავტომანქანის მართვის დროს დაარღვია მოძრაობის უშიშროების წესები, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი — ადამიანის სიკვდილი. კ. კარაპეტიაანს სწორედ მიესაჯა თავისუფლების აღ-კვეთა ორი წლით და ექვსი თვით, სოლო ო. ს. კეი-ანის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენ-

ლობა. განაჩენი კეიანის ბრალდების ნაწილში ვაუქ-მდა და საქმე წარმოებით შეწყდა კეიანის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო.

სასამართლოები ყოველთვის როდი იცავენ საქმის განხილვისათვის კანონით დაწესებულ ვადას.

იმ მიზნით, რათა სასამართლოების მუშაობაში აღ-მოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი და სასამარ-თლო პრაქტიკაში შემოღებულ იქნეს ერთიანობა ავ-ტოგარის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, საქართველოს სსრ უშიშროების სამართლის პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. დავეალოს სასამართლოებს აღმოფხვრან შემ-დგომ მუშაობაში ნაკლოვანებანი და კანონთა დარ-ღვევანი, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილება-ში, მკაცრად დაიცვან საქმეთა განხილვისას სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კო-დექსის ნორმები.

2. რესპუბლიკის სასამართლოებმა, როგორც წესი, აწარმოონ გადაწყვეტი ბრძოლა იმ პირთა მიმართ, ვინც უხეშად არღვევს ავტოტოტრანსპორტის მოძ-რაობის უშიშროების წესებს, რაც იწვევს მძიმე შე-დეგს — დაზარალებულის სიკვდილს ან სხეულის მძი-მე დაზიანებას.

3. ამასთან ერთად სასამართლოები ვალდებული არიან, როგორც წესი, საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მე-3 ნაწილით დამნაშავედ ცნობილ პირთ შეუფარდონ ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა კანონით გათვალისწინებულ ვადის ფარ-გლებში.

4. ამავე დროს, სასჯელის დანიშვნისას სასამარ-თლოებმა უნდა გაითვალისწინონ სამართალში მიცე-მულის დანაშაულის ხასიათი, მისი პიროვნება, ბრა-ლის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემო-ებანი, ამასთან თავიანთი გადაწყვეტილებანი სას-ჯელის ზომის შესახებ დამყარონ საქმის ყველა კონ-კრეტული გარემოების ობიექტურ გამოკვლევაზე.

5. განმარტოთ სასამართლოებს, რომ ტრაქტორის-ტები, საგზაო და თვითმობრავი მანქანების მძღოლ-ნი პასუხს აგებენ საქართველოს სსრ სსკ 241 მუხ-ლით, უკუყო ისინი გუგებზე და დასასაბუთებლ პუნქ-ტებში იმოსვლის დროს დაარღვევენ მოძრაობის უშიშროების წესებს, რითაც გამოწვეული იქნება სა-ქართველოს სსრ სსკ ამ მუხლში აღნიშნული შე-დეგები.

ისეთ შემთხვევებში, როცა დაზარალებულის სიკვ-დილი ან სხეულის დაზიანება მიყენებული იქნება ტრაქტორებსა და სხვა სპეციალიზირებულ თვითმოძ-რავ მანქანებზე სამუშაოთა შესრულებისას ექსპლო-ატაციისა და უშიშროების ტექნიკის წესთა დარღვე-ვის გამო, ამ მანქანების მძღოლთა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, დანაშაულის შედეგებიდან და ბრალის ფორმებიდან გამომდინარე, საქართველოს

სსრ სსკ იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულთათვის.

6. განემარტოთ სასამართლოებს, რომ ტრანსპორტის მართვის ისეთ პირთათვის გადაცემაში დამნაშავე მძღოლები, რომლებზედაც ეს ტრანსპორტი არაა მიმავრებული, აგრეთვე ისეთებზედაც, ვისაც არ განაჩნათ მართვის უფლება, აგებენ პასუხს სისხლის სამართლის წესით დამდგარი შედეგებისათვის, უკეთუ მათ უნდა შეევნოთ და შეეძლოთ კიდევ, რომ მათი მოქმედება გამოიწვევდა აღნიშნულ შედეგებს.

7. განემარტოთ სასამართლოებს, რომ ავტომოტოტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მძღოლთა მოქმედება უნდა დაკავალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ მუხლებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართული განზრახ დანაშაულის შესახებ იმ შენთხვევაში, როცა პირები ითვალისწინებენ მავნე შედეგთა დადგომის შესაძლებლობას და სურდათ ასეთი შედეგები ან შევსებულად უშვებდნენ ასეთებს.

8. მიექცეს სასამართლოთა ყურადღება ავტოტრანსპორტის ან საქალაქო ელექტროტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესთა დანაშაულებრივი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში პრო-

ფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობაზე. ამ მიზნით სასამართლოებმა ასეთი კატეგორიის საქმეები უფრო ხშირად უნდა განიხილონ სამართალში მიცემულთა სამუშაო ადგილის მიხედვით: ავტოსატრანსპორტო კანტორებში, ავტობაზებში, ავტობარკებში, გარაჟებში, უწყებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში და სხვაგან ამ განხილვაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ჩაბმით, სასამართლოებმა განაჩენის ასლი უნდა გააგზავნოს მსჯავრდებულთა სამუშაო ადგილის მიხედვით ავტომოტოტრანსპორტის მუშაკთა საერთო კრებაზე განსახილველად.

სასამართლოებმა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას საქმის ყველა გარემოების დეტალურად გამოკვლევის გზით გამოავლინონ სატრანსპორტო მეურნეობის მუშაობის ყველა ნაკლი, რაც ხელს უწყობს მოძრაობის უშიშროების წესების დანაშაულებრივ დარღვევას და კერძო განჩინების გამოტანის გზით დააყენონ სათანადო ორგანიზაციების წინაშე საკითხი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში დამნაშავეთა დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მანისურბაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ზ. მესხინაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ც ე ბ ა № 5

15 ივნისი, 1964 წელი.

ქ. თბილისი

აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის შესახებ

პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოები, მესამე პირთა სარჩელების გამო აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის ისეთ საქმეებს, როდესაც აღწერილია ქონება სახელმწიფო და საზოგადო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის ძირითადად სწორად იხილავენ.

ამასთანავე რიც შემთხვევაში ცალკეული საქმეების განხილვისას სასამართლოები ჯერ კიდევ არ ასრულებენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 175, 325 მუხლების, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის № 6/5/უ დადგენილებას „აღწერიდან ქონების ამორიცხვის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ და სსრ კავშირისა და მოკავშირე

რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმომების საფუძვლების 57 მუხლის მოთხოვნას.

ზოგიერთი სასამართლო ამ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს მოპასუხეებად არ იწვევს დაზარალებულ ორგანიზაციებს, როელთა დაეალიანების დასაფარავადაც არის აღწერილი მოვალის ქონება. ხოლო როცა საქმე ეხება კონფისკაციას — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლებს.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე ს. ნ. მეგრელიშვილის სარჩელისა გამო მოპასუხე ჯუმათის სოფლის კოოპერატივთან აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ, მო-



პასუხის გამოწვევისა და მისი ასხნა-განმარტების მოსმენის გარეშე.

ანალოგიური დარღვევით არის განხილული ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ საქმე ლ. ბ. მორჩილაძის სარჩელისა გამო მოპასუხე ოქტომბრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საპეტის აღმასკომის ფინგანთან. შესწავლილი 159 საქმიდან ანალოგიური დარღვევებითაა განხილული 50 საქმე.

რიც შემთხვევებში სასამართლოები მოპასუხებდად უსწოროდ იწვევენ სახალხო სასამართლოს აღმასრულებლებს იმის გამო, რომ მათ მოახდინეს ქონების აღწერა.

მაგალითად ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს მიერ განხილულია საქმე გ. გ. აბადოვსკაიას სარჩელისა გამო აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ, სადაც თანამოპასუხედ ჩამოვლია სასამართლოს აღმასრულებელი.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი სახალხო სასამართლო (მაგ. ქ. ქუთაისი, ქ. ზუგდიდი, ქ. თბილისის კირთვის სახ. რაიონი) წარმოებაში არ იღებს მესამე პირთა სასარჩელო განცხადებებს იმ მოტივით, რომ აღწერილი ქონება უკვე გადაცემული აქვს დაზარალებულ ორგანიზაციას, ხოლო თუ საქმე წარმოებაში აქვს, ამავდენ მოტივებით საქმეს სპობენ წარმოებით.

მაგალითად ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში მეტეპაძის სასარჩელო განცხადება აღწერილობის სიიდან სახლის ამორიცხვის შესახებ იმ მოტივით, რომ სახლი უკვე გადაცემული ჰქონდა დაზარალებულ ორგანიზაციას.

პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსარჩელები თავიანთ სარჩელებს ამყარებენ მოწმეთა ჩვენებებს. სასამართლოები კი ზოგიერთ შემთხვევაში ზერღვდ და უყურადღებოდ გვიდებიან ამ კატეგორიის საქმეთა განხილვას. სათანადოდ არ არკვევენ მსარეთა უფლებას ქონებაზე, კრიტიკულად არ აფასებენ მესამე პირთა განცხადებებს და მათ მიერ დასახელებულ მოწმეთა ჩვენებებს.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულია ვ. ფ. ნასყიდაშვილის სარჩელი და ამორიცხულია აღწერილობის სიიდან ნივთები მოსარჩელის მიერ წარდგენილი რამდენიმე კაცის ხელმოწერილი აქტის საფუძველზე, რომ სადაც ნივთები ეკუთვნის მოსარჩელეს. თუმცა სასამართლოს არ დაუკითხავს არც ერთი იმათგანი, ვინც აქტს ხელს აწერს.

შემოწმებული 156 საქმიდან პროკურორის მონაწილეობის გარეშე განხილული საქმეთა 30 პროცენტი.

აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეზე სასამართლო პრაქტიკაში დამეხებულ შეცდომების

გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმში

ა დ გ ე ნ ს:

1. აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვაზე მესამე პირთა სარჩელის განხილვისას, სასამართლოებმა უსუსტად უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 57-ე მუხლით და სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის და 1954 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით.

2. სასამართლოებმა სრულყოფილად და ყურადღებით განისილონ სარჩელი ამ კატეგორიის საქმეებზე, არ დაუშვან საქმეთა განხილვა, დაინტერესებულ პირთა მხარედ ჩამოსა და შესაბამისად სსრკ გენერალური პროკურორის 1955 წ. 10 დეკემბრის ბრძანებისა პროკურორის მონაწილეობის გარეშე.

3. სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასამართლოს აღმასრულებლების მოქმედებას ქონების წინასწარ დაყადაღების დროს. ვალდებული თანამდებობის პირების მიერ მთელი ქონების დაყადაღება უნდა მოხდეს დროულად, ნივთის აღწერილობის აღნიშვნით ისე, რომ დაინტერესებულ პირს არ ქონდეს საშუალება ქონების ერთი სახის შეცვლისა მეროვით. ან მისი შეცვლისა ნაკლები ზარისხის ღირებულების ქონებით.

საგამომძიებლო ორგანოების მიერ ქონების დაყადაღებისას შეცდომების დაშვებასთან დაკავშირებით უნდა გამოიტანონ სათანადო განჩინებანი.

4. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრების ამოღებასთან დაკავშირებით ქონების აღწერის დროს საქმეს უნდა დაურთონ განაჩენის შემოწმებული ასლი ან ამონაწერი განაჩენიდან, წინასწარი ყადაღის აქტი და საქმის სხვა მასალები, რასაც შეიძლება საქმისათვის მნიშვნელობა ქონდეს. უსუსტად უნდა დადგინდეს აღწერილი ქონება ხომ არ არის შეძენილი სახელმწიფო სახსრებით ან არაშრომითი შემოსავლით მესამე პირების მიერ. ქონების არაშრომითი შემოსავლით შემოსავლით შექმნის დედგენის შემთხვევაში იხელმძღვანელონ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ. 3 ოქტომბრის დადგენილებით „სასამართლო პრაქტიკის შესახებ იმ სასალების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობის აუნაზღაურებელი ჩამორთმევის საქმეებზე, რომლებიც მოქალაქეებმა არაშრომითი შემოსავლით ააშენეს ან შეიძინეს“.

5. განემარტოთ სასამართლოებს, რომ საბინაო კოოპერატიულ სასალებზე კოოპერატივის წევრის ვალში გადასდგინების მოქცევა არ შეიძლება. გადასდგინება უნდა მიექცეს კოოპერატივის წევრ მოვალის პაიზე.

6. განემარტოთ სასამართლოებს, რომ განაჩენით კონფისკაციაქმნილ ნივთზე მესამე პირთ ქონების ამორიცხვაზე უფლება აქვთ აღძრან სარჩელი იმ შემთხვევაში, თუ კონფისკაციაქმნილი ნივთი განაჩენით არ არის ცნობილი დანაშაულის თბიქტად.

7. აღწერილობის სიიდან ქონების ამორიცხვაზე სარჩელის დაყენების უფლება აქვთ მესამე პირთ სასარჩელო სანდაზმულობის ვადაში იმ დროიდან, როცა მათ გაიგეს აღმასრულებლის მოქმედებაზე. ამ კატეგორიის საქმეზე მოპასუხებებად უნდა იქნან ჩაბმული ის პირები, ვისი ვალშიც ქონება იაწერა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **3. მანისურაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მესხინსკი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის**

**დ ე რ გ ე ნ ი დ ე ბ ა № 6**

15 იენისი, 1964 წ.

ქ. თბილისი

**ამხანაგურ სასამართლოებზე საქმეების განსახილველად გადაცემის პრაქტიკის შესახებ**


მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წვერის ამს. ნ. ერქოშიაშვილის მოხსენება — „ამხანაგურ სასამართლოებზე საქმეების განსახილველად გადაცემის პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები საგრძნობ დასმარებას უწევენ ამხანაგურ სასამართლოებს მუშაობაში. 1963 წელს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებმა ამხანაგურ სასამართლოს წვერებისათვის ჩაატარეს 1930 სემინარული მეცადინეობა, ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად სახალხო სასამართლოები სისტემატურად ამოწმებენ ამხანაგური სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერებას, მიყენებულ ზარალის ანაზღაურებაზე, ჯარიმის დადებასა და სხვა ქონებრივ გადასბეიენებაზე, აგრეთვე ამხანაგურ სასამართლოების გადაწყვეტილებათა შესრულების ვადებს, წერილმან სბეკულაციის საგნების სასკლმწიფო შემოსავალში გადაცემას და სხვა. ამასთანავე ერთად პლენუმი აღნიშნავს: იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აბრილის და 1964 წლის 28 იანერის ბრძანებულებით „ამხანაგურ სასამართლოების დებულებაში ცკლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ მნიშვნელოვნად გაფართოდა ამხანაგური სასამართლოების კომპეტენცია, ბეერი სახალხო სასამართლო დიდი რაოდენობით იღებს საქმეებს ქონებრივი დავის შესახებ, სოციალისტური თანაცსოფრების ნორმების დარღვევაზე, რომლებიც წარმოიშევიან კერძო ბრალდების წესით, პირველად ჩადენილ წერილმან ხულიგნობასა, წერილმან სბეკულაციაზე და სხვა ქმედობათა შე-

სახებ, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ სამიშროებს საზოგადოებრიობისათვის. ამასთან ერთად საქართველოს სსრ სსკ 52-ე მუხლის შესაბამისად პირი, რომელიც ჩადის მცირემნიშვნელოვან დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დანიშნულიქნას თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი და რომლის გამოსწორება შესაძლებელია სასჯლის გამოყენების გარეშე საზოგადოებრივი შემოქმედების დონისძიებით, სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ ასეთი პირი სისხლის სამართლის პასუხისმეგებლობისაგან და საქმე გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად.

სასამართლო სტატისტიკური მონაცემებით 1963 წელს სახალხო სასამართლოების მიერ ამხანაგურ სასამართლოებზე განსახილველად გადაცემულია კერძო ბრალდების საქმეების 2,9 და სამართლის სხვა დარღვევაზე 1,4%, სასამართლოები სშირ შემთხვევებში სასჯელის ზომად ამ პირებს უფარდებენ გამასწორებელ მუშაობას და პირობით მსჯაერდებას.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ არ აფასებს საზოგადოებრივი შემოქმედების როლს, რის გამოც ყოველთვის არ მსჯელობენ კერძო ბრალდების საქმის ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხზე, ან საერთოდ არ ისილავენ საქმეებს იმ ბრალდებაზე, რაც ვათავალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით.

სახალხო სასამართლოებში არ ხორციელდება ჯეროვანი კონტროლი ამხანაგურ სასამართლოებში გადაცემულ საქმეების განხილვაზე, ყველა სახალხო სა-



სამართლოებში არ არის რეგისტრირებული სოციალი-  
სტური თანაცხოვრების ნორმების დარღვევაზე შემო-  
სული განცხადებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლე-  
ნუმი ა დ გ ე ნ ს:

1. მიუქცეს სახალხო სასამართლოების ყურადღება  
შემოადინებულ ნაკლოვანებების გამოსწორებას.

2. მცირემნიშვნელოვანი დანაშაულის საქმეებზე  
საქართველოს სსრ სსკ 52 მუხლისა და ამხანაგური  
სასამართლოების დებულების მოთხოვნის შესაბამისად  
ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაირკვეს დანაშა-  
ვებზე საზოგადოების აღმზრდელობითი და ზემოქ-  
მედების გამოყენების შესაძლებლობა და სამართლის  
დამრღვევთა პიროვნებისა და ბრალის ხასიათის გა-  
თვალისწინებით მასალები მათ შესახებ განსახილვე-  
ლად გადაეცეს ამხანაგურ სასამართლოებს.

3. რეკომენდაცია მიეცეს სახალხო სასამართლოებს,  
რათა მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებიდან შე-  
მოსულ მცირემნიშვნელოვან დანაშაულობათა საქ-  
მეები განსახილველად შეიტანონ განმწესრიგებელ  
სხდომაზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სა-

ქართველოს სსრ სსკ 52 მუხლის შესაბამისად იმსჯე-  
ლონ მათი შეწყვეტის შესაძლებლობაზე. ეს საქმეები  
სათანადოდ მოტივირებული დადგენილების გამოტა-  
ნით განსახილველად გადასცენ ამხანაგურ სასამართ-  
ლოებს.

4. მოქალაქეთა განცხადებები სოციალისტური თა-  
ნაცხოვრების ნორმების დარღვევაზე წარმოშობილ  
კურძო ბრალდების წესით რეგისტრირებულ იქნას,  
რის შემდეგ სათანადო წერილით გადაუგზავნონ ამ-  
ხანაგურ სასამართლოებს განსახილველად, რაც უნ-  
და ეცნობოს განმცხადებლებს.

5. სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებმა  
მიადწიონ მათ მიერ ამხანაგურ სასამართლოებში  
გადაგზავნილ მასალების განხილვის შედეგების მი-  
ღებას.

6. სახალხო სასამართლოებმა გააძლიერონ სამარ-  
თლებრივი პრობაგანდა მოსახლეობაში ამხანაგურ  
სასამართლოების აღმზრდელობითი როლის ამაღ-  
ლების შესახებ.

7. სახალხო მოსამართლეებმა სისტემატურად ჩა-  
ატარონ ამხანაგური სასამართლოების წევრებთან სე-  
მინარული მცვადინეობები, აგრეთვე გაუწიონ მათ  
პრაქტიკული დახმარება მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **3. მანისურაძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მესხინიანი**

# ქიზიყუ და ზიპოიოუნი

## საგჰოთა სამოქალაქო პრინციპული საკართლის მისინიკეის თქალსაინო მონაპოპარი

დ. ი. პოლუმორდინოვის ფუქმდებლური მონოგრაფია, რომელიც ავტორის ცხოვრების უკანასკნელი წლების სერიოზული შრომის ნაყოფია, ეხება საბჭოთა სამოქალაქო პროცესის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის პრობლემას — სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალას.

სარეცენზიო წიგნი შედგება შესავალისა და ექვსი თავისაგან.

პირველი თავი დ. ი. პოლუმორდინოვმა მიუძღვნა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნების საკითხს. ავტორის აზრით, სრულიად მიუღებელია საბჭოთა სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე არსებული იურიდიული დეფინიციები მათში გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ბუნებისა და შინაარსის არასრული ასახვისა ან მათი დახასიათებისათვის გამოყენებული ნიშნების უზარგისობისა და ბუნდოვანების გამო. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნების დადგენისას დ. ი. პოლუმორდინოვი გამოადის იმ დებულებიდან, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, კანონისა და კანონიერ ძალაში შესული აღმინისტრაციული აქტის სამართლებრივი მოქმედების მსგავსად, ხასიათდება სტაბილურობით, და რომ ეს მსგავსება როდი გამოირჩევა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედების სპეციფიკურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებების არსებობას. ასეთ თვისებებს მიეკუთვნება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედების უცილობელი და კონკრეტული ხასიათი, რაც სასამართლო გადაწყვეტილების კატეგორიულ ფორმას აპირობებს. დ. ი. პოლუმორდინოვის მართებულ მოსაზრებით სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნების განსაზღვრებისას აუცილებელია იმ მომენტების გათვალისწინება, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა უნდა ემყარებოდეს სასამართლოს მიერ მოდავე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მათი ნამდვილი ურთიერთობების დადგენას, და რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლები უნდა დადგინდეს იმ საქმის მიანიდივიდუალიზებული ნიშნებით, რომ-

ლის მიმართ გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა შრომაში წარმოდგენილია როგორც რთული ცნება, რომელიც ორი მნიშვნელობით გამოიყენება: კანონიერი ძალა. ფორმალური და მატერიალური აზრით. თუ ფორმალური კანონიერი ძალა გაგებულია როგორც გადაწყვეტილების და დადგენილების გადასინჯვისა და შეცვლის შეუძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებისა და დადგენილების გასაჩივრებისა და გამართესტების შედეგად იმ პროცესში, რომელშიაც ისინია დადგენილი, მატერიალური კანონიერი ძალა ნიშნავს ამ გადაწყვეტილებისა და დადგენილების გადასინჯვისა და შეცვლის შეუძლებლობას ნებისმიერ სასამართლო პროცესში.

კანონიერი ძალა დამახასიათებელია სასამართლო გადაწყვეტილებისათვის საერთოდ. ამიტომ, დ. ი. პოლუმორდინოვის აზრით, არ შეიძლება გადაწყვეტილების კანონიერი ძალის იურიდიული ბუნების განსაზღვრებისათვის გამოიყენოთ გადაწყვეტილების მეორეხარისხოვანი, არამთავარი—კონსტიტუციური და ფაქტიური—მოქმედებები. კერძოდ, ავტორის აზრით, კონსტიტუციური გადაწყვეტილება, რომელიც არა მარტო ცნობს მხარის უფლებას, არამედ უფლებსმემქმნელიცაა, აუცილებლად შეიცავს დეკლარაციულ ანუ კონსტატაციურ ნაწილს, რაც ასევე დამახასიათებელია უფლების ცნობისა თუ მიკუთვნების სარჩელებისათვისაც, და კონსტიტუციურ ნაწილს. კონსტატაციური ნაწილი, ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივ, უნივერსალურ ნაწილს წარმოადგენს, რის შედეგად მხოლოდ იგი შედის კანონიერ ძალაში. კონსტიტუციურ ნაწილს კი, რამდენადაც იგი მხოლოდ კონსტიტუციური გადაწყვეტილებებისათვის არის დამახასიათებელი და არა საერთოდ გადაწყვეტილებებისათვის, აქვს არამთავარი, კანონიერი ძალის თანამდევნი გარემოების, მნიშვნელობა და ამიტომ კანონიერ ძალაში არ შედის.

სასამართლო გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, გამოიწვევს სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. შრომის მეორე თავი ეხება გადაწყვე-



ტილებს კანონიერ ძალაში შესვლის ამ პირობების დადგენას. ავტორი გამოდის იმ სწორი დებულებიდან, რომ ყველა ეს პირობა საბოლოო ანგარიშში დაკავშირებულია ერთ მოვლენასთან—სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალასთან. ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პირობები უნდა, ჯერ ერთი, მოწმობდნენ სასამართლო გადაწყვეტილების არსებობას, და, მეორეს მხრივ, იმას, რომ სასამართლოს მოცემულ გადაწყვეტილებას მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან აქვს სამართლებრივი თვისებები. ასეთი ამოსავალი წერტილი საფუძველს აძლევს ავტორს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის პირობები წარმოგვიდგინოს ორ კატეგორიად, რომელთაგან პირველი ეხება სასამართლო გადაწყვეტილების არსებობას, ხოლო მეორე კი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის არსებობას.


სასამართლო გადაწყვეტილება სასამართლო აქტია. სასამართლოს ყოველი აქტი როდია სასამართლო გადაწყვეტილება. სასამართლოს კონკრეტული აქტის სასამართლო გადაწყვეტილებად ცნობისათვის საჭიროა არსებობდეს გარკვეულ პირობათა კომპლექსი, სასამართლო გადაწყვეტილების რეკვიზიტები იმ მინიმალურ მოთხოვნათა გაგებით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს გადაწყვეტილებად წოდებული საქმის არსებითად განხილვის შესახებ დადგენილი სასამართლო დოკუმენტი. ავტორი მიდის იმ უდავო დასკვნამდე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების რეკვიზიტებს უნდა წარმოადგენდნენ: ა) გადაწყვეტილების დადგენა იმ ორგანოს მიერ, რომელიც აღჭურვილია სასამართლო ხელისუფლებით; ბ) გადაწყვეტილების დადგენა წერილობითი ფორმით და გ) გადაწყვეტილების ტექსტის ხელმოწერა გადაწყვეტილების დადგენი სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიერ.

სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კანონიერ ძალაში მის შესვლას. მოქმედი სამართალი აღგენს იმ დამატებით პირობებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილების განსაკუთრებულობის, სავალდებულობის და აღსრულებადობის, ამ სამართლებრივ შედეგების ერთიან საერთო წინამძღვარს—გადაწყვეტილების ფორმალურ კანონიერ ძალას წარმოადგენს, და რომლებიც თავისი არსებობით სასამართლოს მიერ დადგენილ გადაწყვეტილებას საბოლოო ხასიათს ანიჭებს, ამორიცხავს მისი შეცვლის ან შედაგების შესაძლებლობას. დ. ი. პოლუმიონიკოვი აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებულ უნდა იქნას: ა) საკასაციო გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადის

გასვლის შემდეგ. უკეთუ იგი დადგენილი უნდა გასაჩივრებული არ არის; ბ) უკეთუ საკასაციო საჩივარი შეტანილია საკასაციო ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ, გარდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებისა; გ) უკეთუ გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება საბოლოოდ განსაზღვრავს მისი მოქმედების არეში მოქცეულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც დავის საგანს ეხებიან. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური და ობიექტური ფარგლების ზუსტად განსაზღვრას. საკითხები ამ ფარგლების შესახებ ერთმანეთს ავსებენ და ადსტურებენ. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური და სუბიექტური ფარგლების საკითხები მათი ანალიზის ვადვილების მიზნით ავტორს ცალ-ცალკე აქვს განხილული შესაბამისად შრომის მეორე და მესამე თავში.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების დადგენის კრიტერიუმად შრომაში წარმოადგენილია სარჩელის ელემენტები—მისი საგანი და საფუძველი. სარჩელის საგნებისა და საფუძვლების იგივეობა, რომელთა მიმართ დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, მოწმობენ ამ გადაწყვეტილებათა ობიექტურ ფარგლების დამთხვევას. რამდენადაც სარჩელის საგანი და საფუძველი ახდენენ სარჩელის ინდივიდუალიზაციას, წარმოადგენენ ობიექტური ფარგლების კრიტერიუმებს, ამდენად აუცილებელია ამ ცნებების ზუსტი განსაზღვრება, მათი შინაარსის სწორი დადგენა. დ. ი. პოლუმიონიკოვის აზრით, საბჭოთა სამოქალაქო პროცესში არსებულ სარჩელის სახეებზე დაყრდნობით საჭიროა მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნები, როგორც აღსრულებითი სარჩელის საგანი, განვასხვავოთ იურიდიული ურთიერთობებიდან, რომლებიც დადგენილი ან კონსტიტუციური სარჩელების საგანია. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით სადავოა სანიეთო სარჩელებისა და პირადი სარჩელების ინდივიდუალიზაციისათვის სარჩელის საფუძვლის მნიშვნელობის საკითხი. წინააღმდეგ მ. მ. ავარკოვის მიერ წამოყენებული დებულებისა, რომლის მიხედვითაც სარჩელის საფუძველი განსაზღვრავს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალის ობიექტურ ფარგლებს, რომლებიც დადგინდებიან ვალდებულებათა სამართლებრივი ურთიერთობების სარჩელების გამო და არა სანიეთო სარჩელების გამო,



რამდენადაც სანიეთო უფლებების ინდივიდუალიზაცია არ ხდება მათი წარმოშობის საფუძვლით,<sup>1</sup> ავტორი სათანადო არგუმენტაციით მიიღის იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა სამოქალაქო პროცესში ყოველი უფლება, რომლის დაცვასაც მოითხოვს ესა თუ ის მხარე სასამართლო საქმის განხილვისას, უნდა იქნას დამტკიცებული სარჩელის საფუძვლისა ან მისაგებლის საფუძვლის ფაქტების დადგენის გზით, რომლებიც წარმოადგენენ მხარეთა მატერიალური უფლებების არსებობისა ან არარსებობის დადგენის ერთადერთ საშუალებას.

ამვე თავეში განხილულია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლების დადგენასთან დაკავშირებით გართულებების პრობლემა. სასამართლო პრაქტიკის ისტორიულ ასპექტში შესწავლა საფუძველს აძლევს ავტორს ამტკიცოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც მთელ მოთხოვნას ეხება და ამდენად ამომწურავი ხასიათისაა, მთანაქვეს ამ მთელი მოთხოვნის ნაწილის შესახებ სარჩელს, რაც ემოციურად სასამართლოში მისი შემდგომი წარდგენისა და განხილვის შესაძლებლობას. შედარებით რთულია შემთხვევა, როდესაც სარჩელი მთელს შესახებ წარედგინება ამ მთელი მოთხოვნის ნაწილზე დადგენილ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან დაკავშირებით შრომაში საფუძვლიანადაა ექვს ქვეშ დაყენებული სასამართლო პრაქტიკის მიერ გამოთქმული დებულებების კატეგორიულობა, რომლის ძალით ერთადერთ გამოსავალს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ობიექტური ფარგლების განსაზღვრისათვის სასამართლოს იმ უფლების გათვალისწინებით, რომლითაც მას შეუძლია გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის ფარგლებს, წარმოადგენს სარჩელის დანაწილების აკრძალვა. ავტორის მოსაზრებები მდგომარეობს შემდეგში: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურებულია ნაწილობრივი მოთხოვნის შესახებ სარჩელზე უარისთქმა, არ უნდა წყვეტდეს წინააღმდეგ შემთხვევებში მთელი მოთხოვნის ან მისი სხვა ნაწილის შესახებ შემდგომი სარჩელის უმოძრაობის საკითხს, მაგალითად, ნაწილობრივი მოთხოვნის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, მისი დაქმავიფილებისათვის პროცესუალური წინამძღვრების არარსებობისას და სხვა. კანონი ანიჭებს სასამართლოს მხოლოდ უფლებას გასცდეს, სარჩელის დაქმავიფილების შემთხვე-

ვაში, ამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მაგრამ არ აკისრებს სასამართლოს შესაბამის მოვალეობას. სარჩელის დანაწილების აკრძალვა გამოთქმულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის მიერ და არ არის დადგენილი კანონით, რის გამო მთელ რიგ შემთხვევებში იგი შეიძლება უცნობი იყოს მოსარჩელისათვის.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლების განსაზღვრისას აუცილებელია არა მარტო იმის დადგენა, თუ რას ეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, არამედ იმ პირთა წრის დადგენაც, რომლებზეც ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების საკითხის გადაწყვეტისას სახელმძღვანელო მნიშვნელობის მქონედ დ. ი. პოლუმორდენოვს სამართლიანად მიაჩნია საბჭოთა პროცესუალური სამართლის დემოკრატიზმიდან გამომდინარე და საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრებული პროგრესული წესი იმის შესახებ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ფარგლები უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ პროცესში მონაწილე პირებზე, რომლებსაც ამასთანავე ჰქონდათ მათთვის კანონით მინიჭებული დაცვის უფლების განხორციელების საშუალება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იურიდიული მოქმედება ვრცელდება პირველ რიგში პროცესის ძირითად მონაწილეებზე — მხარეებზე. მხარეებზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების ვარცხლებლის საფუძვლების საკითხის გადაწყვეტისას ავტორი გამოიღის სარჩელის საფუძველსა და მხარეების ლეგიტიმაციის ფაქტებს შორის არსებითი განსხვავებიდან, იქიდან, რომ სარჩელის საფუძვლის ფაქტებთან შედარებით მხარეების ლეგიტიმაციის ფაქტებს არა აქვთ იმდენად უშუალო დამოკიდებულება და კავშირი სარჩელის არსთან და არ ახდენენ მის ინდივიდუალიზაციას. ამდენად, კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების სუბიექტური ფარგლების განსაზღვრისას გადაწყვეტია პროცესში მხარეების მონაწილეობის ფაქტი, რაც უზრუნველყოფს მათთვის კანონით მინიჭებული დაცვის უფლების განხორციელებას. ეს ზოგადი დებულება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედების შეზღუდვის შესახებ მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებით საფუძველს აძლევს ავტორის ამტკიცოს, წინააღმდეგ ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა უარყოფითი პოზიციისა იმ გადაწყვეტილებებ-

<sup>1</sup> М. М. Агарков. Обязательство по советскому гражданскому праву, 1940 г., стр. 24.



ზის მიმართ, რომლებიც დადგინდება სარჩეულეზზე აბსოლუტურ უფლებათა ცნობის შესახებ, რომ აბსოლუტურ უფლებათა ბუნება სრულიადაც არ აბრკოლებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედების შეზღუდვას მხოლოდ პროცესში მონაწილე მხარეებით.

სარჩელის სუბიექტური შეერთება, თავისი იურიდიული ბუნებით, პროცესუალური ინსტიტუტია, რის გამოც პროცესუალური თანამონაწილეობისათვის არ არის საჭირო არავითარი მატერიალურ სამართლებრივი წინამძღვრები. სარჩელების სუბიექტური შეერთებისას გამოტანილი ერთი გადაწყვეტილება თითოეული თანამონაწილის მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის სასამართლო შეფასების შედეგია; ამიტომ, ასკენის დ. ი. პოლუმორდინოვი, საქმის განხილვისას თითოეული თანამონაწილის სამართლებრივი მდგომარეობის გამოკვლევა ცალ-ცალკე უნდა მოხდეს.

ნაშრომში ღრმად არის შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლებს მოქმედების საკითხი მხარეების უფლება-მონაცვლეობზე, განხილულია საპროცესო სამართლი დაწვებული უნივერსალური და სინგულარული უფლებამონაცვლეობის განხორციელების შესაძლო შემთხვევები პროცესის მსვლელობაში და მისი დამთავრების შემდეგ. პროცესის მსვლელობაში და პროცესის შემდეგ დაწვებული უნივერსალური უფლებამონაცვლეობის გამსხვავების კრიტერიუმი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლებს საკითხის დადგენისას, დ. ი. პოლუმორდინოვის მართებული მოსაზრებით, უნდა ვეძიოთ პროცესუალური მომენტის არსებობას ან არარსებობაში; თუ პირველ შემთხვევაში უფლებამონაცვლეზე გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მოქმედებს საერთოდ პროცესში მონაწილე პირების მიმართ, კანონიერი ძალის მოქმედების ანალოგიურად, მეორე შემთხვევაში კანონიერი ძალის მოქმედება არ არის დამოკიდებული პროცესუალურ მომენტზე—უფლებამონაცვლის პროცესში მონაწილეობაზე, რის გამოც უფლების დამტოვებელსა და მის უფლებამონაცვლეს შორის დამოკიდებულებს პროცესგარეშე ხასიათის გამო გადამწყვეტ როლს მხარის უფლებამონაცვლეზე გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლების გავრცელების საკითხში

უნდა თამაშობდეს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობა.

სარეცენზიო შრომაში უნივერსალური და სინგულარული უფლებამონაცვლეობა განხილულია როგორც ერთიანი საფუძვლის—მონაცვლეობა მატერიალური სამართლის დარგში—შეიქმნა და ამდენად თვისობრივად ერთბიბიური, მხოლოდ რაოდენობრივად გამსხვავებული ორი მოვლენა, რომლებზეც შესაბამისად ვრცელდება მატერიალურ სამოქალაქო სამართალში დაწვებული უფლებამონაცვლეობიდან გამომდინარე კანონზომიერებანი.

მატერიალურ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებზე, ამ ურთიერთობათა თავისებურებების გამო, გავრცელებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ახდენს გავლენას ასევე მესამე პირების უფლებებსა და მოვალეობებზე. დავის საგანზე დამოუკიდებელ მოთხოვნათა გამმცხადებელ მესამე პირებზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მსგავსად მოსარჩელის მიმართ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედებისა; კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოქმედება იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც არ ვანაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე და ან შესული არიან პროცესში, ან ჩაბმული არიან სასამართლოს მიერ მასში მონაწილეობისათვის, ხასიათდება, ავტორის აზრით, შემდეგი თავისებურებებით: ა) რამდენადაც მესამე პირი არ არის სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ამდენად არც შეიძლება წამოიჭრას საკითხი იგივეობით სარჩელის შემდგომი წარდგენის დაუწყებლობის შესახებ; ბ) სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა მესამე პირთა მიმართ, როგორც წესი, არ გამოიწვევს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას, რამდენადაც ისინი არ სარგებლობენ მხარეების მდგომარეობით პროცესში.

შრომის მეხუთე თავში დ. ი. პოლუმორდინოვი იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების მოტივების საკითხის მეტისმეტად საინტერესო და შინაარსიან გადაწყვეტას. ცნობილია, რომ საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში პროფ. დ. ი. პოლუმორდინოვის სტატიით—„სასამართლო გადაწყვეტილების მოტივები“—საფუძველი დაედო დავის იმ საკითხზე, თუ გადაწყვეტილების რომელი ნაწილი შედის კანონიერ ძალაში. დ. ი. პოლუმორდინოვი, გამოდინდა რა პროცესუალისტ ა. შტეინბერგის იმ მოსაზრების<sup>2</sup>

<sup>1</sup> Д. И. Полумордвинов. Мотивы судебного решения. „Советское государство и право“ 1947, № 4, стр. 28—35.  
<sup>2</sup> А. Штейнберг. Законная сила судебных решений по гражданским делам. „Советская юстиция“ 1938 г., № 23—24.



წინააღმდეგე, რომლის მიხედვითაც კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილება მთლიანად, მიიჩნევა, რომ კანონიერი ძალის მოქმედებაც ვერცელდება სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილზე, ხოლო გადაწყვეტილების სხვა ნაწილები, და, კერძოდ, მოტივები კანონიერ ძალაში არ შედიან.

სარეცენზიო მონოგრაფიაში მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა. დ. ი. პოლუმორდინოვის მოსაზრებით სასამართლო გადაწყვეტილების მოტივების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის გადაწყვეტილის საჭიროა შესწავლილი იქნეს თვით მოტივის, როგორც ასეთის, შინაარსი, მისი შემადგენლობა. საკითხის იურიდიული ანალიზის შედეგად ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მოტივი შედგება სამი ელემენტისაგან—ფაქტური და იურიდიული მომენტებიდან და ლოგიკური დასკვნებიდან. ამასთან დაკავშირებით ფრიად ნაყოფიერია პრაქტიკული თვალსაზრისით დ. ი. პოლუმორდინოვას პრინციპული დებულებები იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში ვერ შევა ვერც მითითება სამართლის ნორმებზე, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების დადგენისას, რამდენადაც ამ აქტებს ახასიათებს თავისი ნიშანდობლივი ძალა, რაც არ საჭიროებს რაიმე სასამართლო ცნობას, დასტურს, დამატებითი იურიდიული ძალის მინიჭებას, ვერც სასამართლო გადაწყვეტილების ლოგიკური დასკვნები და მოსაზრებები მათი სუბიექტური ხასიათისა და ელფერის გამო, და რომ კანონიერ ძალაში შედიან მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების მოტივები ფაქტური გარემოებათა დადგენის ნაწილი.

მონოგრაფიის ბოლო, მეექვსე თავი ეხება მხარეების მიერ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე უარის თქმის საკითხს, რომელიც არაერთხელ წამოჭრილა სასამართლო პრაქტიკასა და თეორიულ ლიტერატურაში. დ. ი. პოლუმორდინოვი ამსხვეავს მხარის უარის თქმას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე ამ მნებელობით აქტებზე უარის თქმიდან, რომელთა მეშვეობით მხარეები განკარგავენ გადაწყვეტილებით დადასტურებულ მათ უფლებებს. სწორია ავტორის ამომწურავი სისრულით დასაბუთებული მოსაზრება, რომლის მიხედვით საბჭოთა პროცესში, წინააღმდეგ ბურჟუაზიული კერძო ავტონომიის საწყისიდან გამომდინარე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის დისპოზიტიურობის ხასიათისა ბურჟუაზიულ სასამართლო წარმოებაში, მხარეს არა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე უარის თქმის უფლება. ასეთი

უარის თქმის შეუძლებლობა სრულიადაც არ ნიშნავს ამ გადაწყვეტილებით დადასტურებულ უფლებებზე უარის თქმის შეუძლებლობას. პირიქით, მხარეები, გამომდინარე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან, თავისუფლად ანხორციელებენ გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლებების განკარგვის აქტს. სასამართლოს მიერ დადგენილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე უარის თქმის დასაშვებლობა მოასწავებდა საქმის ხელმოკრედ განხილვაზე მხარის მოთხოვნის უფლების კანონიერად ცნობას იგივეობით სარჩელზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობისას, რაც შეუსაბამო იქნებოდა ობიექტურ ჭეშმარიტების პრინციპთან და საერთოდ საბჭოთა პროცესის ბუნებასთან.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი ყურადღებას იქცევს თემის აქტუალობით, გახედული მსჯელობით და არგუმენტაციის ორიგინალობით. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების დაყენება და გადაწყვეტა ავტორის მიერ იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად საინტერესო, ფასაუღებელი და სასარგებლოა სარეცენზიო ნაშრომი, რამდენად ფართოდ ხსნის იგი გზებს ამ საკითხების შემდგომი მეცნიერული დამუშავებისათვის. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ავტორის მისწრაფება თეორიულ განზოგადებებთან ერთად მოგვეცეს პრაქტიკული რეკომენდაციები.

მასალის მარკუსისტული მეთოდოლოგიური პოზიციებიდან გამუქების შედეგად, დ. ი. პოლუმორდინოვმა აღნიშნული პრობლემის კვლევაში ახალი სიტყვა თქვა დღემდე სათანადოდ დაუმუშავებელ თემაზე, შექმნა მაღალხარისხიანი მონოგრაფია, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იურიდიული აზრის განვითარებაში. მართალია, ავტორის ზოგიერთი დებულება სადისკუსიოა, მაგალითად, საჭიროა თუ არა კანონიერი ძალის ცნების წარმოდგენა ფორმალური და მატერიალური გაგებით, შედის თუ არა სარჩელის საფუძველში მხარის ლეგიტიმაციის ფაქტი, თუ იგი ამ საფუძვლის მხოლოდ წინამძღვარია და ა. შ., მაგრამ ეს ფართოდ ჩაფიქრებული ნაშრომის გარდუვალი მოვლენაა. მთლიანად, დ. ი. პოლუმორდინოვის მონოგრაფია ავტორის ფართო მეცნიერული ინტერესის, მისი ძლიერი ტალანტის და ერთუდიციის მაჩვენებელია, საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერების ფრიად საგულისხმო შენაძენია.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მუშაობის თაობაზე

საქართველოს სსრ პრეზიდენტობაში სამ დღეს მიმდინარეობდა თათბირი-სემინარი, რომელიც მოაწყო საერთო ზედამხედველობის განყოფილებამ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ პრეზიდენტების მუშაობის თაობაზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრეზიდენტობის ორგანოთა ზედამხედველი მუშაობის თათბირი-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის პრეზიდენტის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილემ კ. პავლიშვილმა.

მომხსენებით — სსრ კავშირის გენერალური პრეზიდენტის 1964 წლის 4 ივნისის № 55 ბრძანების „პრეზიდენტობის ორგანოებში საერთო ზედამხედველობის ხაზით მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ შესრულების საკითხებზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ პრეზიდენტი პ. ბერძენიშვილი, აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტი ნ. სიროტიანი, სომხეთის სსრ პრეზიდენტი ვ. მუსხახიანი.

— პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში, — აღნიშნა პ. ბერძენიშვილმა, — უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად დასმული — უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები, ლიკვიდირებულ იქნას დანაშაული და მისი წარმომშობი მიზეზები.

ზემოთ დასახელებული ბრძანება, — აღნიშნა მომხსენებელმა, — წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს პრეზიდენტობის მუშაობისათვის. მასში განსაზღვრულია სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შემდგომი ამოცანები, მოცემულია მნიშვნელოვანი ლენინური მითითებები, რომ საერთო-სახალხო კანონიერების სადარაჯოზე უნდა იდგნენ არა მარტო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამედ მშრომელებიც.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა ცალკეული საქალაქო და რაიონული პრეზიდენტობის ორგანოების მიერ ჩატარებულ მუშაობას სსრ კავშირის გენერალური პრეზიდენტის ბრძანების შესრულებისათვის.

1964 წელს პრეზიდენტობის მიერ ჩატარებული იქნა მრავალი ლექცია-მომხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხ. საერთო ზედამხედველობის ხაზით მუშაობისას

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის საკითხებში კანონიერების დაცვას.

საერთო ზედამხედველობის ხაზით პრეზიდენტობის ორგანოები სისტემატურად ამოწმებენ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტების შესრულებას სოფლის მეურნეობის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

დადებითი მუშაობა ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების „ადმინისტრაციული წესით დადებული ჯარიმების გამოყენების შეზღუდვის შესახებ“ განხორციელებისას. აღმოჩენილ დარღვევათა შესახებ შეტანილი იქნა 51 პრეტესტი და წარდგინება. თავის მხრივ რესპუბლიკის პრეზიდენტმა შემოწმებულ მასალათა თავმოყრისას შეიტანა წარდგინება უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რომელმაც მიიღო სპეციალური დადგენილება, კანონიერების დარღვევათა აცილებისათვის.

პრეზიდენტობის ორგანოების მუშაობის ანალიზი, — ამბობს პ. ბერძენიშვილი, — გვიჩვენებს, რომ გასულ წელს საერთო ზედამხედველობის ხაზით მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მუშაობის მაჩვენებლები დადებითია. მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებსაც.

ხაზი გაუსვა რა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებასთან ბრძოლის დიდ მნიშვნელობას, ამა. ბერძენიშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა რაიონისა და ქალაქის პრეზიდენტობის ორგანოების მიერ ამ დარღვევაზე ჩატარებულ მუშაობაზე. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა საზოგადოებრივი და კომპერტული ქონების, სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, აგრეთვე უსარისხო პროდუქციის გამოშვებასთან ბრძოლის საკითხებზე.

დასასრულ პ. ბერძენიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებული მოძიებები რესპუბლიკათა თათბირი დიდ სარგებლობას მოუტანს პრეზიდენტობის მუშაობის საერთო ზედამხედველობის განხორციელების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში.

ასრულბენ რა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს დანაშაულისა და კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, — აღნიშნა აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტი

რორმა **ნ. სიროტკინმა**, — უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩაატარა აზერბაიჯანის სსრ პროკურატურამ, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

აზერბაიჯანის სსრ პროკურატურამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალაქისა და რაიონის პროკურორთა მიერ საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებულ მუშაობას.

ამხ. სიროტკინმა მიუთითა, რომ საერთო ზედამხედველობის განყოფილების მუშაკები შემოსულ პროტესტებს და წარდგინებებს არ ტოვებენ რეაგირების ვარსე.

პროკურატურის მუშაკთა დახმარებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში, აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციებში აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი ვატაცების ფაქტები.

რესპუბლიკის პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებას.

მოსხენების დასასრულს ამხ. სიროტკინმა ილაპარაკა საერთო ზედამხედველობის ხაზით ჩატარებული მუშაობის ნაკლოვანებებზე.

ყურადღებით იქნა მოსმენილი სომხეთის სსრ პროკურორის **ვ. მუსახანაიანის** გამოსვლა.

სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა სოციალისტური კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებისას თავის მუშაობას საფუძვლად დაუდეს სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებები, აგრეთვე სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დებულება და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებანი.

№ 55 ბრძანების მიღების შემდეგ პროკურატურის ხელმძღვანელობამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ზედამხედველობის ხაზით მუშაობის გასაუმჯობესებლად. ადგილებზე ჩამორჩენილ პროკურორებს გაეწიათ კვალიფიციური დახმარება.

უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში, გამომუშავებული იქნა 433 სამართლებრივი აქტი, რომელიც კანონის დარღვევის საფუძველზე იყო მიღებული.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახელმწიფო ქონების დაცვის საკითხს სახელმწიფო ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის, პურ-პროდუქტების სამმართველოსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში გამოუმუშავებელი იყო ვატაცების ფაქტები.

ვაჭრობის სამინისტროს სისტემის შემოწმებისას აღმოჩენილი დარღვევებისათვის სომხეთის სსრ ვაჭრობის მინისტრის სახელზე შეტა-

ნილი იქნა წარდგინება, რომელიც კალენჯი იქნა განხილული და დასასული იქნა ღონისძიებები.

ამხ. მუსახანაიანი შეჩერდა სევანის ტბაზე თევზის უკანონო ჭერის და ქურდულად ნადირობის წინააღმდეგ ჩატარებულ ღონისძიებებზე. ამასთან დაკავშირებით სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანა შესაბამისი გადაწყვეტილება.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კანონების პროპაგანდის მნიშვნელობაზე, ილაპარაკა ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობაზე.

სსრ კავშირის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა **ნ. ვიშნევეცკიამ** თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების თათბირის დიდ მნიშვნელობას; იგი ხელს შეუწყობს მუშაობის ხარისხის ამაღლებას აღნიშნულ რესპუბლიკებში.

ყველა პროკურორს უნდა ასსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ „კანონიერება არ შეიძლება იყოს კალუგის ან ყაზანის, ის უნდა იყოს ერთიანი ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის“.

— შემოწმების ანალიზი გვიჩვენებს, — აღნიშნავს მომხსენებელი, — რომ მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები, სამინისტროები, საბჭოთა მეურნეობები, მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები და საწარმოები, კოლმეურნეობათა გამგებანი და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სხვა ორგანიზაციები სწირად გამოსცემენ არაკანონიერ აქტებს.

არაკანონიერ აქტებს სწირად იღებენ აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა მმართველობის ორგანოებიც. მთელ რიგ შემთხვევებში პროკურორები გვერდს უვლიან კანონის დარღვევებს. სსრ კავშირის პროკურატურის თანამშრომლები ადგილებზე გასვლისას ამკვლავებენ არაკანონიერი აქტების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელიც არ არის გაპროტესტებული შესაბამისი პროკურორების მიერ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საერთო ზედამხედველობის განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ დააწესეს სათანადო კონტროლი მათდამი დაქვემდებარებულ პროკურატურების მუშაობაზე არაკანონიერი აქტების გაპროტესტების საკითხში და რაც მთავარია, ჯერ კიდევ, არ დაუმყარებიათ სათანადო წესრიგი თავიანთ საქმიანობაში.

სამი რესპუბლიკის მასალათა ანალიზი გვიჩვენებს, — აღნიშნავს მომხსენებელი, — რომ შემოწმებისას ძირფესვიანად არ ავლენენ დარღვევის მიზეზებსა და თანამდებობის პირებს,



რომლებიც დანაშაულს ჩადიან. იშვიათად დგება საკითხი ზემდგომი ორგანოების იმ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაზე, რომლებიც არ იღებენ ზომებს საუწყებო ორგანიზაციებში კანონიერების დარღვევის აღმოფხვრისათვის.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ ჯერ კიდევ აქვს ადგილი მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების შელახვას, განსაკუთრებით შრომისა და ტექნიკის უსაფრთხოების სფეროში. საჩივართა დიდი რაოდენობა შემოდის საბინაო კანონმდებლობის დარღვევაზე, მილიციის ორგანოების არასწორ მოქმედებაზე ადმინისტრაციულ საქმიანობის სფეროში, კოლმეურნეობებში კანონიერების დარღვევაზე და სხვა.

არ ღებულობენ რა საჩივარზე სწორ გადაწყვეტილებას რესპუბლიკებში, მოქალაქეები საჩივრებითა და განცხადებებით მიმართავენ სსრ კავშირის პროკურატურას. საჭიროა ასეთ სიგნალებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პროკურორები ყოველთვის არ აკეთებენ საჭირო დასკვნებს საჩივართა განხილვისა და გადაწყვეტისას, სათანადოდ არ აანალიზებენ შემოსულ საჩივრებს. ხშირად პროკურორები ზერელედ უღებოიან თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს.

სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევისთან ბრძოლაში პროკურორები მოვალენი არიან უფრო მეტად დაეყრდნონ საზოგადოებრიობას და სისტემატურად ჰქონდეთ საქმიანი კონტაქტი პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტროლის კომიტეტთან.

ჯერ კიდევ გვხვდება კანონიერების დარღვევის შემთხვევები რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აღინიშნება საკოლმეურნეო მიწათმოქმედების დარღვევის, საზოგადოებრივი ქონების გატაცებისა და განიავების ფაქტები. არასაკმარისი ყურადღება ექცევა ამ საკითხებს სომხეთის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებაში.

ამხ. ნ. ვიშნევეცკიამ მიუთითა, რომ საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ პროკურატურების საერთო ზედამხედველობის განყოფილებები სათანადო ყურადღებას და ზედამხედველობას არ უწყვევენ სამინისტროებსა და უწყებებში კანონიერების განხორციელებას. ხშირად ადგილი აქვს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც პროტესტებს არადროულად იხილავენ და არღვევენ საბჭოთა კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის ღებულების მოთხოვნას.

ამხ. ვიშნევეცკიამ ილაპარაკა პროკურორების საზოგადოებრივი თანამშრომლების მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი დამსწრეთ თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა ნახჭევნის ასსრ პროკურორმა ე. კარაევმა. მან ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომელიც გაატარა პროკურატურამ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა აღმოფხვრის მიზნით. 1964 წელს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებრივი ქმედობანი ლიკვიდირებულია.

ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. უღენტმა ილაპარაკა ქუთაისის პროკურატურის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე მექრთამეობის, მატერიალურ ფასეულობათა გამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთო ზედამხედველობის სახით, — აღნიშნა სიტყვაში გამოსულმა ა. უღენტმა, — პროკურატურის მიერ შემოწმდა მექრთამეობაზე შემოსული სიგნალები და დადგინდა, რომ ვინმე კაკაურიძე და სხვ. სისტემატურად იღებდნენ მოქალაქეებისაგან ფულს ბინების მიღებაში. ამის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 20 კაცი.

ამხ. ა. უღენტი შეჩერდა აგრეთვე ქალაქის პროკურორის საზოგადოებრივი თანამშრომლების მუშაობაზე, რომელთა დანაშაულებითაც გამოქვდავენებულ იქნა სოციალისტური კანონიერების დარღვევის მრავალი ფაქტი.

— დანაშაულს უმეტესად ჩადიან პირები, — აღნიშნა სომხეთის სსრ სპენდარიანის რაიონის პროკურორმა ე. ამირხანაიანმა, — რომლებიც არსად არ მუშაობენ, ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას. მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სესიაზე მიღებული იქნა სპეციალური გადაწყვეტილება მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ქუჩის კომიტეტების, ამხანაგური სასამართლოების, მილიციის თანამშრომლებისა და სხვ. ჩაბმის შესახებ. შრომის მოწესრიგებისა და საზოგადოებრივ ღონისძიებათა მღლების შედეგად რაიონში დანაშაულობა 30 პროცენტით შემცირდა.

ქ. კიროვადის პროკურორმა საბირ გუსეინოვმა თქვა: გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კანონიერების დარღვევა ხშირად გამოწვეულია მათი არცოდნით, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს კანონთა ბოროტულ დარღვევას.

1962 წელს ქ. კიროვადში პროკურატურის მიერ შეიქმნა სამართლისმცოდნეობის საზოგადოებრივი უნივერსიტეტი. მისმა ჩამოყალიბებამ სასურველი შედეგი გამოიღო. ლექციებს კითხულობენ არა მარტო ქ. კიროვადის პროკურორები და მათი თანამშრომლები, არამედ სასამართლოს, მილიციის მუშაკები და სხვ.

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა მ. მირსოევმა ილაპარაკა ტრანსპორტზე კანონიერების განხორციელების შესახებ. აღნიშნა,

რომ სხვადასხვა ობიექტებზე შემოწმებულ იქნა გადასახიდი ტვირთის მდგომარეობა და გამოვლინებული იქნა მთელი რიგი დარღვევები.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი **ო. შნეერი**, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე **შ. ვახალია** და სხვ.

მოხსენებების განხილვისა და აზრთა ვაზიარების შემდეგ თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს პროფ. **დ. ენუქიძის** ლექცია — საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

თათბირის მეორე დღეს მოხსენებით — უზნარისხო პროლექციის გამოშვებასთან ბრძოლაში კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველობის ორგანიზაციის შესახებ — გამოვიდა ქ. ბაქოს პროკურორი **ტ. ალიევი**. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო არახარისხოვანი და არასტანდარტული პროლექციის გამოშვებასთან ბრძოლის საერთო ზედამხედველობის მეთოდებს და მოიყვანა კონკრეტული მაგალითები.

გამოშვებული პროლექციის ხარისხის შემოწმებისას, — აღნიშნა მომხსენებელმა, — ბაქოს მულდ-კამელოს ფაბრიკაში, ფეხსაცმელების ფაბრიკა № 4-ში, ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანასა და რადიოქარხანაში კანონის სერიოზული დარღვევები იქნა აღმოჩენილი, რის შესახებაც ეცნობა აზერბაიჯანის კპ ცენტრალურ კომიტეტს. ბაქოს პროკურატურას მკიდრო კონტაქტი აქვს სახარბიტრაოთან.

უზნარისხო პროლექციის გამოშვებასთან ბრძოლისათვის კონტაქტი გვაქვს დამყარებული მუშებთან და საგამომძიებლო განყოფილებებთან, რომლებიც ახორციელებენ საერთო ზედამხედველობას — აღნიშნავს ამხ. ალიევი. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოძიებულთა დაბალი კვალიფიკაციის გამო ასეთი კატეგორიის საქმეები წარმოებით წყდება. საჭიროა მსხვილ ქალაქებში იყოს ერთი უფროსი გამომძიებელი მაინც, რომელიც ასეთი კატეგორიის საქმეებს გამოძიებს.

ქ. თბილისის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ **დ. ფოჩიანმა** ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რასაც ატარებს ქ. თბილისის პროკურატურა საერთო ზედამხედველობის ხაზით კანონიერების დარღვევის ლიკვიდაციისათვის. ამხ. **დ. ფოჩიანმა** აღნიშნა ქ. თბილისის კიროვის რაიონის კარგი ინიციატივა, რაც იმაში გამოიხატება, რომ რაიონის პროკურატურამ სამრეწველო საწარმოებში და რაიონის დაწესებულებებში შექმნა იურიდიული საკუთვარეობები, სადაც თვეში ერთხელ რაიონის პროკურორი ან მისი თანაშემწე სახალხო სასამართლოსა და მილიციის წარმომადგენლის მონაწილეობით ატა-

რებენ საუბრებს სამართლებრივ თემებზე, აწუხებენ კითხვა-პასუხის საღამოებს.

მოხსენებით — „მმართველობის ორგანოების მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანიზაცია“ — გამოვიდა სომხეთის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი **გ. კაჯარაიანი**.

მმართველობის ორგანოებში სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მთავარ პირობას შეადგენს — მათი გადაწყვეტილებების, განკარგულებების, ბრძანებების, ინსტრუქციების, დადგენილებების და სხვა სამართლებრივი აქტების სრული შესაბამისობა კანონთან — აღნიშნავს **გ. კაჯარაიანი**. პროკურატურის ორგანოების მუშაებმა თვალყური უნდა ადევნონ კანონის ერთნაირ გაგებას. კანონის უმნიშვნელო დარღვევაც კი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

სიტყვებით გამოვიდნენ ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურორი **გ. კერესელიძე**, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის პროკურორი **არტუთინიანი**, ქ. კიროვკანის პროკურორი **გ. ჯალიანი**, ქ. სუშაის პროკურორის მოადგილე **ს. ნიკიფოროვა** და სხვ.

დღის ბოლოს ამიერკავკასიის პროკურატურების მუშაებმა მოისმინეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **ბ. ფურცხვანიძის** ლექცია — „სამართლის პროპაგანდისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები“.

მესამე დღეს თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის **წ. ბასიშვილის** მოხსენება — „სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველობის ორგანიზაცია“.

ჩვენ როგორც წესი, — აღნიშნავს მომხსენებელი, — სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის კანონიერების განხორციელებისას ვგვამავთ ჩვენ სამუშაოს სსრ კავშირის საპროკურორო ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისად. ამისათვის ვიყენებთ აგრეთვე საზოგადოებრიობიდან შემოსულ საჩივრებს, განცხადებებს და სხვ.

სოციალისტური საკუთრების დაცვის დროს კანონიერების განხორციელებისას საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოები თავიანთ ძალებს იქითკენ მიმართავენ, სადაც ხშირია გატაცებისა და გაფლანგვის ფაქტები. რესპუბლიკის პროკურატურის მიერ შემოწმებულ იქნა ვაჭრობის სემინისტროს სისტემა, ცეკავშირი, სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი სამმართველოები,

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა ორგანიზაციები.

ცეკავშირის სისტემაში აღმოჩენილი იქნა სოციალისტური საკუთრების გატაცების ფაქტები.

სისტემატურად ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს სსრ პროკურატურა კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებზე.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი მოხსენება — „სოფლის მეურნეობაში კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველობის მეთოდთა და პრაქტიკა“, რომელიც გააკეთა აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა კ. კაფაროვმა.

მან დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქონების დაცვის უზრუნველყოფაზე, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მიწებით არასწორ სარგებლობაზე, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევასა და კოლმეურნეობათა დემოკრატიზაციაზე.

საერთო ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია დიდი მუშაობა საკოლმეურნეო მიწების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ჯაბრალი ტაგიევის სახ. კოლმეურნეობაში, — აღნიშნავს კ. კაფაროვი, — გამომჟღავნებულ იქნა მიწის ნაკვეთების იმ პირებისათვის გაცემის ფაქტი, რომლებსაც არავითარი საერთო არ ჰქონიათ კოლმეურნეობასთან. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხვა კოლმეურნეობებშიც.

მოხსენება — „საერთო ზედამხედველობის განხორციელებისას პროკურატურის ორგანო-

ბის კავშირი საზოგადოებრიობასთან“ გააკეთა სომხეთის სსრ პროკურატურის სერგო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა გ. გეგამიანმა.

— მომხსენებელმა ხაზი გაუსვა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების საზოგადოებრიობასთან კავშირის დიდ მნიშვნელობას დანაშაულისა და კანონიერების დარღვევასთან ბრძოლის საქმეში. გ. გეგამიანი ვრცლად შეჩერდა პროკურატურის საზოგადოებრივი თანამშრომლების მუშაობაზე.

სომხეთის სსრ პროკურატურის ორგანოები ზედამხედველობას უწევენ საწარმოებში კანონიერების შესრულებას, დროულად ახდენენ რეაგირებას მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქ. რუსთავის პროკურორი ს. იმედაშვილი, სომხეთის სსრ არტაშანის სარაიონთაშორის პროკურორი გ. პეტროსიანი, აფშერონის რაიონის პროკურორი გ. ისმაილოვი, ქ. ცხინვალის პროკურორი პ. გატიკოვი, სომხეთის სსრ ეჩმიადინის რაიონის პროკურორი ა. მანუკიანი, აზერბაიჯანის სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი ვ. კაბელსკი და სხვ.

ამიერკავკასიის პროკურატურის მუშაკთა თათბირი-სემინარის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილემ კ. პავლიშჩევმა.

**გ. ვაყელიშვილი**

# იურიდიული მეცნიერება და გენათლება ახალი აკოზიანების წინაშე



1964 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, რესპუბლიკის პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, იურიდიული კომისიის, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, ქ. თბილისის პროკურატურის, მილიციის სამმართველოს, მილიციის სკოლის, ქ. თბილისის რაიონული პროკურატურების, სახალხო სასამართლოებისა და იურიდიული კონსულტაციების, კრიმინალისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის, სახელმწიფო არბიტრაჟის, სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული განყოფილების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **წ. რატიანი**, რესპუბლიკის პროკურორი **პ. ბერძენიშვილი**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მაისურაძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი **ი. დოლიძე**, რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსი **ვ. შადური**, იუსტიციის ორგანოების სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა იურიდიული ფაკულტეტის პარტიული მდივანმა **ა. ფალიაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ 1964 წლის ივნისის თვეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული იქნა დადგენილება „იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში იურიდიული განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული პარტიული დოკუმენტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევს კომუნისტური პარტია იურიდიული მეცნიერებისა და განათლების შემდგომ განვითარებას კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.


იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა, პარტიულმა ორგანიზაციამ და რესპუბლიკის იუსტ. საბჭოთა სამართალი № 6.

ტიციის ორგანოებმა, აღნიშნავს ამხ. ა. ფალიაშვილი, მთელი თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ იმ გზით, რომ უახლოეს პერიოდში განხორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები.

მოხსენება „იურიდიული მეცნიერება და განათლება ახალი ამოცანების წინაშე“ გააკეთა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **გ. ინჭკირველმა**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს. სკკპ XX ყრილობის შემდეგ იურიდიულ მეცნიერებაში მიღწეული იქნა გარკვეული წარმატებანი, მაგრამ მისი დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება სკკპ პროგრამით დასახულ ამოცანებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში გაანალიზებულია ყველა ის ხარვეზები, რომელიც ახასიათებს იურიდიულ მეცნიერებასა და განათლებას თანამედროვე პირობებში და ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად დასახულია კონკრეტული ამოცანები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება იურიდიულ ფაკულტეტზე უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, იურიდიული მეცნიერების პრაქტიკასთან დაკავშირების, პროფესორ-მასწავლებელთა, ასპირანტთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა იდეური აღზრდის, მეცნიერული კადრების მომზადების, სამეცნიერო კვლევითი მუშაობის სრულყოფის და სამართლებლივი პრობლემების ხაზით.

წარმატებების ფონზე, აღნიშნავს ამხ. გ. ინჭკირველი, თავს იჩენს ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელთა დროული ლიკვიდაცია მთელი ჩვენი კოლექტივის საქმეა. ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე ასპირანტურისათვის კადრების შერჩევის საქმე, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამი ასპირანტი გარიცხული იქნა ასპირანტურიდან. უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმ მხრივ, რომ კვლევითი თემები პასუხობდნენ თანამედროვეობის მოთხოვნებს. თემატიკა უნდა დაუტაკო შირდეს ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორცაა საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწი-



ფოსა და სამართლის განვითარების, სოციალი-  
სტური დემოკრატიის ყოველმხრივი გაშლის,  
სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქ-  
მიანობის სრულყოფის, საწარმოთა და ორგანი-  
ზაციათა სამეურნეო საქმიანობის სამართლებ-  
რივი რეგულირების, დამნაშავეობის მიზეზებას  
შესწავლის, მისი წინასწარ აღკვეთისა და მთელ  
რიგ სხვა აქტუალურ საკითხებს. სამეცნიერო  
მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს თანა-  
მედროვეობის პრობლემებზე და შეიკვეცოს  
ისტორიული თემატიკით ზედმეტი გატაცება.  
სამეცნიერო კვლევითი გეგმების შედგენისას  
საჭიროა ვათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის  
მუშაკთა მოსაზრებები, რათა თემები შეესაბა-  
მებოდნენ პრაქტიკის მოთხოვნებს. საჭიროა  
მეცნიერულ მუშაობაში უფრო გაბედულად ჩა-  
ვაბათ ამწინავე სტუდენტები, შევარჩიოთ მათ-  
გან კანდიდატები ასპირანტურაში მისაღებად.  
მომზადებული კადრების გამოშვება ბევრადაა  
დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არიან ისინი  
უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებით  
და დამხმარე სახელმძღვანელოებით. კათედრებ-  
მა ყველაფერი უნდა გააკეთონ სახელმძღვან-  
ნელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების  
შედგენისა და გამოცემის ხუთწლიანი გეგმის  
შესრულებისათვის. საჭირო იქნება თვით გეგ-  
მის გადასინჯვა მისი ვაფართოების მიზნით. სა-  
ხელმძღვანელოების შექმნაში აქტიური მონა-  
წილეობა უნდა მიიღონ სამართლის სექტორის  
თანამშრომლებმაც, უნდა განმტკიცდეს კავში-  
რი სამართლის სექტორის, კრიმინალისტიკურ  
ლაბორატორიისა და ფაკულტეტს შორის. კა-  
თედრებმა უნდა მოაწყონ ახლად გამოსული  
იურიდიული ლიტერატურის ერთობლივი გან-  
ხილვა პრაქტიკის მუშაკთა აქტიური მონაწილე-  
ობით. საჭიროა შესწავლილი იქნეს საკითხი ზო-  
გიერთ ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა  
პრაქტიკულ ორგანოებში სამუშაოდ მივლინე-  
ბის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მომავალი  
წლიდან სწავლების პროცესში ჩაირთვება ახა-  
ლი დისციპლინები: კრიმინოლოგია, შრომა-გა-  
სწორებითი სამართალი, სასამართლო ფსიქო-  
ლოგია. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ამ დისციპ-  
ლინების წაკითხვისათვის სათანადო კადრების  
შერჩევისა და მომზადებისათვის. მეტი ყურა-  
ღდება უნდა დაეთმოს სტუდენტთა საწარმოო  
პრაქტიკას. პრაქტიკის დრო მაქსიმალურად უნ-  
და იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ სტუ-  
დენტმა კარგად აითვისოს პრაქტიკული მუშა-  
ობის ჩვევები. უფრო ხშირად უნდა მოეწყოს  
კათედრის გამსვლელი სტუმრები პრაქტიკის გა-  
ვლის აღმკვეთი, გაიზარდოს პრაქტიკის ხელ-  
მძღვანელთა პასუხისმგებლობა. კარგი იქნება  
დავენერგოთ პრაქტიკაში არა მარტო სამეცნიერო

შრომების რეცენზირება პრაქტიკულ მუშაკთა  
მიერ, არამედ სადიპლომო შრომებზეც.

დოც. გ. ინჭკირველი აღნიშნავს, რომ აუ-  
ცილებელია გაფართოვდეს სასწავლო პროცეს-  
ში მონაწილეობისათვის გამოცდილ პრაქტიკულ  
მუშაკთა მოწვევა, განსაკუთრებით ისეთ  
დისციპლინებში, როგორცაა სამოქალა-  
ქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პრო-  
ცესი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართ-  
ლის პროცესი, კრიმინალისტიკა და სხვ. კა-  
თედრებმა უფრო ხშირად უნდა ჩაატარონ გამ-  
სვლელი სხომები, სესიები, კონფერენციები,  
მოსხენებები, საუბრები სასამართლო და პრო-  
კურატურის ორგანოების პრაქტიკულ მუშაკთა-  
თვის. მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს, რომ  
პროფესორ-მასწავლებლებმა აქტიური მონაწი-  
ლეობა უნდა მიიღონ სამართლებრივი პრობა-  
ნების საქმეში ლექციების, მოხსენებების, კი-  
თხვა-პასუხის საღამოების მოწყობით, პოპუ-  
ლარული ბროშურების გამოცემითა და სხვა  
სახით.

დადგენილება ითვალისწინებს იურისტების  
განაწილებას არა მარტო იუსტიციის ორგანო-  
ებში, არამედ სახელმწიფო მმართველობის  
აპარატში, სამეურნეო ორგანოებში. ამიტომ  
სტუდენტთა ახლანდელი კონტიგენტი არ არის  
საკმარისი. საჭირო იქნება დაისვას საკითხი სა-  
თანადო ორგანოების წინაშე 1965 წლიდან გა-  
დიდდეს ფაკულტეტზე მიღების კონტინგენტი  
თითოეულ განყოფილებაზე 50 კაცამდე. კარგი  
იქნება, თუ პროფილით მომუშავე პირთა ჩა-  
რიცხვა მოხდება კონკურსის გარეშე.

დასასრულ მომხსენებელმა ყურადღება გაა-  
მახვილა იდეოლოგიური მუშაობის საკითხზე.  
მან აღნიშნა, რომ მეცნიერ-მუშაკებს, ასპირან-  
ტებსა და სტუდენტებს შორის უნდა დაინერ-  
გოს მაღალი პრინციპულობის, დავალებული  
საქმისადმი პასუხისმგებლობის, კრიტიკისა და  
თვითკრიტიკის გრძნობა და აგრეთვე ბურჟუა-  
ზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი  
შეურიგებლობის სულისკვეთება.

მომხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მო-  
ნაწილეობა მიიღეს იურიდიული მეცნიერებისა  
და პრაქტიკულ ორგანოთა წარმომადგენლებმა.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრი-  
გის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამ-  
მართველოს უფროსის მოადგილემ ვ. ხმა-  
ლაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სკკპ  
ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალი  
ამოცანების წინაშე აყენებს არა მარტო სამართ-  
ლის და იურიდიული სწავლების სამეცნიერო  
დაწესებულებებს, არამედ იმ ორგანოებსაც,  
რომლებიც სოციალისტური კანონიერების სა-  
დარაჯოზე დგანან. ამიტომ დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს მეცნიერ თამამშრომელთა მჭიდრო კავშირს პრაქტიკული დარგის მუშაებთან. ასეთი კავშირის დამყარებისათვის მთელი რიგი ნაბიჯები უკვე გადადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, მაგრამ პრაქტიკულ ორგანოების მუშაკთა არასათანადო გამოხმაურების შედეგად ზოგიერთი ღონისძიება ვერ განხორციელდა მიზანდასახულობის ფარგლებში.

პრაქტიკაში წამოჭრილი სადავო საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის, აღნიშნავს ანხ. ვ. ხმალაძე, დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაკების აზრთა ურთიერთ გაზიარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძებლო სამმართველოებში ტარდება სამსახურებრივი მომზადების სწავლება და კარგი იქნება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერ მუშაკები. კავშირი უნდა დამყარდეს პერიფერიების პრაქტიკულ მუშაკებთანაც. მისასალმებელია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების გამოცემის აუცილებლობა. ეს დიდ დახმარებას ვაუწყებს პრაქტიკულ მუშაკებს, კარგი იქნება, თუ მომზადდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებიც.

ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ ცუდადაა დაყენებული იურიდიული ლიტერატურის გამოცემის საქმე, მაშინ როცა საკმაოდ ძლიერი მეცნიერული კადრები გვყავს. საჭიროა იურიდიული პროპაგანდის გაფართოება, განსაკუთრებით ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ კანონებზე, რომელთა არასათანადო ცოდნა იწვევს მიუღრივ დარღვევას, რასაც თავის მხრივ არასაუზრველ შედეგებამდე მიყვევართ. ანხ. ხმალაძე იმედს გამოთქვამს, რომ სამართლისცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის და კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უნივერსიტეტი სათანადო როლს შეასრულებენ იურიდიული ცოდნის პროპაგანდის საქმეში.

რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემ მ. კეკელიამ ილაპარაკა რა დადგენილების დიდ მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ პრაქტიკული მუშაკების გარკვეული ნაწილი უკვე მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. საჭიროა რათა ფაკულტეტზეც და სამსახურშიც მათ სათანადო დახმარება გაუწიონ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დაინერგოს მეცნიერ-თანამშრომლების სამუშაოდ მივლინება პრაქტიკულ ორგანოებში. განა ცუდი იქნება, რომ დაწესდეს აგრეთვე დისერტანტ პრაქტიკულ მუშაკთა მივლინება სამეცნიერო დაწესებულებებში? ჩემი

აზრით, ეს ხელს შეუწყობს პრაქტიკულ მუშაკებში მეცნიერული ჩვევების ჩამოყალიბებას. ანხ. კეკელია ეხება აგრეთვე მაღალკვალიფიციურებული შრომების გამოცემის საკითხს და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მოითხოვს მეტ ყურადღებას, რადგან პრაქტიკულ მუშაკებს უჭირთ რომელიმე საგამომცემლო გვერდში მოხვედრა, ხოლო შრომების გამოქვეყნების გარეშე კი დაცვაზე არ დაიშვებიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იურიდიული დარგის მუშაკებისადმი პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღების და მზრუნველობის გამოვლინებაა. მასში დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაკების კავშირს. ასეთი კავშირის კარგი ფორმაა უმაღლესი სასამართლოსთან ჩამოყალიბებული მეთოდურ-საკონსულტაციო საბჭო, სადაც პრაქტიკაში წამოჭრილ სადავო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობენ მეცნიერ-მუშაკები. რაიონის სასამართლო ორგანოებთან კავშირისათვის მიზანშეწონილი იქნება დაინერგოს მეცნიერ-მუშაკთა მივლინება უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკულ მუშაკებთან ერთად. შემდეგ ანხ. ვ. მაისურაძე ეხება კადრების აღზრდის, მათი იდეურ პოლიტიკური წრთობის საკითხს. ბოლოს იგი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ მეცნიერ-თანამშრომლები და პრაქტიკული მუშაკები ერთობლივად მიიღებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა კოლონიებში ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

ადვოკატმა ე. კორძაძემ აღნიშნა, რომ თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული ცოდნის პროპაგანდას, რაც ხელს შეუწყობს მართლწესრიგის განმტკიცებას და კანონებისადმი პატივისცემის დანერგვას, ხელს შეუწყობს საზოგადოების დარაზმვას ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ საბოლოოვლად. პროპაგანდა უნდა დაეხმაროს მოქალაქეებს, ხელმძღვანელ მუშაკებს თავიანთ უფლება-მოვალეობათა გარკვევაში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ პერიოდში ქ. თბილისში. ტარდება ლექცია-მობსენებები, საუბრები, კითხვა პასუხის საღამოები და სხვა. ანხ. კორძაძე აღნიშნავს, რომ იურისტები უნდა მუშაობდნენ არა მარტო იუსტიციის ორგანოებში, არამედ სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი მმართველობის აპარატში. ადგილობრივი საბჭოები ზოგჯერ იღებენ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებებს. სახელმწიფო აპარატში იუ-

რისტების გამოყენება სავარაუდოდ გააუმჯობესებს ხელისუფლების ორგანოების მუშაობას.

**პროფ. ბ. ფურცხვანიძე** აღნიშნავს, რომ დღევანდელ მდგომარეობაში დასახული პრობლემების დამუშავება ხელს შეუწყობს პარტიის პროგრამით დასახულ ამოცანათა განხორციელებას. დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტნაკლებად დამახასიათებელია ჩვენი მუშაობისათვისაც და უნდა მივიღწიოთ იმას, რომ ისინი გამოვასწოროთ. არა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა ასპირანტურის საკითხში. ბევრი ასპირანტი არ ამართლებს იმედებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიღების დროს არ ვიჩინოთ სათანადო მოთხოვნელობას. საწარმოო პრაქტიკა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს ვერ უწყვეტ სათანადო დახმარებას ვერც ჩვენგან მიმავრებული მასწავლებლები და ვერც თვით ხელმძღვანელი პრაქტიკული მუშაკები. მოსაგვარებელია სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი, რადგან მონოგრაფიები ვერ მისცემენ სტუდენტებს იმას, რასაც სახელმძღვანელოები.

**პროფ. თ. წერეთელი** აღნიშნავს, რომ იურიდიული მეცნიერება აბსტრაქტული მეცნიერება კი არაა, არამედ იგი არსებობს პრაქტიკისათვის და ამიტომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების განვითარების მეხნებით. შემდეგ პროფ. თ. წერეთელი ეხება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის მუშაობას და აღნიშნავს იმ ღონისძიებებს, რომელიც გატარდა პრაქტიკისთან კავშირის განმტკიცების მიზნით. მისი აზრით, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ ყველა სპეციალობაში ვერ ვმუშაობთ თანაბრად. მაგალითად, ნაკლებად მუშავდება ვაჭრობის, სამეურნეო აღმშენებლობისა და სხვა საკითხები, რაც კადრების სიმცირით არის გამოწვეული. იგი თვლის, რომ შეთავსების აკრძალვა არ არის სწორი, რადგან ეს უნივერსიტეტს აკლებს საკმაოდ ძლიერ კადრებს და პირიქით. მომავალ მეცნიერ-მუშაკთა შერჩევა უნდა ხდებოდეს სწავლების პროცესიდანვე. დადგენილებაში აღნიშნულია ახალი დისციპლინების შემოღების აუცილებლობა, რომლის სპეციალისტები არა გვყავს. საჭირო იქნება ამ სპეციალობებით ადგილების დამატება ასპირანტურაში. ამავე მიზნით საჭირო იქნება ზოგიერთ მეცნიერ მუშაკთა მივლინება მოსკოვში. საჭიროა მეცნიერთა მივლინება რაიონებში პრაქტიკულ მუშაკთათვის ლექციების წასაკითხად.

**ქ. ქუთაისის პროფურორი ა. ჟღენტი** ყურადღებას ამახვილებს კვლავ თეორიულ და

პრაქტიკულ მუშაკთა მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე. ამხ. ა. ჟღენტი თვლის, რომ საწარმოო პრაქტიკის ვადა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სტუდენტი ღრმად დაეუფლოს საგამომძიებლო მოქმედებებს. მას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ვადის გადღეობა. მისი აზრით, ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი პრაქტიკული მუშაკები საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში მათი გამოცდილების განზოგადების მიზნით. დასასრულ ამხ. ა. ჟღენტი აღნიშნავს, რომ სასურველია დისერტაციაზე მომუშავე პრაქტიკულ მუშაკთათვის ფაკულტეტის მხრივ მეტი დახმარება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოსი **ი. დოლიძე** აღნიშნავს, რომ დადგენილებაში გატარებულია იურიდიული განათლების, სწავლებისა და კვლევა-ძიების ერთიანობის პრინციპი. იგი მოთხოვს იურიდიული მეცნიერების დონისა და ხარისხის მკვეთრ ამაღლებას. შემდეგ ამხ. ი. დოლიძე ლაპარაკობს ქართველი მეცნიერების უკანასკნელი წლების მიღწევებზე. ამჟამად საქართველოში 8 მეცნიერებათა დოქტორი და 20-ზე მეტი კანდიდატია. საჭიროა ეს კადრები გამოვიყენოთ რაციონალურად. სამართლის მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხი მოითხოვს ღრმად შესწავლას და დამუშავებას. ზოგიერთი ამხანაგი უგულებელყოფს სამართლის ისტორიის მნიშვნელობას, რაც არ არის სწორი. საგნის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი ღრმად დამუშავება. ძალიან ბევრი იწერება რუსული სამართლის ისტორიაში. გამოვიდა რუსული სამართლის ძეგლების 8 ტომი. ჩვენც ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ ქართული სამართლის ისტორიის დარგში. მართალია სტუდენტებს ესაჭიროებათ სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მაგრამ არასწორი იქნება ცალკეული მონოგრაფიების მნიშვნელობის უგულებელყოფა.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ადვოკატმა **ჯ. ბაქრაძემ**.

კამათის შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა დოც. გ. ინჭკირველმა პასუხი გასცა შეკითხვებზე.

პარტიულმა კრებამ მიიღო ვრცელი დადგენილება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატისა და პარტიულ ბიუროს პირველსახარისხოვან ამოცანას ამჟამად შეადგენს აღნიშნულ დადგენილებაში დასახული ამოცანების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს იურიდიული მეცნიერებისა და განათლების შემდგომ გაუმჯობესებას.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის ინიციატივით ამას წინათ მოეწყო ს. ვ. ბოროდინისა და ა. ი. ფალიაშვილის წიგნის— „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — საჯარო განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაკებმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა.

მომხსენებთ გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი ბ. ხარაზიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა — ნაშრომის დადებითი მხარეები, მიუთითა, რომ ს. ბოროდინის და ა. ფალიაშვილის წიგნის — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — გამოცემა მისასალმებელია. წიგნი შეიცავს სინტერესო მასალას, მნიშვნელოვან პრაქტიკულ მაგალითებს სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე. ეს მაგალითები ვარკვეულ სისტემაშია მოყვანილი. წიგნი სარგებლობას მოუტანს როგორც სტუდენტებს, ასპირანტებს, მეცნიერ-მუშაკებს, ასევე მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მუშაკებსაც. ღირსებებთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა ნაშრომის სერიოზული ნაკლოვანებებიც. მან ხაზი გაუსვა წიგნის სახელწოდების შეუსაბამობას მის შინაარსთან და მიუთითა, ნაშრომში არ არის ვადმოცემული საკითხები იმ სიღრმით და მოცულობით, რომ გამართლებული იყოს მისი დასათულება — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“. ნაშრომის პირველი თავი — სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზის მნიშვნელობა და ამოცანები“ სქემატურია. ძირითადად შეიცავს მხოლოდ იმ საკითხების ნუსხას, რომლებიც ექვემდებარება გადასაწყვეტად ამა თუ იმ სახის ექსპერტიზას. არაფრით არ არის გამართლებული, რომ ავტორებმა ამ თავში გვერდი აუარეს ექსპერტიზების დარგობრივი გამოყენების საკითხს, რომლის განხილვასა და გადაწყვეტას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

მომდევნო თავებიც ძირითადად შეიცავენ

მხოლოდ პრაქტიკულ მაგალითებს. სადაც ავტორები ეხებიან სადავო საკითხებს, მათი გადაწყვეტა მოკლებულია ორიგინალურ თეორიულ დასაბუთებას.

სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე უამრავი მონოგრაფიები და სტატიები გამოქვეყნებული. ბუნებრივია, ავტორებს გაუძნელდათ რომელიმე საკითხის ახლებურად დაყენება. მაგრამ, რადგანაც ნაშრომს თეორიული გამოკვლევის პრეტენზია აქვს, ამიტომ სადავო საკითხების დაყენებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ავტორები მოგვემდინენ საკუთარ ორიგინალურ არგუმენტებს თავიანთი პოზიციების გასამართლებლად.

ავტორების მიერ ისეთი საკითხების აღმოცენება, როგორცაა პირის შერაცხადობის დადგენისათვის ამბულატორიული და სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება (გვ. 40), ექსპერტი, როგორც ფიზიკური პირი (გვ. 64-65), სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს მკვლელობისა და თვითმკვლელობის საკითხების შესწავლა (გვ. 80-89), საექსპერტო დასკვნის კატეგორიული და ალბათური ფორმები (გვ. 120-130), საექსპერტო დასკვნის კატეგორიული და ალბათური ფორმები (გვ. 120-130), საექსპერტო დასკვნა, როგორც არაგანსაკუთრებული მტკიცებულება (გვ. 142), საკონტროლო ექსპერტიზის ცალკე სახის ექსპერტიზად გამოყოფის უმართებულობა (გვ. 165-166) და სხვ. არ ატარებენ ორიგინალურ ხასიათს ლიტერატურაში უკვე ცნობილი არგუმენტების ფონზე.

ნაშრომის ცალკეულ გვერდებზე გვხვდება არასწორი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგობრივ დებულებებიც. მაგალითად, არაზუსტია ავტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქმის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა შესაძლებელია წამოიჭრას ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (გვ. 132) არასწორია მტკიცება, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა სხვებისაგან განსხვავებით ემსახურება არა დანაშაულის, არამედ შერაცხადობის დადგენას. როგორც ცნობილია, სანამ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სუბიექტის შერაცხადობა საეჭვოა, საეჭვოა თვით დანაშაულის არსებობაც. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალეულობის დადგენისათვის სწორედ რომ მნიშვნელობა აქვს პირის შერაცხადობის გარკვევას.

ავტორები შრომის 32-ე გვერდზე არასწორად

ედაგებიან ჩელცოვსა და პრიტუხოვას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ საქმეზე მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეუძლებელია საგამომძიებლო მოქმედებებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაინიშნოს ექსპერტიზა. ჩელცოვი და პრიტუხოვა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ კანონით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წიგნში თავმოყრილია ა. ფალიაშვილის მიერ სხვადასხვა ყურნალებში გამოქვეყნებული სტატიები; ზოგიერთი მათგანი, მიუხედავად მაგალითების სიძველისა, უცვლელად არის გადმოწერილი. ამით აიხსნება, რომ წიგნში უმთავრესად ძველი მაგალითებია მოყვანილი.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, წიგნი სასარგებლოა.

მომხსენებლისა და შრომის ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვით გამოსულმა ყველა ამხანაგმა ს. ბორიძისა და ა. ფალიაშვილის წიგნი — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ — დაახასიათა, როგორც მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც უდავოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა მ. ლეკვიშვილმა ხაზი გაუსვა ს. ბორიძისა და ა. ფალიაშვილის წიგნის — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — ზოგიერთ სადავო საკითხებს. მან ილაპარაკა ნაშრომის თეორიულ ხასიათზე და მიუთითა, როგორც წესი, ავტორებს მოყავთ თეორიული დებულება, რომელსაც ასაბუთებენ, პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითებით და აკეთებენ დასკვნას, თუ როგორ არის გადაწყვეტილი ესა თუ ის საკითხი პრაქტიკაში.

ავტორები მიუთითებენ, რომ ექსპერტიზა ინიშნება გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ. ნაშრომში არ არის აღნიშნული, რომ ექსპერტიზის დაინიშნის უფლება აქვს ასევე პროკურორს და იმ პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს.

ნაშრომის მესამე თავის მეორე პარაგრაფის სახელწოდებაა — „პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა ექსპერტიზის ჩატარებისას“, მაგრამ მასში ფაქტიურად ლაპარაკია მხოლოდ ბრალდებულის უფლებებზე, თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ მათ ამ საკითხებზე ვერ ნახეს უმაღლესი სასამართლოს მითითებები, ამიტომ არა აქვთ შესაძლებლობა გააშუქონ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

მ. ლეკვიშვილი არ დაეთანხმა ავტორების

მოსაზრებას, რომ თითქოს ალბათურ დასკვნას არა აქვს მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. ხშირად ამგვარი დასკვნა გვებს ადვოკატებს და მისი მთლად უარყოფა სწორი არ იქნებოდა.

ადვოკატმა მ. ნანიკიშვილმა ილაპარაკა ნაშრომის დადებით მხარეებზე და მიუთითა, რომ შრომა აგებულია სისხლის სამართლის საფუძვლების მიხედვით, მასში ხაზგასმულია მტიციების წყაროსა და დამამტკიცებელი საბუთების ცნებების სხვადასხვაობა. სასამართლო პრაქტიკაში დღესაც პროცესის მონაწილეებს უწოდებენ მხარეებს, ავტორები კი მათ პროცესის მონაწილეებს უწოდებენ, რაც მ. ნანიკიშვილს სასამართლიანად მიაჩნია. შრომაში გამოყენებულია სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მდიდარი პრაქტიკა.

თუ სხვა ავტორთა შრომებში მხოლოდ მოხსენებული იყო ექსპერტის კვალიფიკაციის, ექსპერტის კომპეტენტობის და მისი ობიექტურობის, საექსპერტო მასალათა ვარჯისიანობის, მასალათა სისრულის და სხვ. შესახებ, ამ ნაშრომში ეს ცნებები საკმარისად დამაჯერებლად არის განმარტებული და ვრცლად არის გადმოცემული მათი შინაარსი.

დადებით მხარეებთან ერთად მ. ნანიკიშვილმა აღნიშნა ავტორების ზოგიერთი არასწორი მოსაზრებებიც. კერძოდ ის, რომ თითქოს განაჩენის გაუქმების საფუძვლად გამოდგებოდეს კანონის ისეთი დარღვევა, როდესაც სასამართლოს შემადგენლობას განაჩენა ექსპერტიზის დაინიშნის შესახებ გამოაქვს არასათათბირო ოთახში, არამედ სამსჯავრო სხდომის პროცესზე. მ. ნანიკიშვილს ეს დარღვევა არ მიაჩნია განაჩენის გაუქმების საფუძვლად.

დასასრულს, მ. ნანიკიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში მომუშავე იურიდიული დარგის მეცნიერ მუშაკებმა ქართულ ენაზე წერონ თავიანთი შრომები, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პრაქტიკული მუშაკებისათვის.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა დოც. ა. ფალიაშვილმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე პროფ. ბ. ფურცხვაინიძე.

მ. კახელი



## სემინარი გეგუზარ ბაქოძეშვიდა

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ ჩაატარა სასწავლო — მეთოდური სემინარი, რომელმაც განიხილა დანაშაულის ჯგუფური გამოძიების მეთოდები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსი გამომძიებლები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის და საქართველოს სხვა რაიონების გამომძიებლები.

სემინარი გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიჭქაძემ. მან ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს დანაშაულის მიზეზების შესწავლისა და გაფრთხილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. მ. კარნეევას მოხსენება — „დანაშაულის ჯგუფური გამოძიების მეთოდები“.

მოხსენებელმა საინტერესოდ, პრაქტიკული შასლის გამოყენებით გააშუქა გამოძიების ამ მეთოდების მნიშვნელობა. თავის გამოსვლაში შეეხო გამომძიებელთა ბრიგადების ორგანიზაციული მუშაობის აქტუალურ საკითხებს, გამოძიებელთა პროცესუალურ მდგომარეობას და სხვა. ლ. კარნეევამ კონკრეტულ მაგალითებზე განიხილა რთული საქმეების ჯგუფური გამოძიების უპირატესობა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რთულ სისხლის სამართლის საქმეებზე აუცილებელია დროულად შეიქმნას გამომძიებელთა ბრიგადები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

სემინარის მონაწილეებს თავისი გამოცდილება გაუზიარა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა ს. ქველიძემ. მან აღნიშნა, რომ ქუთაისის ავტოქარხანაში დიდი რაოდენობის თანხების გატაცების საქმეზე ჯგუფური გამოძიების დროს გამოძიებელთა შორის ცალკეული ეპიზოდების გამოძიების დანაწილებამ ხელი შეუწყო შედარებით მოკლე დროში დამთავრებულყო თავისი ხასიათით და მოცულობით რთული სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა გ. ნადარეიშვილმა წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს სამშენებლო-სარემონტო კანტორაში სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეზე ჯგუფური გამოძიების

მაგალითზე აღნიშნა, რომ საგამომძიებლო ბრიგადის წევრთა პროცესუალურმა დამოუკიდებლობამ გატაცების უპაროლუქას გამოძიების გამომძიებლებს საშუალება მისცა გამოეჩინათ ინიციატივა, რამაც ხელი შეუწყო სოციალისტური საკუთრების ჯგუფური გამტაცებლების დანაშაულებრივი ქმედობის თითქმის ყველა რგოლის გახსნას.

გორის საფეიქრო კომბინატში, — აღნიშნავს საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელი ს. ტვილიანი, — სახელმწიფო ქონების გატაცების საქმის გამოძიებას დიდი დახმარება გაუწია მუშაობის სწორმა ორგანიზაციამ. გამოძიების საერთო ოპერატიული გეგმის შემუშავებასთან ერთად დგებოდა გეგმები ცალკეული ეპიზოდების გამოსაძიებლად. ჯგუფის ხელმძღვანელის ხელში თავს იყრიდა საქმის ყველა ძირითადი რგოლი, რომელსაც შემდეგ უნარიანად ანაწილებდა თვითეულ გამომძიებელზე.

საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა მ. კიკოზაშვილმა აღნიშნა ჯგუფური გამოძიების დადებითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების ვაფლანგვა-გატაცებისა და მკვლელობის საქმეებზე.

კამათის შემდეგ მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის პროკურატურის გამომძიებელმა ო. ჯაფარიძემ, გარდაბნის პროკურატურის გამომძიებელმა შ. ვაშაქიძემ, ქ. ცხინვალის პროკურორის თანამშემემ გ. ჯავახიშვილმა, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. გიორგობიანმა, წყალტუბოს პროკურატურის გამომძიებელმა დ. მდინარაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის სამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ი. ხიონიძემ და სხ.

სასწავლო მეთოდური სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. პრავდინი და სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორები — უ. ლავროვი და ა. ჩუველიოვი.

ა. გიგაუჩილი

# იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი



1964 წლის 2-3 ნოემბერს შესდგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის საწარმოების იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა იურიდიული სამსახურის მუშაკების გარდა თათბირში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურატურის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცეკავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. გ. გომელაურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამეურნეო-საორგანიზაციო საქმიანობის გაძლიერება.

ეკონომიკის საკითხები გადაწყვეტია და სამართალი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მათ სწრაფ და სწორად გადაწყვეტას.

საწარმოების იურიდიული სამსახურის ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო მიუთითებდა — იურიდიული დარგის მუშაკები არ შეზღუდულიყვნენ მხოლოდ სასამართლო-საარბიტრაჟო საქმეების წარმოებით, ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში საწარმოების საქმიანობის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, გამოეყენებიათ ამ მიზნით ყველა სამართლებრივი საშუალებები.

ბევრი იურიდიული მუშაკი ახორციელებს ამ მითითებებს, რაც გარკვეულ დარღვებით შედეგებს იძლევა. მაგრამ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან უნაყოფო ხარჯებს, ჯარიმის სახით. პროდუქციის უხარისხობისათვის, ვალდებულებათა შესრულებლობისათვის და სხვა.

თათბირზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: 1. საწარმოთა ეკონომიკის განმტკიცებაში იური-

დიული სამსახურის როლის შედგენილი ნაწილების შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსი ნ. წერეთელი.) 2. „გადალიეროთ ბრძოლა შრომის დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე ზ. კეკელიძე.) 3. „იურისკონსულტების ამოცანები საქართველოს სსრ მთავრობის მიერ იურისკონსულტების ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წევრი მ. იაკობაშვილი).


თავის მოხსენებაში ამხ. ნ. წერეთელმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის დარგში მომუშავე იურისტები ყურადღებით სწავლობენ საწარმოთა ეკონომიკის, უნაყოფო ხარჯების მაქსიმალური შემცირების საკითხებს, ახდენენ საპრეტენზიო — სასარჩილო მუშაობის ანალიზს, განაზოგადებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარებას, სამეურნეო ხელშეკრულების სრულყოფილად გამოყენებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სრულად იქნას გამოყენებული ზემოქმედების საშუალებანი იმ კონტრაგენტთა მიმართ, ვინც უშვებს ვალდებულებების შესრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას.

მაგრამ, იურიდიული სამსახურის მუშაკთა საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მიწოდების ვადების დარღვევის, უხარისხო პროდუქციის მიწოდების, პროდუქციის დიდი რაოდენობით დაბრუნების გამო პრეტენზიების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკები სუსტად მონაწილეობენ ამ მოვლენების თავიდან აცილების მიზნით წარმოებულ პროფილაქტიკურ მუშაობაში.

იშვიათი არ არის მოპასუხეების მიერ არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა დიდი დავიანებით შესრულების შემთხვევები, რაც ჯარიმების გადახდევინებას იწვევს.

იურიდიული სამსახურის მუშაკთა უფრო აქტიური მონაწილეობა საწარმოების ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვნად შეამცირებს უნაყოფო ხარჯებს, ხელს შეუწყობს წარმოების ეკონომიკის განმტკიცებას.



მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ სატყეო მრეწველობის სამმართველოს უფროსი იურისკონსულტი მ. კაკაურიძე, თბილისის ქიმიკარქანის იურისკონსულტი მოლჩანოვი. საქართველოს სსრ პროკურატურის წარმომადგენელი მ. მირზოევი, სოხუმის საკონსერვო ქარხნის იურისკონსულტი დ. ჩხარტიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსი კონსულტანტი თ. და-

დიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრი ვ. ეფიმოჩნიკი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არბიტრი შ. რჩეულიშვილი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ე. ტაკიძემ.

### შენვედრა ს. ი. ქავთარაძესთან

ამას წინათ საქართველოს სსრ პროკურატურამ შეხვედრა მოუწყო კომუნისტური პარტიის უხუცეს მოღვაწეს ს. ი. ქავთარაძეს.

ს. ქავთარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე. სიტ-

ყვები წარმოთქვეს კ. ქავთარაძემ, ვ. გოგუაძემ, შ. ჭანტურია და სხვ.

მოგონებით სსრ კავშირის პროკურატურაში თავისი მუშაობის შესახებ გამოვიდა ს. ქავთარაძე.

ს. ქავთარაძეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი. მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის.

## უნგრელი იუკისგები სფუმრად საქართველოში



საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იურისტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, დოქტორი ფერენც ნეზვალი.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე დოქტორი იმრე მარკოია, უნგრეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი დოქტორი ზოლტან ნადი, დოქტორი იანოშ საბო და დოქტორი იშტვან კირაი.

სტუმრები გულთბილად მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ტერეზილოვმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. ი. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ყ. ლომიძემ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ო. ა. ქაეთარაძემ.

უნგრელი იურისტები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული კომისიის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს.

უნგრელი იურისტები ყურადღებით გაეცნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამოცდილებას, სასამართლოს პრაქტიკას, საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებს.

ქალაქ რუსთავის, ამხანაგური სასამართლოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულეების წარმომადგენლებმა სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს კულტურული ცხოვრებისადმი. დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, იყვნენ გურჯაანსა და თელავში, სადაც ესაუბრნენ სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებს.

ქართველ იურისტებთან საუბარში ფერენც ნეზვალმა განაცხადა: მეტად სასარგებლოა ჩვენი შეხვედრა საქართველოს იუსტიციის მუშაკებთან. პირადი კონტაქტები და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, დისკუსიები მნიშვნელოვან პრობლემებზე ხელს გვიწყობს უკეთ შევისწავლოთ საბჭოთა სასამართლოსა და პროკურატურის პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები, რათა შემდეგ შემოქმედებითად გამოვიყენოთ საბჭოთა იურისტების გამოცდილება ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ისინი დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების ჰუმანური პრინციპების აღზრდაში და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრაში.

მეტად საინტერესო იყო ჩვენთვის, თქვა შემდეგ ფერენც ნეზვალმა, გაცნობილით პროფილაქტიკური მუშაობის დიდსა და დადებით

გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს რესპუბლიკის სასამართლო და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. საყურადღებოა სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკა.

საქართველოდან მოსკოვში გამგზავრებისას სტუმრები გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **ზ. მ. რატიანმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ი. მაისურაძემ**, საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ე. ბერძენიშვილმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომისიის თავმჯდომარემ **მ. ყ. ლომიძემ**, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **ვ. ს. ლუკოვინმა** და სხვებმა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იურისტთა დელეგაციის ვიზიტმა კიდევ უფრო გააღრმავა ქართველ და უნგრელ იურისტთა საქმიანი კონტაქტი.



მიმდინარე წლის 10-13 დეკემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს უგანდის გენერალური პროკურორი ბატონი გოდფრი ბენისა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით იყო ჩამოსული სსრ კავშირში.

საქართველოში ყრფნისას სტუმარმა დაათვალიერა ქ. თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნო ქალაქის კულტურულ ცხოვრებას, ეწვია თბილისის შამანური ღვინოების ქარხანას, იყო ჩაის გადამწონ ფაბრიკაში, დაათვალიერა ვარკეთის საბჭოთა მეურნეობა. ბატონი გოდფრი ბენისა იყო საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურაში და უმაღლეს სასამართლოში, ესაუბრა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორს პ. ბერძენიშვილს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვ. მისუტაძეს. მათ სტუმარს გააცნეს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა. გაუზიარეს პროფილაქტი-

კური მუშაობის გამოცდილება, რომელიც შეიძინეს რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა.

საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. 13 დეკემბერს უგანდელი სტუმარი მოსკოვს გაფრინდა.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიგოშვილმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის თავმჯდომარის შოადვილემ ა. ყდენტიამ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების უცხოეთთან კავშირის განყოფილების გამგემ გ. ტატიშვილმა და სხ.

უგანდელი პროკურორის ვიზიტი სსრ კავშირში უფრო მეტად განამტკიცებს საქმიან კონტაქტებს საბჭოთა და აფრიკელ იურისტებს შორის.



სულ უფრო საინტერესო ხდება იურიდიული ფაქულტეტის ზეპირი ჟურნალი.

10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადაიშალა ჟურნალის — „მართლმსაჯულების სადარაჯოზე“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

სასამართლო ორგანოების როლზე არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაიხურაძე.

საბჭოთა ახალგაზრდებში თუმცა იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდებიან პირები, რომლებიც თავიანთი უსაქმურობით, ამორალური საქციელით არცხვენიერ საბჭოთა ახალგაზრდის სახელს, მშობლებს, აღმზრდელ სკოლასა და პედაგოგებს, ფეხქვეშ თელავენ სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებს და სისხლის სამართლის დანაშაულსაც ჩადიან.

საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. საკითხი ეხება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს — აღვზარდოთ მხნე, სიცოცხლით სავსე, კომუნისტების მშენებელი თაობა.

გადამწყვეტ პროფილაქტიკურ ღონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა გამოცეხადოთ ყველას, ვინც ხელს ვეიშლის მორალურად მტკიცე, ზნეობრივად ჯანსაღი, ახალი თაობის აღზრდაში.

სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტებს ანალიზი ვაუკეთა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ.

პროექტები შედგენილია სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად. ამასთან მათში მთლიანად არის მოცემული ნორმები იმ ურთიერთობაზე, რომელთა გადაწყვეტა და მოწესრიგება კანონით მინდობილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკებს.

პროექტებში შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები, რომელთა უმრავლესობა სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის განზოგადების შედეგია. პროექტში დატოვებულია აგრეთვე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ყველა ნორმა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და მნიშვნელობა.

შემდეგი გვერდი კვლავ სპორტმა გადაფურცლა.

იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტმა, ოლიმპიელმა პრიზიორმა ტყვიით სროლაში შ. ქველიაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა ტოკიოს ოლიმპიურ შთაბეჭდილებებზე.

სსრ კავშირის პირველობასა და თასზე ფეხბურთში, სსრ კავშირის ნაკრების გამოსვლებზე მადრიდსა და ვარშავაში მსმენელთ მოუთხრო სპორტულმა კომენტატორმა ი. ვანიატმა (მოსკოვი).

1964 წლის ხელბურთის სეზონის შედეგებზე ილაპარაკა იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტმა, ჩვენი ქვეყნის განთქმულმა ხელბურთელმა ჯ. ცერცვაძემ.

ჟურნალის ფურცლები იურიდიული ფაქულტეტის მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტით დამთავრდა.

# მეგობარი მკვლელები

ს მ ყ მ ა ნ ი




მოსამართლე ბრალდებულს:  
— თქვენ მოგეხსნათ ბრალდება ორცოლიანობი-  
სათვის. შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ცოლს.  
— რომელს?

მ მ წ მ ე

ცნობილ ინგლისელ მხატვარს, რომელიც გამოძახებული იყო სასამართლოში მოწმედ, მოსამართლემ მიმართა:

— შეგიძლიათ აუხსნათ სასამართლო კო-  
ლეგიას თუ რას ნიშნავს ხელოვნება?

მხატვარმა გადაავლო თვალი კოლეგიის წევრებს და გადაჭრით განაცხადა — არა!



სიყვარული და ქორწინება

- ოჰ, ქორწინება შესანიშნავი რამაა, როცა სიყვარულია!
- კი მაგრამ თუ ქმარი გაიგებს?

პოლონურიდან თარგმნა ინგა კაპაბაძემ

## საღის ღაგანა


გამოთქმის აზრი ასეთია: რაიმე მოვალეობისაგან განზე განდგომა, პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა.

ძველად ზოგიერთ ხალხს (ებრაელებს, რომაელებს) სასამართლო პრაქტიკაში ასეთი წესი ჰქონდათ: მოსამართლე ან ბრალმდებელი იმის დასამტკიცებლად, რომ მიკერძოებას ადგილი არ ექნებოდა, ხელს დაიბანდა.


იმ შემთხვევაშიც, თუ მოსამართლე მთავრობის ან ბრბოს მოთხოვნით იძულებული ხდებოდა მკაცრი სასჯელი გამოეტანა, იგი ხელს იბანდა, რითაც პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიდა.

## შუბლზე აწერია

ამ გამოთქმის აზრი ასეთია: ნაკლს, დანაშაულს, რომელიც განკიცხვის ღირსია, ვერ დაფარავ, შეგამჩნევენ. ეს გამოთქმა დიდი ხანია შემოსულია ხმარებაში. მსჯავრდებულს საბატვიმროდან გაქცევა რომ ვერ გაეზედა, ძველად, გადასახლების წინ პატიმარს დაღს ასვამდნენ: სპეციალური ხელსაწყოთი შუბლზე ან ლოყაზე ამოსწვავდნენ ხოლმე ასოს. ამოდაღულ ადგილას საფანტს დააყრიდნენ, რის შემდეგაც ასოების მოშლა შეუძლებელი ხდებოდა.



სხვადასხვა



ინდოეთში ჰყავთ ყველაზე უცნაური დარაჯები, რომლებიც ფხიზლად იცავენ სახლებს, საწყობებსა და მაღაზიებს. ეს მცველები გაწვრთნილი გველები არიან.

როგორც კი ქურდი მაღაზიაში შეიპარება, მის წინ მოულოდნელად აღიმართება უზარმაზარი გველი. შეშინებული ქურდი იძულებული ხდება ყვირილი ატეხოს და საშველად მოუხმოს ადამიანებს.



\* \* \*

...კანადაში დააკავეს და მანქანის დიდი სიჩქარით წაყვანისათვის დააჯარიმეს ინგლისელი ფიზიკოსი რობერტ ვესტონ უატი, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი გამომგონებელი თანამედროვე რადიოსალოკაციო აპარატურისა. ეს აპარატურა შევლოდა ბრიტანეთს ფაშისტი ბომბდამშენებისაგან თავდაცვაში მეორე მსოფლიო ომის დროს.

უატის დაჯარიმების თვით ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი როდია, რომ მას ყურადღება მივაქციოთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ინგლისელი სწავლული დააკავეს მისივე სისტემის იმ რადიოსალოკაციო მოწყობილობის შემწეობით რომელიც გაკეთებულია სიჩქარის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამგვარად, უატი მის მიერ გაბმულ ქსელში გაიხლართა.

ფოსა და სამართლის განვითარების, სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი გაშლის, სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულყოფის, საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების, დამნაშავეობის მიზეზებას შესწავლის, მისი წინასწარ აღკვეთისა და მიეღრიგ სხვა აქტუალურ საკითხებს. სამეცნიერო მუშაობა ძირითადად უნდა წარიმართოს თანამედროვეობის პრობლემებზე და შეიკვეცოს ისტორიული თემატიკით ზედმეტი გატაცება. სამეცნიერო კვლევითი გეგმების შედგენისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკის მუშაკთა მოსაზრებები, რათა თემები შეესაბამებოდნენ პრაქტიკის მოთხოვნებს. საჭიროა მეცნიერულ მუშაობაში უფრო ვაბედულად ჩაებათ მოწინავე სტუდენტები, შევარჩიოთ მათგან კანდიდატები ასპირანტურაში მისაღებად. მომზადებული კადრების გამოშვება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არიან ისინი უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებით და დამხმარე სახელმძღვანელოებით. კათედრებში ყველაფერი უნდა გააკეთონ სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის. საჭირო იქნება თვით გეგმის გადასინჯვა მისი ვაფართოების მიზნით. სახელმძღვანელოების შექმნაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამართლის სექტორის თანამშრომლებმაც, უნდა განმტკიცდეს კავშირი სამართლის სექტორის, კრიმინალისტიკურ ლაბორატორიასა და ფაკულტეტს შორის. კათედრებში უნდა მოაწიონ ახლად გამოსული იურიდიული ლიტერატურის ერთობლივი განხილვა პრაქტიკის მუშაკთა აქტიური მონაწილეობით. საჭიროა შესწავლილი იქნეს საკითხი ზოგიერთ ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა პრაქტიკულ ორგანოებში სამუშაოდ მივლინების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მომავალი წლიდან სწავლების პროცესში ჩაირთვება ახალი დისციპლინები: კრიმინოლოგია, შრომა-ვასწორებითი სამართალი, სასამართლო ფსიქოლოგია. აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ამ დისციპლინების წაკითხვისათვის სათანადო კადრების შერჩევისა და მომზადებისათვის. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკას. პრაქტიკის დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ სტუდენტმა კარგად აითვისოს პრაქტიკული მუშაობის ჩვევები. უფრო ხშირად უნდა მოეწყოს კათედრის გამსვლელი სტანდარტული პრაქტიკის გავლის ადგილებზე, გაიზარდოს პრაქტიკის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. კარგი იქნება დაენერგოთ პრაქტიკაში არა მარტო სამეცნიერო

შრომების რეცენზირება პრაქტიკულ მუშაკთა მიერ, არამედ სადიპლომო შრომებისაც.

დოც. გ. ინწირეელი აღნიშნავს, რომ აუცილებელია გაფართოვდეს სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის გამოცდილ პრაქტიკულ მუშაკთა მოწვევა, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში, როგორცაა სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა და სხვ. კათედრებში უფრო ხშირად უნდა ჩატარონ გამსვლელი სხომები, სესიები, კონფერენციები, მოხსენებები, საუბრები სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკულ მუშაკთათვის. მომხსენებელი შემდეგ აღნიშნავს, რომ პროფესორ-მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სამართლებრივი პრობლემების საქმეში ლექციების, მოხსენებების, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობით, პოპულარული ბროშურების გამოცემითა და სხვა სახით.

დადგენილება ითვალისწინებს იურისტების განაწილებას არა მარტო იუსტიციის ორგანოებში, არამედ სახელმწიფო მმართველობის აპარატში, სამეურნეო ორგანოებში. ამიტომ სტუდენტთა ახლანდელი კონტიგენტი არ არის საკმარისი. საჭირო იქნება დაისვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე 1965 წლიდან გადიდდეს ფაკულტეტზე მიღების კონტინგენტი თითოეულ განყოფილებაზე 50 კაცამდე. კარგი იქნება, თუ პროფილით მომუშავე პირთა ჩარიცხვა მოხდება კონკურსის გარეშე.

დასასრულ მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იდეოლოგიური მუშაობის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ მეცნიერ-მუშაკებს, ასპირანტებსა და სტუდენტებს შორის უნდა დაინერგოს მაღალი პრინციპულობის, დავალებული საქმისადმი პასუხისმგებლობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გრძნობა და აგრეთვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებებისადმი შეუთრეველობის სულისკვეთება.

მომხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკულ ორგანოთა წარმომადგენლებმა.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ვ. ხმალაძემ** თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალი ამოცანების წინაშე აყენებს არა მარტო სამართლის და იურიდიული სწავლების სამეცნიერო დაწესებულებებს, არამედ იმ ორგანოებსაც, რომლებიც სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე დგანან. ამიტომ დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს მეცნიერ თამამშრომელთა მჭიდრო კავშირს პრაქტიკული დარგის მუშაებთან. ასეთი კავშირის დამყარებისათვის მთელი რიგი ნაბიჯები უკვე გადადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, მაგრამ პრაქტიკულ ორგანოების მუშაეთა არასათანადო გამოხმარების შედეგად ზოგიერთი ღონისძიება ვერ განხორციელდა მიზანდასახულობის ფარგლებში.


პრაქტიკაში წამოჭრილი სადავო საკითხების სწორად გადაწყვეტისათვის, აღნიშნავს ახს. ვ. ხმალაძე, დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაეების აზრთა ურთიერთ გაზიარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოებში ტარდება სამსახურებრივი მომზადების სწავლება და კარგი იქნება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერ მუშაეები. კავშირი უნდა დამყარდეს პერიფერიების პრაქტიკულ მუშაებთანაც. მისასალმებელია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების გამოცემის აუცილებლობა. ეს დიდ დახმარებას ვაუწყებს პრაქტიკულ მუშაეებს, კარგი იქნება, თუ მომზადდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებიც. ჩვენს რესპუბლიკაში საერთოდ ცუდადაა დაყენებული იურიდიული ლიტერატურის გამოცემის საქმე, მასინ როცა საკმაოდ ძლიერა მეცნიერული კადრები გვყავს. საჭიროა იურიდიული პროპაგანდის გაფართოება, განსაკუთრებით ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ კანონებზე, რომელთა არასათანადო ცოდნა იწვევს მთელი რიგ დარღვევას, რასაც თავის მხრივ არასასურველ შედეგებამდე მივყავართ. ახს. ხმალაძე იმედს გამოთქვამს, რომ სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის და კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უნივერსიტეტი სათანადო როლს შეასრულებენ იურიდიული ცოდნის პროპაგანდის საქმეში.

რესპუბლიკის პროკურორის თანამემწემ მ. კეკელიამ ილაპარაკა რა დადგენილების დიდ მნიშვნელობაზე, აღნიშნა, რომ პრაქტიკული მუშაეების გარკვეული ნაწილი უკვე მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. საჭიროა რათა ფაკულტეტზეც და სამსახურშიც მათ სათანადო დახმარება გაუწიონ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დანიერგოს მეცნიერ-თანამშრომლების სამუშაოდ მივლინება პრაქტიკულ ორგანოებში. ვანა ცუდი იქნება, რომ დაწესდეს აგრეთვე დისერტანტ პრაქტიკულ მუშაეთა მივლინება სამეცნიერო დაწესებულებებში? ჩემი

აზრით, ეს ხელს შეუწყობს პრაქტიკულ მუშაეებში მეცნიერული ჩვევების ჩამოყალიბებას. ახს. კეკელია ეხება აგრეთვე მაღალკვალიფიციურებული შრომების გამოცემის საკითხს და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი მოითხოვს მეტ ყურადღებას, რადგან პრაქტიკულ მუშაეებს უჭირთ რომელიმე საგამომცემლო გეგმაში მოხვედრა, ხოლო შრომების გამოქვეყნების გარეშე კი დაცვაზე არ დაიშვებიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ვ. მისუაძემ აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იურიდიული დარგის მუშაეებისადმი პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღების და მზრუნველობის გამოვლინებაა. მასში დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და პრაქტიკული დარგის მუშაეების კავშირს. ასეთი კავშირის კარგი ფორმა უმაღლეს სასამართლოსთან ჩამოყალიბებული მეთოდურ-საკონსულტაციო საბჭო, სადაც პრაქტიკური წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობენ მეცნიერ-მუშაეები. რაიონის სასამართლო ორგანოებთან კავშირისათვის მიზანშეწონილი იქნება დანიერგოს მეცნიერ-მუშაეთა მივლინება უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკულ მუშაეებთან ერთად. შემდეგ ახს. ვ. მისუაძე ეხება კადრების აღზრდის, მათი იდეურ პოლიტიკური წრთობის საკითხს. ბოლოს იგი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ მეცნიერ-თანამშრომლები და პრაქტიკული მუშაეები ერთობლივად მიიღებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა კოლონიებში ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

ადვოკატმა ე. კორძაძემ აღნიშნა, რომ თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული ცოდნის პროპაგანდას, რაც ხელს შეუწყობს მართლმწიფის განმტკიცებას და კანონებისადმი პატივისცემის დანერგვას, ხელს შეუწყობს საზოგადოების დარაზმვას ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ საბოლოოვლად. პროპაგანდა უნდა დაეხმაროს მოქალაქეებს, ხელმძღვანელ მუშაეებს თავიანთ უფლება-მოვალეობათა გარკვევაში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ პერიოდში ქ. თბილისში. ტარდება ლექცია-მოსენებები, საუბრები, კითხვა პასუხის საღამოები და სხვა. ახს. კორძაძე აღნიშნავს, რომ იურისტების უნდა მუშაობდნენ არა მარტო იუსტიციის ორგანოებში, არამედ სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი მმართველობის აპარატში. ადგილობრივი საბჭოები ზოგჯერ იღებენ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებებს. სახელმწიფო აპარატში იუ-



რისტების გამოყენება საგრძნობლად გააუმჯობესებს ხელისუფლების ორგანოების მუშაობას.

**პროფ. ბ. ფურცხვანიძე** აღნიშნავს, რომ დღევანდელ მუშაობაში დასახული პრობლემების დამუშავება ხელს შეუწყობს პარტიის პროგრამით დასახულ ამოცანათა განხორციელებას. დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტწილად დამახასიათებელია ჩვენი მუშაობისათვისაც და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ისინი გამოვასწოროთ. არა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა ასპირანტურის საკითხში. ბევრი ასპირანტი არ ამართლებს იმედებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიღების დროს არ ვიჩენთ სათანადო მომთხოვნელობას. საწარმოო პრაქტიკა სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს ვერ უწყევნ სათანადო დახმარებას ვერც ჩვენგან მიმაგრებული მასწავლებლები და ვერც თვით ხელმძღვანელი პრაქტიკული მუშაკები. მოსაგვარებელია სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი, რადგან მონოგრაფიები ვერ მისცემენ სტუდენტებს იმას, რასაც სახელმძღვანელოები.

**პროფ. თ. წერეთელი** აღნიშნავს, რომ იურიდიული მეცნიერება ბასტრაქტული მეცნიერება კი არაა, არამედ იგი არსებობს პრაქტიკისათვის და ამიტომ კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების განვითარების მეოხებით. შემდეგ პროფ. თ. წერეთელი ეხება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის სექტორის მუშაობას და აღნიშნავს იმ ღონისძიებებს, რომელიც ვატარდა პრაქტიკისთან კავშირის განმტკიცების მიზნით. მისი აზრით, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ ყველა სპეციალობაში ვერ ვმუშაობთ თანაბრად. მაგალითად, ნაკლებად მუშავდება ვაჭრობის, სამეურნეო აღმშენებლობისა და სხვა საკითხები, რაც კადრების სიმცირით არის გამოწვეული. იგი თვლის, რომ შეთავსების აკრძალვა არ არის სწორი, რადგან ეს უნივერსიტეტს აკლებს საკმარის ძლიერ კადრებს და პირიქით. მომავალ მეცნიერ-მუშაკთა შერჩევა უნდა ხდებოდეს სწავლების პროცესიდანვე. დადგენილებაში აღნიშნულია ახალი დისციპლინების შემოღების აუცილებლობა, რომლის სპეციალისტები არა გვყავს. საჭირო იქნება ამ სპეციალობებით ადგილების დამატება ასპირანტურაში. ამავე მიზნით საჭირო იქნება ზოგიერთ მეცნიერ მუშაკთა მივლინება მოსკოვში. საჭიროა მეცნიერთა მივლინება რაიონებში პრაქტიკულ მუშაკთათვის ლექციების წასაკითხად.

ქ. ქუთაისის პროკურორი **ა. ჟღენტი** ყურადღებას ამახვილებს კვლავ თეორიულ და

პრაქტიკულ მუშაკთა მკიდრო კავშირის აუცილებლობაზე. ამხ. ა. ჟღენტი თვლის, რომ საწარმოო პრაქტიკის ვადა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სტუდენტი ღრმად დაეუფლოს საგამომძიებლო მოქმედებებს. მას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ვადის გადიდება. მისი აზრით, ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი პრაქტიკული მუშაკები საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში მათი გამოცდილების განსოგადების მიზნით. დასასრულ ამხ. ა. ჟღენტი აღნიშნავს, რომ სასურველია დისერტაციაზე მომუშავე პრაქტიკულ მუშაკთათვის ფაკულტეტის მხრივ მეტი დახმარება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი აკადემიკოსი **ი. დოლიძე** აღნიშნავს, რომ დადგენილებაში გატარებულია იურიდიული განათლების, სწავლებისა და კვლევადიების ერთიანობის პრინციპი. იგი მოითხოვს იურიდიული მეცნიერების დონისა და ხარისხის მკვეთრ ამაღლებას. შემდეგ ამხ. ი. დოლიძე ლაპარაკობს ქართველი მეცნიერების უკანასკნელი წლების მიღწევებზე. აქამად საქართველოში 8 მეცნიერებათა დოქტორი და 20-ზე მეტი კანდიდატია. საჭიროა ეს კადრები გამოვიყენოთ რაციონალურად. სამართლის მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხი მოითხოვს ღრმად შესწავლას და დამუშავებას. ზოგიერთი ამხანაგი უგულებელყოფს სამართლის ისტორიის მნიშვნელობას, რაც არ არის სწორი. საგნის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი ღრმად დამუშავება. ძალიან ბევრი იწერება რუსული სამართლის ისტორიაში. გამოვიდა რუსული სამართლის ძეგლების 8 ტომი. ჩვენც ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ ქართული სამართლის ისტორიის დარგში. მართალია სტუდენტებს ესაჭიროებათ სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, მაგრამ არასწორი იქნება ცალკეული მონოგრაფიების მნიშვნელობის უგულებელყოფა.

კამათში მონაწილეობა მიიღო ავრეთვე ადვოკატმა **ჯ. ბაქრაძემ**.

კამათის შემდეგ იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **დოც. გ. ინწკირველმა** პასუხი გასცა შეკითხვებზე.

პარტიულმა კრებამ მიიღო ვრცელი დადგენილება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატისა და პარტიულ ბიუროს პირველსახარისხოვან ამოცანას ამჟამად შეადგენს აღნიშნულ დადგენილებაში დასახული ამოცანების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს იურიდიული მეცნიერებისა და განათლების შემდგომ გაუმჯობესებას.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის ინიციატივით ამას წინათ მოეწყო ს. ვ. ბოროდინისა და ა. ი. ფალიაშვილის წიგნის — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — საჯარო განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუშაკებმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა.

მოსვენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი ბ. ხარაზიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა — ნაშრომის დადებითი მხარეები, მიუთითა, რომ ს. ბოროდინის და ა. ფალიაშვილის წიგნის — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — გამოცემა მისასალმებელია. წიგნი შეიცავს საინტერესო მასალას, მნიშვნელოვან პრაქტიკულ მაგალითებს სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე. ეს მაგალითები გარკვეულ სისტემაშია მოყვანილი. წიგნი სარგებლობას მოუტანს როგორც სტუდენტებს, ასპირანტებს, მეცნიერ-მუშაკებს, ასევე მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მუშაკებსაც. ღირსებებთან ერთად მომხსენებელმა აღნიშნა ნაშრომის სერიოზული ნაკლოვანებებიც. მან ხაზი გაუსვა წიგნის სახელწოდების შეუსაბამობას მის შინაარსთან და მიუთითა, ნაშრომში არ არის გადმოცემული საკითხები იმ სიღრმით და მოცულობით, რომ გამართლებული იყოს მისი დასათავსება — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“. ნაშრომის პირველი თავი — სისხლის სამართლის საქმეებზე ექსპერტიზის მნიშვნელობა და ამოცანები — სქემატურია. ძირითადად შეიცავს მხოლოდ იმ საკითხების ნუსხას, რომლებიც ექვემდებარება გადასაწყვეტად ამა თუ იმ სახის ექსპერტიზას. არაფრით არ არის გამართლებული, რომ ავტორებმა ამ თავში გვერდი აუარეს ექსპერტიზების დარგობრივი გამოყენების საკითხს, რომლის განხილვასა და გადაწყვეტას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა.

მომდევნო თავებიც ძირითადად შეიცავენ

მხოლოდ პრაქტიკულ მაგალითებს. სადაც ავტორები ეხებიან სადავო საკითხებს, მათი გადაწყვეტა მოკლებულია ორიგინალურ თეორიულ დასაბუთებას.

სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე უამრავი მონოგრაფიები და სტატიები გამოქვეყნებული. ბუნებრივია, ავტორებს გაუძნელდათ რომელიმე საკითხის ახლებურად დაყენება. მაგრამ, რადგანაც ნაშრომს თეორიული გამოკვლევის პრეტენზია აქვს, ამიტომ სადავო საკითხების დაყენებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ავტორები მოკვცემდნენ საკუთარ ორიგინალურ არგუმენტებს თავიანთი პოზიციების გასამართლებლად.

ავტორების მიერ ისეთი საკითხების გადმოცემა, როგორცაა პირის შერაცხადობის დადგენისათვის ამბულატორიული და სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება (გვ. 40), ექსპერტი, როგორც ფიზიკური პირი (გვ. 64-65), სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს მკვლელობისა და თვითმკვლელობის საკითხების შესწავლა (გვ. 80-89), საექსპერტო დასკვნის კატეგორიული და ალბათური ფორმები (გვ. 120-130), საექსპერტო დასკვნის კატეგორიული და ალბათური ფორმები (გვ. 120-130), საექსპერტო დასკვნა, როგორც არაგანსაკუთრებული მტკიცებულება (გვ. 142), საკონტროლო ექსპერტიზის ცალკე სახის ექსპერტიზად გამოყოფის უმართებულობა (გვ. 165-166) და სხვ. არ ატარებენ ორიგინალურ ხასიათს ლიტერატურაში უკვე ცნობილი არგუმენტების ფონზე.

ნაშრომის ცალკეულ გვერდებზე გვხვდება არასწორი და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოდებულულებებიც. მაგალითად, არასუსტია ავტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობა შესაძლებელია წამოიჭრას ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (გვ. 132) არასწორია მტკიცება, რომ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა სხვებისაგან განსხვავებით ემსახურება არა დანაშაულის, არამედ შერაცხადობის დადგენას. როგორც ცნობილია, სანამ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სუბიექტის შერაცხადობა საუკეთესო, საუკეთესო თვით დანაშაულის არსებობაც. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალეულობის დადგენისათვის სწორედ რომ მნიშვნელობა აქვს პირის შერაცხადობის გარკვევას.

ავტორები შრომის 32-ე გვერდზე არასწორად

ედაგებიან ჩელოცოვსა და პრიტუხოვას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ საქმეზე მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეუძლებელია საგამომძიებლო მოქმედებებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება დაინიშნოს ექსპერტიზა. ჩელოცოვი და პრიტუხოვა ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ კანონით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წიგნში თავმოყრილია ა. ფალიაშვილის მიერ სხვადასხვა ეურნალეზში გამოქვეყნებული სტატიები; ზოგიერთი მათგანი, მიუხედავად მაგალითების სიძველისა, უცვლელად არის გადმოწერილი. ამით აიხსნება, რომ წიგნში უმთავრესად ძველი მაგალითებია მოყვანილი.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ნაკლოვანი მხარეებისა, წიგნი სასარგებლოა.

მომხსენებისა და შრომის ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვით გამოსულმა ყველა ამხანაგმა ს. ბოროდინისა და ა. ფალიაშვილის წიგნი — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ — დაახასიათა, როგორც მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც უდავოდ იმსახურებს დიდ ყურადღებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა მ. ლეკვეიშვილმა ხაზი გაუსვა ს. ბოროდინისა და ა. ფალიაშვილის წიგნის — „სასამართლო ექსპერტიზის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების“ — ზოგიერთ სადავო საკითხებს. მან ილაპარაკა ნაშრომის თეორიულ ხასიათზე და მიუთითა, როგორც წესი, ავტორებს მოყავთ თეორიული დებულება, რომელსაც ასაბუთებენ, პრაქტიკიდან მოყვანილი მაგალითებით და აქვთებენ დასკვნას, თუ როგორ არის გადაწყვეტილი ესა თუ ის საკითხი პრაქტიკაში.

ავტორები მიუთითებენ, რომ ექსპერტიზა ინიშნება გამოძიებლის ან სასამართლოს მიერ. ნაშრომში არ არის აღნიშნული, რომ ექსპერტიზის დანიშვნის უფლება აქვს ასევე პროკურორს და იმ პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს.

ნაშრომის მესამე თავის მეორე პარაგრაფის სახელწოდება — „პროცესის მონაწილეთა უფლებების და დავა ექსპერტიზის ჩატარებისას“, მაგრამ მასში ფაქტიურად ლაპარაკია მხოლოდ ბრალდებულის უფლებებზე, თუმცა ავტორები აღნიშნავენ, რომ მათ ამ საკითხებზე ვერ ნახეს უმაღლესი სასამართლოს მითითებანი, ამიტომ არა აქვთ შესაძლებლობა გააუქმონ პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

მ. ლეკვეიშვილი არ დაეთანხმა ავტორების

მოსაზრებას, რომ თითქოს ალბათურ დასკვნას არა აქვს მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. ხშირად ამგვარი დასკვნა გეზს აძლევს გამოძიებას და მისი მთლად უარყოფა სწორი არ იქნებოდა.

ადვოკატმა მ. ნანიკიშვილმა ილაპარაკა ნაშრომის დადებით მხარეებზე და მიუთითა, რომ შრომა ავტენტულია სისხლის სამართლის საფუძვლების მიხედვით, მასში ხაზგასმულია მტკიცების წყაროსა და დამამტკიცებელი საბუთების ცნებების სხვადასხვაობა. სასამართლო პრაქტიკაში დღესაც პროცესის მონაწილეებს უწოდებენ მხარეებს, ავტორები კი მათ პროცესის მონაწილეებს უწოდებენ, რაც მ. ნანიკიშვილს სამართლიანად მიაჩნია. შრომაში გამოყენებულია ისრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი მდიდარი პრაქტიკა.

თუ სხვა ავტორთა შრომებში მხოლოდ მოხსენებული იყო ექსპერტიზის კვალიფიკაციის, ექსპერტიზის კომპეტენტობის და მისი ობიექტურობის, საქსპერტო მასალათა ვარგისიანობის, მასალათა სისრულის და სხვ. შესახებ, ამ ნაშრომში ეს ცნებები საკმარისად დამაჯერებლად არის განმარტებული და ვრცლად არის გადმოცემული მათი შინაარსი.

დადებით მხარეებთან ერთად მ. ნანიკიშვილმა აღნიშნა ავტორების ზოგიერთი არასწორი მოსაზრებებიც. კერძოდ ის, რომ თითქოს განაჩენის გაუქმების საფუძვლად გამოდგებოდეს კანონის ისეთი დარღვევა, როდესაც სასამართლოს შემადგენლობას განაჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოაქვს არასათათბირო ოთახში, არამედ სამსჯავრო სხდომის პროცესზე. მ. ნანიკიშვილს ეს დარღვევა არ მიაჩნია განაჩენის გაუქმების საფუძვლად.

დასასრულს, მ. ნანიკიშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში მომუშავე იურიდიული დარგის მეცნიერ მუშაკებმა ქართულ ენაზე წერონ თავიანთი შრომები, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პრაქტიკული მუშაკებისათვის.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა დოც. ა. ფალიაშვილმა დამსწრეთ აღუთქვა, რომ გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე პროფ. ბ. ფურცხვაინძე.



# სემინარი გვუსურ ბაგმოძიებაზე

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებამ ჩაატარა სასწავლო — მეთოდური სემინარი, რომელმაც განიხილა დანაშაულის ჯგუფური გამოძიების მეთოდები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ პროკურატურის უფროსი გამომძიებლები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის, ქუთაისის და საქართველოს სხვა რაიონების გამომძიებლები.

სემინარი გახსნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ. მან ხაზი გაუსვა განსახილველი საკითხის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს დანაშაულის მიზეზების შესწავლისა და გაფრთხილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. მ. კარნეევას მოხსენება — „დანაშაულის ჯგუფური გამოძიების მეთოდები“.

მოხსენებელმა საინტერესოდ, პრაქტიკული მასალის გამოყენებით გააშუქა გამოძიების ამ მეთოდების მნიშვნელობა. თავის გამოსვლაში შეეხო გამომძიებელთა ბრიგადების ორგანიზაციული მუშაობის აქტუალურ საკითხებს, გამომძიებელთა პროცესუალურ მდგომარეობას და სხვა. ლ. კარნეევამ კონკრეტულ მაგალითებზე განიხილა რთული საქმეების ჯგუფური გამოძიების უპირატესობა. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რთულ სისხლის სამართლის საქმეებზე აუცილებელია დროულად შეიქმნას გამომძიებელთა ბრიგადები.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

სემინარის მონაწილეებს თავისი გამოცდილება გაუზიარა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორმა ს. ქველიძემ. მან აღნიშნა, რომ ქუთაისის ავტოქარხანაში დიდი რაოდენობის თანხების გატაცების საქმეზე ჯგუფური გამოძიების დროს გამოძიებელთა შორის ცალკეული ეპიზოდების გამოძიების დანაწილებამ ხელი შეუწყო შედარებით მოკლე დროში დამთავრებულყო თავისი ხასიათით და მოცულობით რთული სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა გ. ნადარეიშვილმა წყალტუბოს საკურორტო სამმართველოს სამშენებლო-სარემონტო კანტორაში სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეზე ჯგუფური გამოძიების

მაგალითზე აღნიშნა, რომ საგამომძიებლო ბრიგადის წევრთა პროცესუალურმა დამოუკიდებლობამ გატაცების „კაზოლუპას“ გამოძიებისას გამომძიებლებს საშუალება მისცა გამოეჩინათ ინიციატივა, რამაც ხელი შეუწყო სოციალისტური საკუთრების ჯგუფური გამოტაცებლების დანაშაულებრივი ქმედობის თითქმის ყველა რგოლის გახსნას.

გორის საფეიქრო კომბინატში, — აღნიშნავს საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელი ს. ტვილიანი, — სახელმწიფო ქონების გატაცების საქმეის გამოძიებას დიდი დახმარება გაუწია მუშაობის სწორმა ორგანიზაციამ. გამოძიების საერთო ოპერატიული გეგმის შემუშავებასთან ერთად დგებოდა გეგმები ცალკეული ეპიზოდების გამოსაძიებლად. ჯგუფის ხელმძღვანელის ხელში თავს იყრიდა საქმის ყველა ძირითადი რგოლი, რომელსაც შემდეგ უნარიანად ანაწილებდა თვითველ გამომძიებელზე.

საქართველოს სსრ პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომძიებელმა მ. კიკოზაშვილმა აღნიშნა ჯგუფური გამოძიების დადებითი მნიშვნელობა, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-გატაცებისა და მკვლელობის საქმეებზე.

კამათის შემდეგ მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის პროკურატურის გამომძიებელმა ო. ჯაფარიძემ, გარდაბნის პროკურატურის გამომძიებელმა შ. ვაშაყიძემ, ქ. ცხინვალის პროკურორის თანამშრომელმა გ. ჯაფახიშვილმა, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. გიორგობიანმა, წყალტუბოს პროკურატურის გამომძიებელმა დ. მდინარაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის სამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა ი. ხიონიძემ და სხ.

სასწავლო მეთოდური სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე ვ. პრავდინი და სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორები — უ. ლავროვი და ა. ჩუველიოვი.



1964 წლის 2-3 ნოემბერს შესდგა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის საწარმოების იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა იურიდიული სამსახურის მუშაკების გარდა თათბირში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ პროკურატურის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცეკავშირის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. გ. გომელაურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამეურნეო-საორგანიზაციო საქმიანობის გაძლიერება.

ეკონომიკის საკითხები ვადამწყვეტია და სამართალი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მათ სწრაფ და სწორად გადაწყვეტას.

საწარმოების იურიდიული სამსახურის ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო მიუთითებდა — იურიდიული დარგის მუშაკები არ შეზღუდულიყვნენ მხოლოდ სასამართლო-საარბიტრაჟო საქმეების წარმოებით, ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში საწარმოების საქმიანობის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, გამოყენებით ამ მიზნით ყველა სამართლებრივი საშუალებები.

ბევრი იურიდიული მუშაკი ახორციელებს ამ მითითებებს, რაც გარკვეულ დარგებით შედეგებს იძლევა. მაგრამ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან უნაყოფო ხარჯებს, ჯარიმის სახით. პროდუქციის უხარისხობისათვის, ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის და სხვა.

თათბირზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: 1. საწარმოთა ეკონომიკის განმტკიცებაში იური-

დიული სამსახურის როლის შემდგომი ამოღების შესახებ“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსი ნ. წერეთელი). 2. „გადაძლიეროთ ბრძოლა შრომის დისციპლინის დარღვევების წინააღმდეგ“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგე ზ. კიკაძე). 3. „იურისკონსულტების ამოცანები საქართველოს სსრ მთავრობის მიერ იურისკონსულტების ახალ დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებით“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის წევრი მ. იაკობაშვილი).

თავის მოხსენებაში ამხ. ნ. წერეთელმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის დარგში მომუშავე იურისტები ყურადღებით სწავლობენ საწარმოთა ეკონომიკის, უნაყოფო ხარჯების მაქსიმალური შემცირების საკითხებს, ახდენენ საპრეტენზიო — სასარჩელო მუშაობის ანალიზს, განაზოგადებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარებას, სამეურნეო ხელშეკრულების სრულყოფილად გამოყენებას იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სრულად იქნას გამოყენებული ზემოქმედების საშუალებანი იმ კონტრაგენტთა მიმართ, ვინც უშვებს ვალდებულებების შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას.

მაგრამ, იურიდიული სამსახურის მუშაკთა საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მიწოდების ვადების დარღვევის, უხარისხო პროდუქციის მიწოდების, პროდუქციის დიდი რაოდენობით დაბრუნების გამო პრეტენზიების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ იურიდიული სამსახურის მუშაკები სუსტად მონაწილეობენ ამ მოვლენების თავიდან აცილების მიზნით წარმოებულ პროფილაქტიკურ მუშაობაში.

იშვიათი არ არის მოპასუხეების მიერ არბიტრაჟის ვადამწყვეტილებათა დიდი დავიანებით შესრულების შემთხვევები, რაც ჯარიმების გადახდევინებას იწვევს.

იურიდიული სამსახურის მუშაკთა უფრო აქტიური მონაწილეობა საწარმოების ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაში მნიშვნელოვნად შეამცირებს უნაყოფო ხარჯებს, ხელს შეუწყობს წარმოების ეკონომიკის განმტკიცებას.

მოსხენებების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ სატყეო მრეწველობის სამმართველოს უფროსი იურისკონსულტი მ. კაკაურიძე, თბილისის ქიმიკარხანის იურისკონსულტი მოლჩანოვი. საქართველოს სსრ პროკურატურის წარმომადგენელი მ. მიწათმფლობელი, სოხუმის საკონსერვო ქარხნის იურისკონსულტი დ. ჩხარტიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსი კონსულტანტი თ. და-

დინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის წევრი ვ. ვეფიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არბიტრი შ. რჩულიშვილი.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ე. ტაკიძემ.

## შეხვედრა ს. ი. ქავთარაძესთან

ამას წინათ საქართველოს სსრ პროკურატურამ შეხვედრა მოუწყო კომუნისტური პარტიის უხუცეს მოღვაწეს ს. ი. ქავთარაძეს.

ს. ქავთარაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე. სიტ-

ყვები წარმოთქმეს კ. ქავთარაძემ, ვ. გოგუაძემ, შ. ჭანტურია და სხვ.

მოგონებით სსრ კავშირის პროკურატურაში თავისი მუშაობის შესახებ გამოვიდა ს. ქავთარაძე.

ს. ქავთარაძეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი. მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის.

## უნგრელი იუჩისგები სჯუბრად საქარტველოში



საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იურისტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, დოქტორი ფერენც ნეზვალი.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე დოქტორი იმრე მარკოია, უნგრეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი დოქტორი ზოლტან ნადი, დოქტორი იანოშ საბო და დოქტორი იშტვან კირაი.

სტუმრები გულთბილად მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ტერეზილოვმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ი. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ყ. ლომიძემ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა თ. ა. ქავთარაძემ.

უნგრელი იურისტები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული კომისიის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს.

უნგრელი იურისტები ყურადღებით გაეცნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამოცდილებას, სასამართლოს პრაქტიკას, საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებს.

ქალაქ რუსთავის, ამხანაგური სასამართლობისა და ნეზაყფლობითი სახალხო რაზმეულეების წარმომადგენლებმა სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს კულტურული ცხოვრებისადმი. დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, იყვნენ გურჯაანსა და თელავში, სადაც ესაუბრნენ სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებს.

ქართველ იურისტებთან საუბარში ფერენც ნეზვალმა განაცხადა: მეტად სასარგებლოა ჩვენი შეხვედრა საქართველოს იუსტიციის მუშაკებთან. პირადი კონტაქტები და გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება, დისკუსიები მნიშვნელოვან პრობლემებზე ხელს გვიწყობს უკეთ შევისწავლოთ საბჭოთა სასამართლოსა და პროკურატურის პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებები, რათა შემდეგ შემოქმედებითად გამოვიყენოთ საბჭოთა იურისტების გამოცდილება ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაცნობამ გვიჩვენა, რომ ისინი დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური საერთო ცხოვრების ჰუმანური პრინციპების აღზრდაში და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრაში.

მეტად საინტერესო იყო ჩვენთვის, თქვა შემდეგ ფერენც ნეზვალმა, გაცნობილით პროფილაქტიკური მუშაობის დიდსა და დადებით

გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს რესპუბლიკის სასამართლო და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. საყურადღებოა სახალხო რაზმეულეებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობის პრაქტიკა.

საქართველოდან მოსკოვში გამგზავრებისას სტუმრები გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ **ზ. მ. რატიანმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. ი. მაისურაძემ**, საქართველოს სსრ პროკურორმა **პ. ე. ბერძენი-შვილმა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომისიის თავმჯდომარემ **მ. ყ. ლომიძემ**, რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილემ **ვ. ს. ლუკოვკინმა** და სხვებმა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იურისტთა დელეგაციის ვიზიტმა კიდევ უფრო გააღრმავა ქართველ და უნგრელ იურისტთა საქმიანი კონტაქტი.



მიმდინარე წლის 10-13 დეკემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს უგანდის გენერალური პროკურორი ბატონი გოდფრი ბენაისა, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით იყო ჩამოსული სსრ კავშირში.

საქართველოში ყოფნისას სტუმარმა დაათვალიერა ქ. თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, გაეცნო ქალაქის კულტურულ ცხოვრებას, ეწვია თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას, იყო ჩაის გადამწონ ფაბრიკაში, დაათვალიერა ვარკეთის საბჭოთა მეურნეობა. ბატონი გოდფრი ბენაისა იყო საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში და უმაღლეს სასამართლოში, ესაუბრა საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს პ. ბერძენიშვილს და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვ. მაისურაძეს. მათ სტუმარს გააცნეს სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა, გაუზიარეს პროფილაქტი-

კური მუშაობის გამოცდილება, რომელიც შეიძინეს რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა.

საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. 13 დეკემბერს უგანდელი სტუმარი მოსკოვს გაფრინდა.

აეროდრომზე სტუმარი გააცილეს საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიგოშვილმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ა. უღენტმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საბჭოთა საზოგადოების უცხოეთთან კავშირის განყოფილების გამგემ გ. ტატიშვილმა და სხ.

უგანდელი პროკურორის ვიზიტი სსრ კავშირში უფრო მეტად განამტკიცებს საქმიან კონტაქტებს საბჭოთა და აფრიკელ იურისტებს შორის.



სულ უფრო საინტერესო ხდება იურიდიული ფაქულტეტის ზეპირი ჟურნალი.

10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადიიშალა ჟურნალის — „მართლმსაჯულების სადარაჯოზე“ მორიგი, მეხუთე ნომერი.

სასამართლო ორგანოების როლზე არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე.

საბჭოთა ახალგაზრდებში თუმცა იშვიათად მაგრამ მზინც ვგვხვდებიან პირები, რომლებიც თავიანთი უსაქმურობით, ამორალური საქციელით არცხვენენ საბჭოთა ახალგაზრდის სახელს, მშობლებს, აღმზრდელ სკოლასა და პედაგოგებს, ფეხქვეშ თელავენ სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებს და სისხლის სამართლის დანაშაულსაც ჩადიან.

საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. საკითხი ეხება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს — აღვზარდოთ მხნე, სიცოცხლით სავსე, კომუნისზმის მშენებელი თაობა.

გადამწყვეტ პროფლაქტიკურ ღონისძიებების გატარებასთან ერთად საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა გამოცხადოთ ყველას, ვინც ხელს გვიშლის მორალურად მტკიცე, ზნეობრივად ჯანსაღი, ახალი თაობის აღზრდაში.

სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების პროექტებს ანალიზი გაუკეთა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ.

პროექტები შედგენილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად. ამასთან მათში მთლიანად არის მოცემული ნორმები იმ ურთიერთობაზე, რომელთა გადაწყვეტა და მოწესრიგება კანონით მინდობილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკებს.

პროექტებში შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები, რომელთა უმრავლესობა სასამართლო და საარბიტრაჟო პრაქტიკის განზოგადების შედეგია. პროექტში დატოვებულია აგრეთვე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ყველა ნორმა, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და მნიშვნელობა.

შემდეგი გვერდი კვლავ სპორტმა გადაფურცლა.


იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტმა, ოლიმპიელმა პრიზიორმა ტყვიით სროლაში შ. ქველიაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა ტოკიოს ოლიმპიურ შთაბეჭდილებებზე.

სსრ კავშირის პირველობასა და თასზე ფეხბურთში, სსრ კავშირის ნაკრების გამოსვლებზე მადრიდსა და ვარშავაში მსმენელთ მოუთხრო სპორტულმა კომენტატორმა ი. ვანიატმა (მოსკოვი).

1964 წლის ხელბურთის სეზონის შედეგებზე ილაპარაკა იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტმა, ჩვენი ქვეყნის განთქმულმა ხელბურთელმა ჯ. ცერცვაძემ.

ჟურნალის ფურცლები იურიდიული ფაქულტეტის მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტით დამთავრდა.

## ს მ ყ მ ა ნ ი



მოსამართლე ბრალდებულს:  
— თქვენ მოგეხსნათ ბრალდება ორცოლიანობი-  
სათვის. შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ცოლს.  
— რომელს?

## მ მ ვ მ ე

ცნობილ ინგლისელ მხატვარს, რომელიც  
გამოძახებული იყო სასამართლოში მოწმედ,  
მოსამართლემ მიმართა:

— შეგიძლიათ აუხსნათ სასამართლო კო-  
ლეგიას თუ რას ნიშნავს ხელოვნება?

მხატვარმა გადაავლო თვალი კოლეგიის  
წევრებს და გადაჭრით განაცხადა — არა!



## სიყვარული და ქორწინება

- ოჰ, ქორწინება შესანიშნავი რამაა, როცა სიყვარულია!
- კი მაგრამ თუ ქმარი გაიგებს?

ბოლონურიდან თარგმნა ივანე კაკაბაძემ

## ხელის ღაგანა


გამოთქმის აზრი ასეთია: რაიმე მოვალეობისაგან განზე განდგომა, პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა.

ძველად ზოგიერთ ხალხს (ებრაელებს, რომაელებს) სასამართლო პრაქტიკაში ასეთი წესი ჰქონდათ: მოსამართლე ან ბრალმდებელი იმის დასამტკიცებლად, რომ მიკერძოებას ადგილი არ ექნებოდა, ხელს დაიბანდა.

იმ შემთხვევაშიც, თუ მოსამართლე მთავრობის ან ბრბოს მოთხოვნით იძულებული ხდებოდა მკაცრი სასჯელი გამოეტანა, იგი ხელს იბანდა, რითაც პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიდა.

## შუბლზე აწერია

ამ გამოთქმის აზრი ასეთია: ნაკლს, დანაშაულს, რომელიც განკიცხვის ღირსია, ვერ დაფარავ, შეგამჩნევენ. ეს გამოთქმა დიდი ხანია შემოსულია ხმარებაში. მსჯავრდებულს საპატიმროდან გაქცევა რომ ვერ გაებედა, ძველად, გადასახლების წინ პატიმარს დაღს ასვამდნენ: სპეციალური ხელსაწყოთი შუბლზე ან ლოყაზე ამოსწვავდნენ ხოლმე ასოს. ამოდაღულ ადგილას საფანტს დააყრიდნენ, რის შემდეგაც ასოების მოშლა შეუძლებელი ხდებოდა.



სხვადასხვა



ინდოეთში ჰყავთ ყველაზე უცნაური დარაჯები, რომლებიც ფხიზლად იცავენ სახლებს, საწყობებსა და მაღაზიებს. ეს მცველები გაწვრთნილი გველები არიან.

როგორც კი ქურდი მაღაზიაში შეიპარება, მის წინ მოულოდნელად აღიმართება უზარმაზარი გველი. შეშინებული ქურდი იძულებული ხდება ყვირილი ატეხოს და საშველად მოუხმოს ადამიანებს.

\* \* \*

...კანადაში დააკავეს და მანქანის დიდი სიჩქარით წაყვანისათვის დააჯარიმეს ინგლისელი ფიზიკოსი რობერტ ვესტონ უატი, რომელიც ცნობილია როგორც ერთ-ერთი გამომგონებელი თანამედროვე რადიოსალოკაციო აპარატურისა. ეს აპარატურა შევლოდა ბრიტანეთს ფაშისტი ბომბდამშენებისაგან თავდაცვაში მეორე მსოფლიო ომის დროს.

უატის დაჯარიმების თვით ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი როდია, რომ მას ყურადღება მივაქციოთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ინგლისელი სწავლული დააკავეს მისივე სისტემის იმ რადიოსალოკაციო მოწყობილობის შემწეობით რომელიც გაკეთებულია სიჩქარის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამგვარად, უატი მის მიერ გაბმულ ქსელში გაიხლართა.



ფან 50 663.

ИНДЕКС 76185

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР